გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოა. ჯერ კიდევ კომუნისტების პერიოდია, მაგრამ საქართველო უკვე „გადვიძებულია“, ეროვნული მოძრაობა (დღევანდელი ტერმინოლოგიით — ნაციონალური მოძრაობა) დულს და გადმოდულს. და რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, სწორედ ამ პერიოდში ქართულ რეალობაში ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და არცთუ უმნიშვნელო პერსონაჟად შემოდის... მატარებელი.

ეს კეთილშობილი და მე-19 საუკუნეში კაცობრიობის პროგრესის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი მე-20 საუკუნის მინურული საქართველოში ზოგს მოუვიდა თავს, ზოგს — არა. ამ უკანასკნელთა შორის აღმოჩნდა ეროვნული მოძრაობის იმჟამად სრულიად ნორჩი წარმომადგენელი ზვიად ძიძგური, რომლის მშობლიურ ქალაქ სამტრედიასავე საქართველოს მთავარი სარკინიგზო არტერია გადიოდა. მცირე ლირიკული გადახვევა. მასხოს, ბავშვობაში მამაჩემი ერთ ასეთ გურულ ანეკდოტს მიყვებოდა: ლანჩხუთის რკინიგზის სადგურში რეპროდუქტორიდან ისმის შემდეგი შინაარსის განცხადება — „ორ

ნიმუტში მეორე რეინცაზე შემოდრიგდება ოზურგეთის მატარებელი. პასაჟირები, გუშახაღალოვით ნუ აჭყვიტინებთ ყაზილარებს“. სალიტერატურო ენით ამ განცხადების შინაარსი ასე უდერს: „ორ ნუთში მეორე ლინადაგზე შემოვა ოზურგეთის მატარებელი. მგზავრებო, გუშინდელივით ნუ აჭყვიტინებთ ბავშვებს“.

ლართა შორის იყო ზვიად ძიძგური, რომელიც, წამოიზარდა თუ არა, გაასხენდა „ჭყვიტინის“ გამაყრუებელი ხმები, იფიქრა — როდემდე უნდა იდრიგონ ამ მატარებლებმაო და პირდაპირ სამტრედიასი გამავალ რელსებზე წაიწვია. ეპ, არ ცხოვრობდა გენი-ალური ლეე ტოლსტოი მე-20 საუკუნის მინურულის საქართველოში, თორემ „ანა კარენინას“ ნაცვლად ხომ „ზვიად ძიძგურს“ დანერდა. რა შანსი გვაქვს ხელიდან გაშვებული... თანაც, აღნიშნული ზ. ძიძგური იმდენად ჭკვიანი აღმოჩნდა, რელსებზე განულის მთავარ არგუმენტად ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილებები კი არ დაასახელა, საბჭოთა იმპერიის ეკონომიკა უნდა დანგრეოთ, გვიტონხრა. საბჭოთა ეკონომიკა კი, როგორც ჩანს, იმით ინგრეოდა, რომ რუსეთიდან საქართველოში (და არა პირიქით) ვეღარ შემოდრიდა ხორბალი, ბენზინი და, ვინ მოთვლის, კიდევ რა აღარ.

საბოლოო ჯამში ვინ ვინ დაანგრია, კიდევ ვიხილეთ. მთელ საქართველოში უმაღლესი კილომეტრის ბენზინის რიგებისა და მართლა აჭყვიტინებული (უკვე არა მხოლოდ გურული) ყაზილარების სახით. ასე ჩატარდა ერთ-ერთი გავლენიანი მოთამაშის „ნათლობა“ ახალ ქართულ რეალობაში. გავიდა სულ რამდენიმე წელი და მატარებელი ახლა უკვე ქართველებსა და აფხაზებს გაასხენდათ ერთდროულად, ოღონდ სხვადასხვა მხრიდან. აფხაზებმა მასში ძარცვის მშვენიერი საშუალება დაინახეს, ხოლო ქართველებმა — ამ ძარცვის აღკვეთის საბაბით აფხაზთა შიშის შეყვანის კარგი მომენტი. უფრო ჭკვიანური ვერც ერთმა მხარემ ვერაფერი მოიფიქრა. ჰოდა, მე თქვენ გაჩვენებთ მხარეებსო, იფიქრა მატარებელმაც და შედეგს დღემდე ვიმკით. გამობრუნდა წლები. მატარებელი, როგორც სუბიექტი, თითქოს ნელ-ნელა დავიწყებდა ედ-

ლეოდა (აღმოსავლეთ საქართველოში — პირდაპირი მნიშვნელობით), მაგრამ გამოჩნდნენ „ვარდულუბლიანები“ და მატარებელსაც ახალი სიცოცხლე მთაბერეს. ჯერ იყო და, მიმოიკოცოტა ხნით სახლობანას თამაში შეწყვიტა და აიჩინა — მემანქანე ვარ და, გინდათ თუ არა, ჩემს მატარებელზე აიღეთ ყველამ ბილეთებიო, შემდეგ კი ბაკურიანის „კუკუშკაზე“ გადახტა და ფეხის შეხედდა ამრეხით — დაგვიანებულ მგზავრებს აქ რა უნდათ, ვინ ამოუშავო. არგუმენტმა — მე ყველა მატარებელზე მაქვს ბილეთიო, პრემიერს ვერ უშველა, მისი „ბრონი“ მალე გაუქმებას დაექვემდებარა. როგორც აღმოჩნდა, მატარებელს ადამიანივით სჩვევია რაღაცის ამოჩენა და არ უყვარს, როცა მას აგდებულად იხსენიებენ ან ექცევიან. ფეხისა და მოგახსენოთ, მაგრამ სულ რამდენიმე დღის წინ მატარებელმა სწორედ იმ ზვიად ძიძგურზე იყარა ჯავრი, რო-

მელიც წლების წინ რელსებზე გაუწვია და აღარც წინ უშვებდა, აღარც — უკან. მასე არ უნდაო, იფიქრა დაბოლოვდა მატარებელმა და სწორედ იმ დროს გამოიარა შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალე ახალ შენობასთან, როცა მას (შენობას) ძიძგური უახლოვდებოდა მცირეციხოვან მომხრეებთან ერთად და აქციის გამართვას ლამობდა. ამ კაცმა ხომ გამიჭირა საქმეთა მატარებელმა, ამჯერად სვლა აღარ შეანელა და მცირე ხანში იქ აღარც ძიძგური იყო და აღარც აქცია. როდელი გაიცვალა და მატარებელი (შსს) კმაყოფილი დარჩა, ძიძგური კი — დაბოლოვდა; თანაც იმდენად, რომ იმავე ღამით ერთი ბათქაბუთიქი სანამ არ ატეხა ტაბელური პისტოლეტიდან, მანამდე ვერ დანწყნარდა. ისე, იქნებ ჯობდეს, ძიძგურს ისეთი ქალაქის მერად ეყარა კენჭი, სადაც რკინიგზა არ გადის? ვერ უგებენ ძიძგურს და მატარებელი ერთმანეთს...

სალკალო დვალი

პირტიტველა გუბერნატორების ხელფასი დასასურებელი კედეგის ჯამბირს 30-ჯერ აღემატება

თბილისი ხანდრავას წინააღმდეგ

„არ მინდა იმ ქვეყანაში, იმ სამშობლოში ცხოვრება, სადაც ჩემს შრომას არ დამიფასებენ, სადაც არასდროს მექნება იმდენი შემოსავალი, რომ საჭმელზე, ჩასაცმელზე და გადასახადებზე თავისუფლად მეყოს! არ ვითხოვ გართობას, დროსტარებას და ფუფუნებას! ელემენტარული საარსებო პირობები მჭირდება. ამ ქვეყანაში ყველა ვერ გახდება პარლამენტარი და მინისტრი, უბრალო მოკვდავები კი სიღატაკისთვის და შიმშილისთვის ვართ განწირული“. რამდენიმე დღის წინ ეს სიტყვები ერთი ჩემი მეგობრისგან მოვისმინე, რომელიც სულ რაღაც 23 წლისაა. ცოცხალი არ იყოს, გული მატყინა ასეთ ახალგაზრდა ადამიანში ამხელა პესიმისმი რომ აღმოვჩინე, მაგრამ, როცა მართლ დავრჩი და დავფიქრდი, მივხვდი, რომ სულაც არ იყო მისი ნათქვამი გადაჭარბებული. საქართველო მინისტრების, პარლამენტარებისა და ჩინოვნიკების ხელფასების გადახდას ვერ აუდის და, როგორც ჩემი მეგობარი იტყოდა, „უბრალო მოკვდავებისთვის“ აღარც დრო რჩება და აღარც ფული... ან ყველაფერი, ან არაფერი, ჩვენს ქვეყანაში სიტყვა საშუალო, მგონი, საერთოდ არ არსებობს.

თავად ინიშნავენ და პრემიებ-საც, ჰოდა, გასაგებია, სად მიდის უცხოური მონყალბა, რომელიც ქვეყანას ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, სოციალურად დაუცველი ხალხისთვის, ლტოლვილებისთვის და ა.შ. ეძლევა. ესენი კი ინანილებენ ამ ფულს. ჰოდა, გაგვიკვირდეს ახლა, ამდენი მათხოვარი, მშვიერი და უბედური რომაა ამ ქვეყანაში.

აღმოჩნდა, რომ მინისტრებისა და გუბერნატორების ხელფასები სულ რაღაც 6000 ლარი ყოფილა. ამას ემატება პრემიები საკმაოდ ხშირად. გარდა ამისა, ფუფუნების შექმნას ისინი სხვა არალეგალური გზებითაც ახერხებენ; მაშინ, როცა ასეთი მოხერხებული და გონიერი გუბერნატორების აღმზრდელ-მასწავლებლებს 300 ლარიც არ აქვთ ჯამბირი. ნეტა, რატომ? მინისტრებს უფრო კარგი მადა აქვთ, თუ

ზე უარის თქმა, ალბათ, ძნელია, როცა მსახიობი ხარ ან მომღერალი, თუნდაც სპორტსმენი. ჩვენი პარლამენტი კი ამ სფეროების წარმომადგენელთა ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის.

ამ ჩვენი ჩინოვნიკების ხელფასებს რომ ვუყურებ, თავი მაღალგანვითარებული ქვეყნის მოქალაქე მგონია, მაგრამ ეს ილუზია მაშინვე გამსხვრევა, როცა მახსენდება მათთან შედარებით რა დაუფასებელია ჩვენთან მასწავლებლების, პროფესორების, მედიცინის მუშაკების, ან თუნდაც კულტურის სფეროს წარმომადგენლების შრომა. მათი ანაზღაურება თითქმის 10-ჯერ ნაკლებია გუბერნატორებისა და მინისტრების ხელფასებზე. თუმცა, რაც არ უნდა პარადოქსი იყოს, ამ ქვეყანაში მასწავლებლად უბრალო სოფლის სკოლაშიც კი არ დაგნიშნავენ, თუ „ნაციონალი“ არ ხარ.

გასაგებია, რომ ხელისუფლებისთვის რეალობის აღიარება პოლიტიკური თვითმკვლელობაა. მაგრამ, თუ თვალს არ გავუსწორებთ იმ რეალობას, რომ სოფელში გოგონის თესლის ჭამა სინამდვილეში დასაქმებას სულაც არ ნიშნავს, შეიძლება ერთ დღეს გვითხრან, რომ ტყუილის სანაცვლოდ, სვეტიცხოველი უნდა გავყიადოთ. ეკონომიკის განვითარების მინისტრი რომ გამოვიდეს და თქვას, იცით რა, ჩვენი მოსახლეობის ნახევარი დაუსაქმებელიაო, ალბათ, ესეც დიდი სიმამაცე ან სიბრყველი იქნება. ან კიდევ, თუ იტყვის, რომ ეკონომიკურმა პოლიტიკამ და ბიზნეს კლიმატის რეფორმამ ვერ უზრუნველყო მდგომარეობის გაუმჯობესება, სინამდვილეში ქვეყნის ეკონომიკა ძალზე სუსტია და მთავრობამ არაფერი გააკეთა ამის გამოსასწორებლად, იგი, ალბათ, თავადაც უმუშევრების რიგებს შეუერთდება.

თუმცა ვინმემ რამე ხომ მაინც უნდა გააკეთოს იმ უბრალო ადამიანების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომელთა საარსებო მინიმუმი რეალურად 200 ლარიც არაა. რაც არ უნდა სასურველი და დამაჯერებელი დასკვნები დადოს სტატისტიკის დეპარტამენტმა, რეალობას თითოეული ჩვენგანიც კარგად ხედავს; ჩვენზე უკეთ კი — ამ სტატისტიკურ მონაცემთა ავტორები. საკმარისია, ავგვესო თვალები ნაცრიო!



მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა პედაგოგებთან — ოძროს სარაიას აბიშენაში, ჩამსას რომ მოვრჩები მერა

ამას წინათ შემთხვევით ნავაწყდი სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებს, რომელიც საქართველოში არსებულ ხელფასებს შეეხებოდა. ჩემს გაოცებას სახელობს არ ჰქონდა, როცა გავარკვიე, რომ თურმე საქართველოში საშუალო ხელფასი 420 ლარი ყოფილა. მინისტრის 6000-ლარიან ხელფასს თუ 200-ლარიან ხელფასთან გავასაშუალებთ, მაშინ საშუალო ხელფასად 3100 ლარსაც მივიღებთ. ავშენებულვართ და ეგაა...

ხელფასი საქართველოში 420 ლარიაო. ეს ყველაფერი თუ სიმართლეა, მაშ, რისთვის იკლავდა ხალხი თავს რიგებში დგომით მიშას ნაწყალობე 200-ლარიანი ვაუჩერებისთვის? პრეზიდენტმა თავად არ თქვა ხალხის 50% სიღარიბის ზღვარს მიღმააო?!

ჩინოვნიკებს კი უზომოდ დიდი ხელფასი დაუნიშნა, აქაოდა, ქრთამს არ აიღებენო, ეს, მსუბუქად რომ ვთქვათ, აბსურდია.

უფრო სასარგებლოს აკეთებენ რამეს? არც ერთ ქვეყანაში არ აქვს გუბერნატორს 10-ჯერ მეტი ხელფასი, ვიდრე რიგით მასწავლებელს.

მინისტრების ხელფასები არ გაუკვირდებათ, ალბათ, საკონსტიტუციო სასამართლოს თანამშრომლებს. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ხელფასი 5650 ლარია, მისი მოადგილის — 4800, სასამართლოს რიგითი წევრის — 4400 ლარი.

სტატისტიკის დეპარტამენტში ნამდვილად კარგი ოუმორის გრძობა აქვთ. ისეთ ხუმრობებს გამოაქვეყნებენ ხოლმე, გაგიჟდება კაცი. საინტერესოა, ვის სახელფასო ცნობებზე დაყრდნობით გამოიყვანეს საშუალო 420 ლარი; სავარაუდოდ, — ბანკის თანამშრომლების, თორემ პროფესორ-მასწავლებლებს საშუალოდ 200 ლარი რომ აქვთ ხელფასი, ალბათ, არც გახსენებიათ. საერთოდ, ყველაფერს უცნაურად ითვლიან ამ ჩვენს სტატისტიკის დეპარტამენტში: საარსებო მინიმუმი რომ ითხსულიანი ოჯახისთვის 227 ლარია, უკვე „დაგვაჯერეს“, დღეს კი აცხადებენ, საშუალო

მოკვდავები და, ქვეყნის პირველ პირს გუბერნატორებსა და მინისტრებს ნაკლები ხელფასი ჰქონია. საქართველოს პრეზიდენტის შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონის, რომელიც 2005 წლის 25 მარტს ამოქმედდა, მიხედვით მიხეილ სააკაშვილის ყოველთვიური ხელფასი 4720 ლარია. ერთთვიან საზღვარგარეთულ ვოიაჟებსაც სახელმწიფო აფინანსებს, აბა, თავისი ჯიბიდან გადაიხდის?! ნეტა, როგორ ყოფნის ასეთი მწირი ხელფასი ჩვენს პრეზიდენტს?!

საქართველოში პარლამენტარის ხელფასიც საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება. 3000-ლარიან ანაზღაურება-

თუ უარის თქმა, ალბათ, ძნელია, როცა მსახიობი ხარ ან მომღერალი, თუნდაც სპორტსმენი. ჩვენი პარლამენტი კი ამ სფეროების წარმომადგენელთა ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის.

ამ ჩვენი ჩინოვნიკების ხელფასებს რომ ვუყურებ, თავი მაღალგანვითარებული ქვეყნის მოქალაქე მგონია, მაგრამ ეს ილუზია მაშინვე გამსხვრევა, როცა მახსენდება მათთან შედარებით რა დაუფასებელია ჩვენთან მასწავლებლების, პროფესორების, მედიცინის მუშაკების, ან თუნდაც კულტურის სფეროს წარმომადგენლების შრომა. მათი ანაზღაურება თითქმის 10-ჯერ ნაკლებია გუბერნატორებისა და მინისტრების ხელფასებზე. თუმცა, რაც არ უნდა პარადოქსი იყოს, ამ ქვეყანაში მასწავლებლად უბრალო სოფლის სკოლაშიც კი არ დაგნიშნავენ, თუ „ნაციონალი“ არ ხარ.

გასაგებია, რომ ხელისუფლებისთვის რეალობის აღიარება პოლიტიკური თვითმკვლელობაა. მაგრამ, თუ თვალს არ გავუსწორებთ იმ რეალობას, რომ სოფელში გოგონის თესლის ჭამა სინამდვილეში დასაქმებას სულაც არ ნიშნავს, შეიძლება ერთ დღეს გვითხრან, რომ ტყუილის სანაცვლოდ, სვეტიცხოველი უნდა გავყიადოთ. ეკონომიკის განვითარების მინისტრი რომ გამოვიდეს და თქვას, იცით რა, ჩვენი მოსახლეობის ნახევარი დაუსაქმებელიაო, ალბათ, ესეც დიდი სიმამაცე ან სიბრყველი იქნება. ან კიდევ, თუ იტყვის, რომ ეკონომიკურმა პოლიტიკამ და ბიზნეს კლიმატის რეფორმამ ვერ უზრუნველყო მდგომარეობის გაუმჯობესება, სინამდვილეში ქვეყნის ეკონომიკა ძალზე სუსტია და მთავრობამ არაფერი გააკეთა ამის გამოსასწორებლად, იგი, ალბათ, თავადაც უმუშევრების რიგებს შეუერთდება.

თუმცა ვინმემ რამე ხომ მაინც უნდა გააკეთოს იმ უბრალო ადამიანების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომელთა საარსებო მინიმუმი რეალურად 200 ლარიც არაა. რაც არ უნდა სასურველი და დამაჯერებელი დასკვნები დადოს სტატისტიკის დეპარტამენტმა, რეალობას თითოეული ჩვენგანიც კარგად ხედავს; ჩვენზე უკეთ კი — ამ სტატისტიკურ მონაცემთა ავტორები. საკმარისია, ავგვესო თვალები ნაცრიო!

2008 წლის 13 იანვარი. თბილისი. რესპუბლიკის (და არა ვარდების) მოედანი. საპროტესტო მსვლელობა თავისუფლების მოედნისკენ. 200 000 მონაწილე. 2008 წლის 20 იანვარი. თვითმარქვია პრეზიდენტის ინაუგურაციის დღე. საპროტესტო აქცია თბილისის იპოდრომზე. 250-300 000 ადამიანი. როგორ გგონიათ, ან ერთ, ან მეორე შეკრებაზე მისულთ ვინმე ხანდრავა გაუბედავდა თქმას, თბილისი ჩაჯმულიაო? მაგრამ მოვყვით თანმიმდევრობით.



2007 წლის 27 სექტემბერს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ოქრუაშვილის დაქვრამ საქართველოში მძლავრი საპროტესტო ტალღა ააგორა. ამჯერად თავი დაგანებოთ იმას, რა სახელს იმსახურებს ერი, რომელიც გირგვლიანის მკვლელობაზე ხმას არ ამოიღებს, ხოლო ოქრუაშვილის დაქვრამე მაშინვე ტანსაცმელს შემოიხევეს. მთავარია, რომ აგორდა და სწორედ 27 სექტემბრიდან უკვე ნახსენებ 20 იანვრამდე აღმა მიდიოდა.

მაგრამ როგორი იყო ამ აგორებაში ოპოზიციის როლი? შეიძლება ითქვას, არც არანაირი. მათ ნაცვლად ყველაფერს ხელისუფლება აკეთებდა, სრულიად იდიოტური ბრალდებით ოქრუაშვილის დაკავებით დაწყებული, ვიღაც სულით ავადმყოფის ტვინში დაბადებული 7 ნოემბრის დარბევების იდეით დამთავრებული. ანუ, აღნიშნული საპროტესტო ტალღა სწორედ ხელისუფლებამ ააგორა და არა — ოპოზიციამ.

ხალხს კი იმდენად ჰქონდა ყველაფერი ყელში ამოსული, სულ აღარ უყურებდა, ვინ რას აკეთებდა. მისთვის მთავარი იყო, რომ ხელისუფლებაში ნაძირალები იყვნენ, ოპოზიციამ კი თითქოს მოახერხა პიროვნულ ამბიციებზე მალა დადგომა, გაერთიანება და ერთად დადგომა. იმას აღარავინ უკვირდებოდა, რომ რამდენიმე აბსოლუტური წულის ჯამი მაინც წულის ტოლია. ოპოზიციის ფარჩაკობის პირველი სიგნალი 7 ნოემბრის ღამე იყო, როცა ლიდერთა ნაწილი წმინდა სამების საკათედრო ტაძარში შეიყუყუა ხალხთან ერთად, ნაწილი კი საერთოდ სად აორთქლდა, სოფლა და კუდმაც კი ვერ მიაგნო. ჩვენ (ხალხმა) მხოლოდ 7 ნოემბერს გავეგეთ, რომ თურმე 2 ნოემბერს რაღაც უნდა მომხდარიყო და არ მოხდა, რასაც ცოტნე გამსახურდიას სატელეფონო საუბარი მოწმობდა — 150 ათასი კაცი იქ გედგათ და ვერაფერი გააკეთეთო. როგორ გააკეთებდნენ, როცა საშემოდგომო გამოცდა ჰქონდათ გამოყოლილი ვაჟკაცობაშიც, ჭკუა-გონებაშიც, პატიოსნებაშიც და თავდადებაშიც.

სხვათაშორის, მაშინ ბევრი თბილისელი ძალიან აღშვოთდა, როცა იმავე სატელეფონო საუბარში ცოტნე გამსახურდიამ გოგა ხანდრავა „წვერებიან პენისად“ მოიხსენია. გამოსხა ხანი და ბევრმა ჩათვალა, რომ ეს ჯერ კიდევ ძალიან რბილი შეფასება იყო. სხვათაშორის, გატონო გოგა, სანამ თბილისი ჩაისვრიდა, მანამდე თქვენ — მთელმა ოპოზიციამ ხომ არ ჩაისვართ? ხომ არ ჩაისვარა, მაგალითად, დავით გამყრელიძემ, რომელსაც კოდლა-პატარკაციშვილის ჩანაწერის მოსმენის შემდეგ მუხლების ქრონიკული კანკალი აქვს ატეხილი და თქვენი მეგობრის, ბადრის მხარდასაჭერად ცოცხალი თავით არ მივიდა „იმედის“ ეთერში?

გამყრელიძესა და მისწარებს უთხარით მაშინ, თქვე ჩაჯმულიაო? ან ძმებ გრეჩიხებს თუ უთხარით იგივე, სააკაშვილთან რომ დაძვრებოდნენ შავნაბდაზე კვირამი სამჯერ? რესპუბლიკელებს, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნების წინ განზე გადგომაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს? თქვენ გააკეთეთ ყველაფერი, რათა თბილისში აპათიას დაესადგურებინა და კაციშვილი ქუჩაში აღარ გამოსულიყო, თქვენი, მართლაც და, სირობის შემყურე, ახლა კი აქეთ გაქვით პრეტენზიები? თქვენ (ოპოზიციის) ერის სირცხვილად იქვეცით, ისევე, როგორც ხელისუფლება — სასჯელად. თბილისისთვის კი მართლაც ჩაჯმულები ხართ. ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, ერთნაირად.



თიო ტაბატაქაილი მირატაქაი

პირადმა დასვაა ურნალისტი პრეზიდენტის თვალნი სხვა

თითქმის ერთთვიანი ამერიკული ვოიაჟის შემდეგ სააკაშვილის ქუთაისში სტუმრობა ქუთაისელ იზო მახათაძისთვის მძიმე აღმოჩნდა. მახათაძეს პრეზიდენტისთვის წერილის გადაცემა სურდა. ამის გამო იგი უცნობმა პირებმა გაიტაცეს. რამდენიმე საათის შემდეგ კი პატრულმა ტვინის შერყევის დიაგნოზით საავადმყოფოში გადაიყვანა. როგორც აღმოჩნდა, ეს პირები პოლიციის თანამშრომლები ყოფილან, მანამდე კი ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ იზო მახათაძე პრეზიდენტის დაცვის წევრებმა სცემეს. ძნელი სათქმელია, პოლიციის თანამშრომლებმა თვითონ გადამწყვეტეს თავის გამოჩენა და პრეზიდენტს არასასურველი ინფორმაცია აარიდეს, თუ ეს, მართლაც, დაცვის ინიციატივა იყო, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მსგავსი ფაქტები საზოგადოებაში უკვე ხელისუფლების მალალი თანამდებობის პირების დაცვასთან ასოცირდება, რადგან საქართველოში მალაჩინოსების პირადი დაცვის ანგარიშზე უამრავი მკვლელობა და ცემის ფაქტია.

პრეზიდენტის დაცვა მათ შორის კონკურსგარეშეა. ხშირ შემთხვევაში, ასეთ ფაქტებში უშუალოდ დაცვის წევრები არ მონაწილეობენ, მაგრამ მათ „დავალებას“, როგორც მახათაძის შემთხვევაში, პოლიციის თანამშრომლები ასრულებენ. ყველაზე მეტი მსხვერპლი საქართველოში პრეზიდენტის ვოიაჟებს მოჰყვება ხოლმე.

პრეზიდენტის დაცვის წევრსა და პოლიციის თანამშრომელ ძმებ ბერძენიშვილებს ადანაშაულებს შვილის მკვლელობაში გულიკო ამონაშვილი. შეგახსენებთ, საჯარო რეესტრის თანამშრომელი, 31 წლის ვასილ ამონაშვილი საავადმყოფოში თავის არეში მიყენებული მძიმე ტრავმით გარდაიცვალა.

დედამისის განცხადებით, მას სუფრაზე პრეზიდენტის დაცვის წევრებთან, ძმებ ბერძენიშვილებთან მოუვიდა კონფლიქტი იმის გამო, რომ თურმე ერთ დღეს საჯარო რეესტრში მისული ბერძენიშვილი ამონაშვილს ურიგოდ არ გაუტარებია. სუფრის შემდეგ, საღამოს გაგრძელებული ჩხუბი კი სავეალაო შედეგით დასრულდა, მძიმე დაზიანებებით ამონაშვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტების სვანეთში გასეირნებას შეენირა მესტიაში მცხოვრები რევაზ ცალანის სიცოცხლე. სააკაშვილს სვანეთში უკრაინის მაშინდელი პრეზიდენტი იუშენკო ჰყავდა სტუმრად, რის გამოც სვანეთი სავეალაო მართალდამცავებითა და სპეცდანიშნულების დანაყოფებით. სათიბიდან შინ მიმავალ რევაზ ცალანს შსს-ს წარმომადგენლებმა გზა გადაუღობეს და სასტიკად სცემეს, რის შედეგადაც, რამდენიმე თვიანი უშედეგო მკურნალობის შემდეგ, გარდაიცვალა.

პრეზიდენტის დაცვის შემთხვევით გადაურჩა შურნალისტი ნინია კაკაბაძე, რომელმაც მოგვიანებით ეს ისტორია პრეზიდენტს ღია წერილით მოუთხრო. იგი ბაქურიანში მყოფი სააკაშვილ-

თან მივიდა და უთხრა, რომ მთელი დღის განმავლობაში მისი ვიზიტის გამო გზა გადაკეტილი იყო. თავდაპირველად სააკაშვილმა მშვიდად უპასუხა, რომ მის გამო გზა არასდროს იკეტება. ნინია კაკაბაძის შეკამათების შემდეგ, რომ დილის ათი საათიდან გზა გადაკეტილია, მას დაცვის წევრებმა „გვერდით გაყვანა“ დაუპირეს, პრეზიდენტმა კი დაცვას მიმართა: **გაუშვით, მაგის დედაც... რაზეც ნინია კაკაბაძემ უპასუხა, უზრდელი ბრძანდებით.** ინიციატივა ამით არ ამოწურულა, ნინია კაკაბაძეს მთელი საღამო ყველგან ეძებდნენ დაცვის თანამშრომლები. საბედნიეროდ ვერ მიაკვლიეს, თორემ როგორ „აგებინებდნენ პასუხს“ პრეზიდენტის შეურაცხყოფისთვის, ძნელი წარმოსადგენი არ არის.

პრეზიდენტის დაცვისა და შსს-ს თანამშრომლების მსხვერპლი შურნალისტი ხშირად ხდებიან. ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა სამეგრელოშიც, როცა სახალხლოდ, ყინულის მოედანზე მოსრიად სააკაშვილმა ფე-



მოკიდეთ, სააკაშვილის დასვა თქვენი სიზოხლისთვის სხივითა!

ბი ილდო. ზუგდიდში ყინულის მოედანთან მისულ პრეზიდენტს კორესპონდენტ ნანა ფაფავასა და რეგიონალური შურნალის „ღია ბოქლომის“ დამფუძნებელ და რედაქტორ ილია ჩაჩიბაძის დაცვის წევრებმა და მათმა თანამშრომლებმა შსს-ს თანამშრომლებმა პრეზიდენტის თვალნი სცემეს და კამერა წაართვეს.

პრეზიდენტის დაცვას არ ჩამოუვარდებია მისი ხელქვეითების დაცვის წევრებიც. შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი დაცვის გამო სკანდალში არ გახვეულა, თუმცა მისი მეუღლე ამ მხრივ რეკორდს ხსნის. გახსოვთ, რომ სწორედ თაკო სალაყაიას, კუთვნილი უფროსის — დათა ახალაიას, ასევე კუდიის მალაჩინოსის — ოლეგ მელნიკოვის, რომელსაც არაოფიციალურად თაკო სალაყაიას დაცვა აქვს ჩაბარებული, გენერალური ინსპექციის მაშინდელი უფროსი — ვასილ სანოძისა და პრესცენტრის მაშინდელი უფროსის — გურამ დონაძის დაჯგუფებას შეენირა სანდრო გირგვლიანის სიცოცხლე. გირგვლიანს აღნიშნული პირები „შარდენზე“ მომხდარი ინიციატივის გამო გაუსწორდნენ სასიკვდილოდ.

რესტორნებში მათ ქვიფს კიდევ არაერთი ინიციატივა უკავშირდება. მაგალითად, ამ ხუთეულის სამ წევრს: თაკო სალაყაიას, მელნიკოსა და ახალაიას რესტორან „მეტეხის ჩრდილიდან“ აუორთქლებიათ გიგა ბოკერიას მეგობარი, ვინმე იკა ფერაძე, რომელიც, ალბათ, სწორედ ბოკერიასთან მეგობრობამ გადაარჩინა გირგვლიანის ბედის გაზიარებისგან. მერაბიშვილის ამ მზაურიან გარემოცვას რესტორან „მეტეხის ჩრდილი“ „მიმა მაგარიას“ სიმღერა დაუწვია, რაც ამავე რესტორანში კომპანია „ევერდის“ წარმომადგენლებთან სუფრაზე მყოფ იკა ფერაძეს გაუპროტესტებია. ამის გამო იგი სამი საათით რესტორნიდან ააორთქლეს და მისი გათავისუფლება მხოლოდ გიგა ბოკერიას ჩარევით შემდეგ მოხდა.

რაც შეეხება დათა ახალაიას ძმას, თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიას, ეცადეთ, იმ რესტორანში არ აღმოჩნდეთ, რომელიც ის ქვიფობს, თორემ იცოდეთ, რომ მისი დაცვა არამარტო ახალაიასა და მის თანამესუფრეებს იცავს, მუსიკოსებთან მივლასაც გიკრძალავთ... შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში საკუთარი განცხადების პასუხის წამოსაღებად მისულ

გაზეთ „ქართლის ხმის“ მთავარ რედაქტორს, საბა ნინიკაშვილს ფიზიკურად გაუსწორდნენ დაცვის თანამშრომლები, იგი კიბიდან დააგორეს და სცემეს.

არ გვიანდა, მეექვსე ილუზია, რომ დაცვის ყველა თანამშრომელი არაკეთილშინდისიერად იქცევა და მათ გაზიარებული უფლებები აქვთ. გააჩნია, ვისი დაცვა ხარ, თორემ ჩინოვნიკის მიერ ნაცემი ბევრი დაცვის თანამშრომელიც გვინახავს. საამისო მაგალითად გუბერნატორ დავით კირკიტაძის ინიციატივა გამოდგება, როცა დაცვის მან, პარლამენტის წევრების დროს, პარლამენტის დაცვის თანამშრომელს სასტიკად სცემდა, იმის გამო, რომ ის თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა და კირკიტაძის თანამშრომლები პირები საშვის გარეშე არ გაატარა. კირკიტაძის დაცვის თანამშრომლის მიმართ ბოდიშის მოხდა აკმატრეს, რის გამოც პრეზიდენტმა ის გამირად შეარცხა. მაშინ, წესით, ამ ისედაც არაპერსპექტიული ახალგაზრდის კარიერა უნდა დასრულებულიყო, მაგრამ, რადგან ჩვენს ქვეყანაში ასე არ ხდება, გათამამებული ნაციონალი შემთხვევას აღარ უშვებს, დაცვის თანამშრომლებზე ჯავრი რომ არ იყაროს. კირკიტაძე არამარტო


პარლამენტის, რესტორნის დაცვის თანამშრომლებსაც ერჩის. რესტორან „მონოპოლი“ ლადო ვარძელაშვილის შვილის ნათლობაზე მოქეიფე კირკიტაძემ რესტორნის დაცვის თანამშრომლებს სასტიკად სცემდა იმის გამო, რომ ერთ-ერთმა — ზვიად ბეგლარაშვილმა მის თანამესუფრეს, რომელმაც მუსიკოსებს შეურაცხყოფა მიაყენა, წესრიგის დაცვისკენ მოუწოდა. კირკიტაძის მეგობრები ბეგლარაშვილს სცემდნენ, ხოლო მის დასახმარებლად მისულ მერაბ სოლომონიშვილს კირკიტაძემ სასტიკად სცემდა. გაზულუქებული ნაციონალები რესტორნის დაცვის თანამშრომლებს იარაღითაც ემუქრებოდნენ.

კირკიტაძის მსგავსად, სახელმწიფო დაცვის თანამშრომელი პირდაპირ სამინისტროს წინაშე სცემა პეტრე ცენკარიშვილმა, იმის გამო, რომ კეპიანი ახალი მინისტრი დაცვის თანამშრომელმა ვერ იცნო და საშვი მოსთხოვა. ცისკარიშვილს მისთვის ბოდიშის მოხდაც არ უფიქრია.

ამ ქვეყანაში ასეა, დაცვის თანამშრომლებს ხან მოვალეობის შესრულებისთვის „სჯიან“, ხან ამ მოვალეობის შესასრულებლად გადაჭარბებულ უფლებებს ანიჭებენ. პირადი დაცვით უზრუნველყოფა საქართველოში არცთუ მცირე ფუფუნებაა, თუმცა ამ ქვეყანაში არც დაცვის არსებობა ნიშნავს უსაფრთხოებას, რადგან ზოგჯერ ისეც ხდება, რომ, დასაცავი პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მასზე პასუხისმგებელ პირს აწინაურებენ კიდევ, რისი ნათელი მაგალითიც პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება და მისი დაცვის წევრის გამგებლად დანიშნვის ისტორიაა.

სოფო ბელაშვილი

ამიერი



კლიმიაშვილმა პრეზიდენტი გაპოიბია

პოლიტოლოგმა რამაზ კლიმიაშვილმა არც აცია, არც აცხელა და დაასკვნა: „არ ვხუმრობ, სააკაშვილის დაპატიმრება მზადდება“. მისი აზრით, მიუღწევრი რანგის ადამიანი საქართველოში უბრალო საქმისთვის არ ჩამოვიდოდა. „ეგროსაბჭოში ჯერ კიდევ 30 სექტემბერს გააკეთა ჰაგაში განცხადება, რომ პროკურატურამ სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებებისთვის გამოძიება უნდა დაიწყოს. საქართველოს პრეზიდენტს ხელბორკილებით რომ წაიყვანენ აქედან, ფაქტია“, — განაცხადა კლიმიაშვილმა.



ვინ მიღის აქსიაზე?

„ალიანსი საქართველოსთვის“ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი 26 მაისს რუსთაველის გამზირზე დაგვიმლო აქციაში მონაწილეობას არ მიიღებს. მიზეზი მოაკვეთინებელია — საარჩევნო რეჟიმში ვეშაობთ და აქციებისთვის არ გვცალიაო, მაგრამ, თუ მაინც გამოჩნდება ალიანსში რომელიმე მოცილილი პოლიტიკური სუბიექტი, მას დიდულოვნად დართავენ ნებას, ინდივიდუალურად მიიღოს გადაწყვეტილება. აქციას ემიჯნება პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილიც.



მიტინგი თუ ალღუი

„26 მაისს რუსთაველის გამზირზე საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ალღუის ნაცვლად ოპოზიციის საპროტესტო აქცია გაიმართება“, — იმუქრება „ეროვნული საბჭო“. ხელისუფლებას კი ეს დღე თბილისში არც შარშან უხეშია და, როგორც ჩანს, არც ნელს აპირებს. პრაიმერის ტეპი მაინც პრევენციულად დაობენ, რომ „სახელმწიფო საზეიმო მდგომარეობაში არ იმყოფება. ქვეყანას, რომელმაც 2008 წლის ომი გამოიარა და ტერიტორიები დაკარგა, ზეიმის მორალური უფლება არ აქვს“.



აშუ-ს გაკოტრების პიკი ელის

ფინანსური რეგულატორების მოთხოვნით პარასკევს აშუ-ში 4 ბანკი დაიხურა. ექსპერტების პროგნოზით, გაკოტრების ტალღა პიკს მესამე კვარტალში მიაღწევს. ანაბრების დაზღვევის ფედერალური კორპორაციის მონაცემებით, წლის დასაწყისიდან ამ დრომდე ქვეყანაში უკვე 68 ბანკი დაიხურა. ყველაზე მეტად ფიზიკურ პირებზე მომუშავე ბანკებს გაუჭირდა, რადგან სახელმწიფო მხოლოდ მსხვილ ფედერალურ სტრუქტურებს ეხმარება, თუმცა ამ უკანასკნელებისთვისაც კრიზისი ამ დრომდე გრძელდება.

ზურაბ გაგნიძე: 30 პერსონალ გავიდა თარგობაზე ასლან სარგებელზე დაბეჭდილი

წინასაარჩევნო პროცესი უფრო და უფრო დამინტრიგებელი ხდება. მართალია, პრეზიდენტმა 2010 წელი „სტაბილიზაციისა და გარდატეხის წლად“ გამოაცხადა, მაგრამ ხალხს არ სჯერა, რომ არჩევნები უექსცესობად, სამართლიანად და დემოკრატიულად წარიმართება. პოლიტიკოსთა და ექსპერტთა გამოვლენებში უკვე გაიჭურა პოლიტიკური ავდრის მოსალოდნელი პროგნოზებმა. ფინანსისტთა ინფორმაციით, წლებიდან წელიწადი არჩევნები ნახევარ მილიარდ დოლარამდე ჯდება და დესტაბილიზაციით ამ თანხის წყალში გადაყრა ქვეყანას საბოლოოდ გატეხს წელში. თუ არა და... დღეს სამართლიანი არჩევნების ჩატარება ყველაზე მეტად საერთაშორისო იზოლაციაში მყოფ პრეზიდენტს სჭირდება. რა ადგილი უჭირავს და რა რეიტინგი აქვს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატებს“ და მის კანდიდატებს წინასაარჩევნო პოლიტიკურ სპექტრში, გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.



ხელს აწერდა გადაწყვეტილებას და იღებდა პასუხისმგებლობას, შემდეგ თავისი პირადი ქონებით აგებდა პასუხს.“
ეს ყველაფერი ხელისუფალთა ინტერესშია, თანხვედრა აშკარაა. გიორგი ამ შემთხვევაში რუპორია. ეტყობა, ხელისუფლება საკამეილის ნავიდან გადახტარის მილიონერების „გაბეჭდა“ აპირებს, თანაც სურს, ნოლიადელი მანტაფის ქვეშ ჰყავდეს.
გიორგი თარგამაძე კონკურენტუნარიანი მოთამაშეა, საკმაოდ ანგარებიანი. მასაც, დიდი ხანია, ყელზე ადგას სხვათა მოხვეჭილი სიმდიდრე და გავლენა — „ხელისუფლებაში სკოლის მერხიდან მოსული ადამიანები (უნივერსიტეტის მერხიდან კი არა) ისეთი მასშტაბის ქონებას ფლობენ, რომ ბიზნესში დიდი ხნის

მოუტანს. თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობაზე დაითანხმეს, მაგრამ ამბობს, რომ ამით პოლიტიკაში ფეხის შედგმას არ აპირებს... თბილისის ჰყავს საუკეთესო მერი გიგი უგულავას სახით.
განა ინვა გრიგოლი არ აცხადებდა საქვეყნოდ, რომ სკოლონდა პატარაკაციშვილი პოლიტიკაში წავიდა, იმავე წუთიდან დატოვებდა „იმედს“. ინგას გაპოლიტიკოსება გიორგი თარგამაძის დამსახურებაა. მან სასწორის ერთ პუნაზე გია ჭანტურია დააყენა — აპოლიტიკური და მეურნე კაცი, ხოლო მეორეზე — პროგრესულად მოაზროვნე ინტელექტუალი ქალი, რომელმაც თავისი ნიჭითა და უნარით ავტორიტეტი მოიხვეჭა და ერთიან ეროვნულ გადართან 7 ნომბრის ტრაგედია. საქმისანი მილიონერი გია ჭანტურია ამბობს, რომ 7 ნომბრის შესახებ არც კი გაუგია. აღარაფერს ვამბობ „უწინფარ“ გაუნიაზე, რით დაიმსახურა ამ ახალგაზრდამ მილიონიანი ქალაქის მმართველ გუნდში ყოფნა? ამგვარ კანდიდატურათა შერჩევა გველევით ჭკვიანი კაცის სიფრთხილია.
— რას გულისხმობთ ამ სიფრთხილით?
— გიორგი თარგამაძე დიდ ამბიციას მალავს „გასანმენდი შავი სათვალის“ მიღმა.
როგორც თვითონ პრეზიდენტმა თარგამაძემ ბრძანა, გიორგის ოცნებაა: „საქართველო რაც შეიძლება სწრაფად იქცეს ქრისტიან-დემოკრატიულ ქვეყნად. ამ მიზნისთვის საპარლამენტო არჩევნებში უნდა ბაი-მარჯობა, მთავრობაში უნდა მოხვიდეს და საპარტიო კანდიდატურაში უნდა გყავდეს“.
მზადაა, ამ მიზნისთვის ყველა და ყველაფერი ხიდად გაიდოს. სააკაშვილი ამას ხედავს, ამის დასტურია მისივე ნათქვამი თარგამაძის მიმართ: „ოღონდ ჩვენი ხელისუფლება შეიცვლება და, ხალხი, თქვენ მოხვალთ... მაგრამ კურსს ვეღარ შეცვლით.“
ამ არჩევნების მიზანი პრეზიდენტის ძალაუფლების შეზღუდვა და შემდეგ მისი მშვიდობიანი ჩამოცილებაა. გიორგი თარგამაძე ამ სცენარის თარგმანი ემზადება. არჩევნების შემდეგ თუ სიტუაცია აირევა, კანდიდატებში მომგებიანი გადასაწინააღმდეგებელია აქვს — ავტორიტეტზე და ფულზეც. როგორც ყოველთვის, 30 ვერცხლად გაყიდული თარგამაძე ახლაც სარგებელზე დაგებული და მოსალოდნელ სცენარში თავისთვის სასარგებლო როლს ეტეხს. მას ხელთ აქვს ნილაბი, მახვილი და ფარი; იმედოვნებს, ნასწავლი და ნაცადი ხერხებით ყოველივე წარმატებით გამოიყენოს. მაგრამ ეს გზა გრძელი, ძნელი და მოულოდნელობებით აღსავსეა. ცუდი ისაა, რომ ამ ჯურის „კაცუნები“ მაღალი სკამისთვის არც მფარველებს ინდობენ.

ამ ჯურის «კაცუნები» მაღალი სკამისთვის არც მფარველებს ინდობენ

— ბატონო ზურაბ, რა დგას „ქრისტიან-დემოკრატების“ კონსტრუქციულობის მიღმა — საქვეყნო საქმისადმი ფრთხილი დამოკიდებულება თუ თავდაცვითი სვლები?
— „ქრისტიან-დემოკრატებს“ ხალხი ოპოზიციად არ აღიქვამს, მას „არაჯანსაღ“ ოპოზიციად მიიჩნევენ. თვით ყოფილი სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ერთ-ერთ ინტერვიუში ცინიზმით ამბობს, რომ „ქრისტიან-დემოკრატები“ „თვითონ თვლიან, რომ ოპოზიცია არიან“. მათი ლიდერის — გიორგი თარგამაძის რეიტინგი უკვე კიდევ ასეა აბაშიძესთან მუშაობის უამს დღედა ეტყვევებ, ხოლო მნიშვნელოვანად შეირყა ტელეკომპანია „იმედის“ დახურვისას. გიორგი თარგამაძემ პარლამენტში ხელახალი შესვლისას, როდესაც მთელ ოპოზიციურ სპექტრს გამოეყო, კარგად იცოდა, პოლიტიკურად რა სასტარტო სიტუაცია ჰქონდა. ამიტომ მას არც ხალხი და არც ერთი პოლიტიკური ძალა არ ენდობა.

ციონალებისგან გამიჯვნისკენ, მოითხოვდნენ ეროვნული უშიშროების საბჭოს სტრუქტურულ რეორგანიზაციას, ახალი საპარლამენტო კომისიის შექმნას გახმაურებულ მკვლევარების გამოკვლევების შედეგად. პრეზიდენტმა სადაზღვევო კომპანიების სპეცსამსახურები პარლამენტს დაექვემდებაროს. მათ 2010 წლის ბიუჯეტში დაიუნხეს, ოღონდ ცხარე კამათი იმის შემდეგ გაიმართეს, როცა სამთავრობო ლოჯაში არც ერთი მაღალჩინოსანი და პასუხისმგებელი პირი აღარ იჯდა.
ხალხი ხვდება, რომ საპარლამენტო ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი საკითხები ნინასწარ შეთანხმებულა ხელისუფლებასთან და მათ ნისქვილზე ასხამს წყალს. ასე რომ, „ქრისტიან-დემოკრატები“ იმათ უმაგრებენ ზურგს, ვინც ქვეყანას ანგრევს. რა აზრი აქვს მათ ხელოვნურ, ხეიბარ ოპოზიციონერობას?!
თარგამაძე ცალი ხელი ვითომ „ოპოზიციონერის“ სადავს ეპოტინება, მეორეთი — ხელისუფლების კეთილგანწყობას. ამ ქმედებით ის პოლიტიკარბიელზე სარგებელს ელის. ამჟამად კი იგი ამ ხელისუფლების პოლიტიკური გარნიზონი, რომელსაც არასოდეს ახედებენ პოლიტიკურ სამზარეულოში და გაკვეთს დისტანციას უკავრავთ.

მყოფ ადამიანებსაც გაუჭირდებაო“. იგი ისწრაფვის, გახდეს მდიდარი და გავლენიანი, რისთვისაც დიდი სიფრთხილი და მოხერხება მართება.
— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვი „ქრისტიან-დემოკრატების“ მერობისა და საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატებზე: გია ჭანტურიასა და ინვა გრიგოლიაზე?
— რაც შეეხება გია ჭანტურიას, კულტურული ინფორმაციით, მას არჩევნებში მონაწილეობა ხელისუფლებამ დაავიწყა. გიორგი თარგამაძეს კი ნიჭი აქვს, „მილიონერები“ ათამაშოს, მათი სისუსტეები და მინუსები დაინახოს, იქცეს მათ მრჩეველად და იმიჯმეიკერად; რაც მთავარია, მათი ფული და გავლენა საკუთარი კარიერის ტრამპლინად გამოიყენოს. ამ გზით გახდა ასლან აბაშიძის რჩეული, ხოლო ბადარი პატარაკაციშვილისთვის — მისაღები პიროვნება. ამჯერად დღის ნესრიგში გია ჭანტურია ჰყავს, რომელსაც ჩვეულებრივი ხრიკებით მუდგა და მისი კანდიდატურის აპოლოგეტად იქცა: „წლების განმავლობაში ის უპრობლემოდ აკეთებდა თავის საქმეს, ძირითადად, აზერბაიჯანში, რადგან საქართველოში მისთვის ადგილი არ მოიხაზა... ერთ-ერთი წარმატებული პროექტი „თბილისი-ბაქო-ჯეიჰანი“ მისი გაკეთებულია“ და საზოგადოების კითხვას — გია ჭანტურიაზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრულია როგორ იღებს არჩევნებში მონაწილეობას? — თარგამაძე პასუხობს: „ორი წელია, მისი ოფისი პრობლემებისა გარეშე მუშაობს, თუ ვინმეს გაუჩნდა შიში, რომ მათ კანდიდატზე ძლიერი ოპონენტი გამოჩნდა — ეს ჩვენი კანდიდატურის სიძლიერეზე მიუთითებს“. თარგამაძეს პიარი არ უჭირს, მაგრამ გია ჭანტურია იცის, პოლიტიკალიტორებთან შერკინება კარგს არ

რატომ ნავიდა თარგამაძე პარლამენტში? იმიტომ, რომ მას პოლიტიკაში დაბრუნების უფლება აქვს. მისი უფლებამ დააფუძნა, მას ეკუთვნის და დღემდე თვითონ ხელმძღვანელობს.
„ქრისტიან-დემოკრატებმა“ ამ საკითხზე გაჩუმება არჩიეს, ნეტავ, რის სანაცვლოდ?! ამას შეიძლება კარს მომდგარმა არჩევნებმა გასცეს პასუხი.
— ბატონო ზურაბ, ამბობენ, რომ ოპოზიციის იმიტომ არ ჩაერთა აქტიურად ცესკოს თავმჯდომარის არჩევნებში, რომ გაყალბების შემთხვევაში ამას საბაბად გამოიყენებენ...
— სხვისი არ ვიცი, მაგრამ ეს თარგამაძის მხრიდან არის „რადიკალური სანაცვლოდ“. მათ, მითითებისა-მებრ, მხოლოდ სიმართლენარევი რეაქცია უნდა ჰქონდეს და სამოქალაქო მიმოსვლის აღდგენის წინააღმდეგაც გაილაშქრეს, მაგრამ საზოგადოებას დაუმაღლა, რომ სომხებმა საქართველოს პრეზიდენტს ამ გზის გახსნისთვის მილიონი დოლარი გადაუხადეს. აგრეთვე, მოუწოდებდნენ სააკაშვილს ნა-

მისი როლია, პარლამენტს ოპოზიციური ფონი შეუქმნას, წარმართოს დებატები კონსტრუქციულად. სიმართლე უნდა ითქვას, ამ სპექტაკლს თავს მშვენივრად ართმევს. მას ეს როლი სჭირდება. დღეს თარგამაძის ნიშა ხელისუფლებისთვის მომგებიანია, სამომავლოდ კი — დასაფიქრებელი.
ხელისუფალთა და თარგამაძის ფრაქციას შორის რომ

„ბლოკჯორჯია“ კი, რომელმაც წლების მანძილზე ვერ შეასრულა კონტრაქტი გათვალისწინებული პირობები, საქართველოში ბენდუქიძესთან ერთად ზურაბ ნოლიადელმა შემოიყვანა. თარგამაძე ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „მე მოლაშქრის გზა-რი არ მისწავნებია, მაგრამ, თუ ისიცაა პასუხისმგებელი ძარბოვლის ჯანდაცვის განაღებურებაზე, მანაც უნდა ამოს პასუხი“.

მშვენივრად ფუთავს დამაჯერებელი ტონით სიყალბეს, მიუხედავად იმისა, რომ პირნავარდნილი დემოკრატია და ფსევდოდემოკრატია. ლიბერალის ნილაბი შნოიანად მოირგო, სიცრუეშიც არასოდეს კარგავს გონივრულ ლოგიკას. ოპოზიციონერობასა და სახელმწიფო მოხელეებთან ურთიერთობას აბალანსებს. ყველა სიტუაციიდან შეუძლია გველური ჭკუითა და მანევრირებით გამოეყრეს. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ კარგად ჩაჯდა საპარლამენტო ოპოზიციის როლში და დღევანდელ კრიმინალურ ხელისუფლებასაც მოერგო.


უფრო მეტიც, იგი აღიარებს: „პირადად მე მივემართე საქართველოს პროკურატურას, დანიხონ გამომიგება და „ბლოკჯორჯიას“ კონტრაქტის პირობების შესწავლა“, თან დასძენს: „ბისმარკის მთავრობაში ყველა წარმომადგენელი, ვინც

„ბლოკჯორჯია“ კი, რომელმაც წლების მანძილზე ვერ შეასრულა კონტრაქტი გათვალისწინებული პირობები, საქართველოში ბენდუქიძესთან ერთად ზურაბ ნოლიადელმა შემოიყვანა. თარგამაძე ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „მე მოლაშქრის გზა-რი არ მისწავნებია, მაგრამ, თუ ისიცაა პასუხისმგებელი ძარბოვლის ჯანდაცვის განაღებურებაზე, მანაც უნდა ამოს პასუხი“.

„ბლოკჯორჯია“ კი, რომელმაც წლების მანძილზე ვერ შეასრულა კონტრაქტი გათვალისწინებული პირობები, საქართველოში ბენდუქიძესთან ერთად ზურაბ ნოლიადელმა შემოიყვანა. თარგამაძე ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „მე მოლაშქრის გზა-რი არ მისწავნებია, მაგრამ, თუ ისიცაა პასუხისმგებელი ძარბოვლის ჯანდაცვის განაღებურებაზე, მანაც უნდა ამოს პასუხი“.

კვლავ კატინის ტრაგედიის შესახებ

პირველი წერილი „კატინის ტრაგედია. ვილაც ძალიან ცდილობს გებელსის გეგმის განხორციელებას“ ჩვენი გაზეთის №16-ში დაიბეჭდა. შეგახსენებთ, რომ 1941 წელს ჰიტლერელმა ფაშისტებმა ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე, კატინის ტყეში, დახვრიტეს პოლონელი ოფიცრები და ხელი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შეაწმინდეს. მესამე რაიხის პროპაგანდის მინისტრი გებელსი ამტკიცებდა, რომ „ოპერაცია კატინი“ „თითქმის პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს და ქვეშევრდომებს მოუწოდებდა, „კატინის საქმით გაეუფლინათ საერთაშორისო დებატები“.



კატინის ტრაგედიის მემორიალი

ბუჟინსკი გაგაღის ვერსიას იმპორტს?

მოუწოდებდა და გაუფლინებდა, თანაც ისე, რომ დღესაც ძნელია სიმართლის გამორჩევა სიცრუისგან. ამიტომ ამოქმედეს გებელსის პროვოკაცია №2 და ცდილობენ, მსოფლიო დააჯერონ 69 წლის წინათ შემოგდებულ მასშტაბურ პროვოკაციაში.

ყველას ვერ არწმუნებენ, უწინარეს ყოვლისა, გერმანელებს, რომელთა უმრავლესობა ოფიციალურ ვერსიას კატინის ტრაგედიაზე სიყალბედ მიიჩნევენ.

გერმანელი პუბლიცისტის, მოძრაობის „სახალხო ინიციატივა“ ლიდერის იურგენ ელ-ზესერის საიტის სტუმრები ასეთ კომენტარს აკეთებენ:

ერიხი: „ისლად გერმანია, დაეცა, რომ ე.წ. საბჭოთა დანაშაული კატინი იყო გებელსის ბინძურ გამოგონებათაგან ერთ-ერთი, რომლისაც იმ დროს არავის სჯეროდა, მაგრამ შემდგომ, როცა ეს პოლიტიკურად მიზანშეწონილად მიიჩნიეს, კვლავ ამოატივტივდა ამერიკულმა პროპაგანდამ... და დღეს ყველა რეაქციული ძალა წარმოგვიდგენს, როგორც თავისთავად ნაგულისხმევ ქვეყნარტებს“.

დომინიკ ვიტი: „მას, ვისაც სჯერა ისეთი სამხედრო დამნაშავეების, როგორც ჰიტლერი, რომლებიც უაზრობას ლაყობდნენ საბჭოთა კავშირში ჩადენილ მკვლელობათა შესახებ, იმ ქვეყანაში, რომელსაც ვერაგულად თავს დაესხნენ, მას ველარაფერი უშველის! ჰიტლერული აგრესორი სახელმწიფოს გაიგივება საბჭოთა კავშირთან ყოვლად დაუშვებელია“.

ამის პარალელურად, დასავლეთის ინტერპრეტაციით, კატინი აბსოლუტურად ირაციონალურ მასშტაბს იძენს. ბარაკ ობამას მრჩეველმა, პოლონური წარმოშობის ამერიკელმა ზბიგნეჟ ბუჟინსკიმ ოფიციალურ ვარსკვლავს მოუწოდებდა, ავიაკატასტროფაში დაღუპული პრეზიდენტის — ლეჰ კაჩინსკის საფლავი კატინის მსხვერპლთათვის თავყანისციემის ადგილად აქციონ (?!). ძალიან ჰგავს ეს მონოდება გებელსის მხარდაჭერას.

საიდან სადაო, პატივცემული ბუჟინსკი?!

მოასვენეთ ბარდაცვლილი სულაბი!

ახლა კი კვლავ კატინის ტრაგედიის გამოძიებას დაუბრუნდეთ, რომელიც 14 წელიწადს მიმდინარეობდა წი-

ნასწარ და მკაცრად დადგენილ საზღვრებში — არც ერთი ნაბიჯი დასასვენებლად ვერც მიღმა!

მაგალითად, რუსეთის მთავარი სამხედრო პროკურატურის გამოძიებებს აეკრძალათ დაეკავშირებინათ პოლონელი სამხედრო ტყვეების ნაწილის დახვრეტა 1940 წელს, პოლონეთ-რუსეთის 1920 წლის ომის პერიოდში მათ მიერ ჩადენილ სამხედრო დანაშაულებთან, აგრეთვე, 1919-1922 წლებში პოლონეთის ტყვეობაში დიდი რაოდენობით სამხედრო ტყვეებისა და ინტერნირებული საბჭოთა მოქალაქეების დახოცვასთან.

გაიკვია, რომ კატინის ტრაგედიის გამოძიების პროცესში პოლონეთის მხარემ გადაწყვეტილი გავენა იქონია გამოძიებაზე. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ დაღუპული პოლონელი ოფიცრების სიყვარული უფდესი ნაწილი მთავარი სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო ბრიგადის პოლონეთის მხარემ გადასცა. ამ სიყვარულს საქმეებს ურთავდნენ ისე, რომ არ ამოწმებდნენ პოლონელთა დაღუპვის ადგილს, დროსა და სიკვდილის მიზეზს. გაუგებარი რჩება, რატომ გადაეცა რუსეთის ტერიტორიაზე ერთობლივი ექსპერტიზის პროცესში მოპოვებული ნივთმტკიცებულებანი პოლონეთის მხარეს ყველა პროცესუალური ნორმის დარღვევით?

კატინის დანაშაულის დამოუკიდებელი გამოძიების პროცესში, რომელიც მიმდინარეობდა საერთაშორისო პროექტის ფაქტობრივ „სიმართლე კატინის შესახებ“, მოპოვებული იქნა ინფორმაცია, რომლის თანახმად 1939-1940 წლებში შინსახკომის ორგანოებმა დახვრიტეს ყოფილი პოლონეთის 3.200 მოქალაქე: გენერლები, ოფიცრები, პოლიციელები, ჩინოვნიკები და სხვები, ვისი სამხედრო და სისხლის სამართლის დანაშაული დამტკიცებული იყო სასამართლოს მიერ. პოლონელ ოფიცრთა ნაწილი 1941 წლის შემოდგომაზე ნაცისტებმა დახვრიტეს კატინის ტყეში, მეორე ნაწილი სხვადასხვა მიზეზით დაიღუპა ომის დროს შინსახკომის ბანაკებში. პოლონელი ტყვეების ნაწილი კი გადარჩა, მაგრამ მათ სამშობლოში ამჯობინებენ, მიაკუთვნონ ისინი კატინის მსხვერპლთა რიცხვს.

ცოცხლებზე, როგორც დახვრეტილებზე ლაპარაკობენ. ეს უკვე მკრეხელობაა!

კიდევ ერთ მკრეხელობასა თუ სკანდალში ამხილა კიევის საზოგადოება „მემორიალმა“ პოლონელი ექსპერტები, რომ-

ლებმაც ექსპერტიზის წესების დარღვევით 2001-2006 წლებში გათხარეს „პოლონური“ საფლავები კიევის ბიკოვ-ნას ტერიტორიაზე და ისე შეატრიალეს საქმე, რომ კიევი დახვრეტილი და ბიკოვანში დაკრძალული 150-270 რეპრესირებული პოლონელი მოქალაქე 3500 დახვრეტილ პოლონელად წარმოადგინეს; საქვეყნოდ განაცხადეს, რომ მათ მიაკვლიეს 1940 წელს შინსახკომის მიერ დახვრეტილ ოფიცრებს.

ნეკროფილიისადმი საოცარი მიდრეკილება!

ეს ფაქტი ჯერ კიდევ 2006 წლის 11 ნოემბერს კიევის ყოველკვირეულმა „ზურკალ ნედელიმ“ გამოიტანა საჯაროდ.

ანალოგიური „მკვდრების მითვისება“ (ღმერთო, მაპატიე!) გაიმეორეს პოლონელმა ექსპერტებმა მედნის სპეცსაზღაოსთან დაკავშირებით. კარგა ხნის დადგენილია, რომ ამ სპეცსაზღაოზე დამარხულია 5000 საბჭოთა მოქალაქე — 30-იანი წლების რეპრესიის მსხვერპლი. მაგრამ მათ ნაცვლად პოლონელმა არქეოლოგებმა 1991 წელს „აღმოაჩინეს“ 25 „პოლონური საფლავი“, რომლებშიც თითქოს 6311 დახვრეტილი პოლონელი პოლიციელი განისვენებდა (!).

სად გაქრა დახვრეტილი საბჭოთა მოქალაქეების საფლავები?!

ასეთი მანიპულირება ძალიან ჰგავს „მკვდარი სულებით“ ვაჭრობას, თუნდაც — კონიუქტურულ კამათს ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის, რად-



მასობრივი ექსპერტიზა კატინში

გან რუსეთელი ექსპერტების მტკიცებით, აქ (მედნის სპეცსაზღაოზე) შეიძლება დამარხული იყო 3000 დახვრეტილი პოლიციელი. შეიძლება, ასეც არის, შეიძლება — პირიქით, მაგრამ დარწმუნებით ვერავინ ვერავინ ამბობს, რადგან გამოძიება არავის ჩაუტარებია. როგორც ვთქვით, სისხლის სამართლის საქმე №159 გარკვეულ ჩარჩოებში იყო მოქცეული: ნაბიჯი — მარჯვნივ კატეგორიულად იკრძალებოდა.

ემსახურეთ სიმართლეს!

ბელგრადის გაზეთის „ვეჩერნი ნოვოსტის“ 1989 წლის მარტის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა წერილი, რომელიც უნგრელი პათოლოგ-განატომი ორსოსი იუგოსლაველ მზვერავთან ვლადიმირ მილოვანოვიჩთან საუბარში, რომელიც 1947 წელს გამართულა, ამტკიცებდა, რომ კატინში მუშაობის დროს იგი დარწმუნდა, რომ პოლონელი ოფიცრები დახვრიტეს ნაცისტებმა!

ორსოსი შემთხვევითი კაცი არ იყო: ბუდაპეშტის უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინისა და კრიმინალისტიკის პროფესორი გახლდათ. საქმეში, გარკვეული ადამიანების თქმით, იგი წამყვანი ფიგურა იყო იმ 11 ექსპერტს შორის, რომლებიც ნაცისტების დავალებით 1943 წლის 28-30 აპრილს ექსპერტიზის ანარქოებდნენ კატინში (თხების მთებში). სწორედ მან, ორსოსმა შეადგინა თავის დროზე

დასკვნა, რომლითაც გერმანელებმა პოლონელთა დახვრეტაში დაადანაშაულეს საბჭოთა კავშირი... მაგრამ შემდგომ გამოიწვია თავისი ხელმოწერა.

ახლა მოვუსმინოთ ნაცისტების მიერ დაქირავებულ ჩვე პროფესორ ფრანტიშეკ ვაიკს, სასამართლო მედიცინის დოქტორს პრაღიდან. 1946 წელს მან გამოსცა ნიგნი „კატინის მტკიცებულებანი“, რომელიც არაორაზროვნად მიუთითებს, რომ პოლონელები დახვრიტეს ნაცისტებმა 1941 წლის ბოლოს, თუმცა ადრე, როგორც ექსპერტი, სანაშაულობის ამტკიცებდა. „ჩემი საჯარო განცხადებები (გერმანელთა სასარგებლოდ) ნებაყოფლობით არ გამიკვეთება.“ — ნერს იგი, — ყველა ჩვენგანისთვის ნათელი იყო, რომ, თუ ოქმს ხელს არ მოვაწერდა, რომელიც პროფესორმა ბუტცმა ვროცლავიდან და პროფესორმა ორსოსმა ბუდაპეშტიდან შეადგინეს, ჩვენი თვითმფრინავი არავითარ შემთხვევაში უკან არ დაბრუნდებოდა“.

გაეკმა ნიგნის შესავალში სპეციალურად გაუსვა ხაზი იმ გერმანელებს, რომ ნიგნი მისი ინიციატივითა დაწერილი და გამოცემული და რომ იგი არავითარ შემთხვევაში რუსების მხრიდან არ განიცდიდა.

სულ ახლახან რადიო-სადგურმა „გოლოს როსი“ თეთრი დაუთმო ისტორიკოს თ. ბუშუევას, რომელმაც უარყო ოფიციალური ვერსია. მან განაცხადა, რომ ვარშავის 1944 წლის აჯანყების შესახებ დოკუმენტური მასალების კრებულში შეტანილი ესე-სელი მოიერიშის, უნგრელ გუსტავ დავითაზის ჩვენება, რომელიც 1944 წლის ოქტომბერში ვარშავაში იმყოფებოდა, ფრიად მნიშვნელოვანია. 1947 წელს ზალცბურგის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე წარმდგარმა ამ ესესელმა განაცხადა, რომ ომის დროს ერთ-ერთ დანგრეულ სახლში იპოვა რეგული ჩანაწერებით გერმანულ ენაზე. ეს იყო კატინის ტყეში 12 ათასი პოლონელი ოფიცრის მკვლელობის ალენა. თვითმხილველი და მონაწილე გერმანელი ამ ერისთვის დამახასიათებელი სკრუპულოზური თით ალენდა კატინის საშინელ ტრაგედიას.

უამრავი ასეთი დადასტურებაა უგულვებელყოფილი გამოძიების მიერ. მაგალითად, 1947 წლის 5 ივნისს ამერიკელმა კაპიტანმა ბ. ახტმა ქ. ბამბერგში, რომელიც მაშინ აშშ-ის საოკუპაციო ზონაში იყო მოქცეული, დაკითხა გერმანელი მოქალაქე ვილჰელმ გაულ შნაიდერი. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ 1941-1942 წლებში, მაშინ, როცა საგამოძიებო ციხე „ტეგელში“ იმყოფებოდა, იგი აღმოჩნდა გერმანელ უნტერ ოფიცერთან ერთად ერთ საკანში. ადრე ეს კაცი მსახურობდა სადამსჯელო პოლკში „დიადი გერმანია“. უნტერ ოფიცრმა შნაიდერს მოუთხრო, რომ 1941 წლის „გვიანი შემოდგომით, უფრო ზუსტად, ოქტომბრის ბოლოს, მისმა პოლკმა განახორციელა მასობრივი მკვლელობა — დახვრეტა ათათასზე მეტი პოლონელი ოფიცერი ტყეში, რომელიც, მისი თქმით, კატინის მახლობლადაა.

კატინის ტრაგედიას აქტიურად განიხილავენ ინტერნეტ ფორუმებზე, მათ შორის, სერბეთშიც. აი, რამდენიმე ამონაწერი, რომლებიც საინტერესო უნდა იყოს კატინის პრობლემით დაინტერესებული მკითხველებისთვის:

„1943 წელს ჰიტლერმა პირადად გასცა ბრძანება, გაეთხარათ პოლონელი ოფიცრების საფლავები, რომლებიც გერმანელებმა სმოლენსკის შემოგარენში დახვრიტეს, რათა მსოფლიოსთვის წარედგინათ „მოსკოველი ებრაელების“ ბრძანებით შინსახკომის მიერ პოლონელების დახოცვის „უტყუარი დადასტურება“.

1943 წლის 13 მარტს ჰიტლერი ჩაფრინდა სმოლენსკში და შეხვდა ვერმახტის პროპაგანდის განყოფილების უფროსს, პოლკოვნიკ ხასო ფონ ვედელს, რომლის ოფიცრები მუშაობდნენ სმოლენსკსა და თხების მთებში და ამზადებდნენ პირველად პროპაგანდისტულ მასალებს „კატინის საქმეზე“. ექვს თვეში ჰიტლერმა ფონ ვედელს გენერლის წოდება მიანიჭა; უეჭველია — იმ პროვოკაციის კარგად ორგანიზებისთვის, რომელიც კატინის ტრაგედიის გამო საბჭოთა კავშირს მიანერეს.

„კატინის საქმე გებელსმა მსოფლიოს 1943 წელს მოსდო. მოხდა სასწაული: ემიგრაციაში, ლონდონში მყოფმა პოლონეთის მთავრობამ მყისიერად აიტაცა გერმანელების ვერსია და სრულად დაივიწყა ის საშინელებანი, რომლებიც ფაშისტებმა პოლონეთში დაატრიალეს.

ასე იყო. დღეს რატომ მეორდება იგივე? იმიტომ, რომ საქმე ეხება რეპარაციებს, უზარმაზარ თანხას, რომლის გადახდაც რუსეთს დაწინდებს. პოლონეთის პრესაში პრევალირებს ვერსია, რომლის თანახმად, კატინის ტრაგედია „გენოციდად“ არის წარმოდგენილი. ამის გამოა, შენიშნავენ ექსპერტები, რომ კატინში დაღუპულთა ათობით ნაეთესავე შესაბამისი სარჩელით უკვე მიმართა ადამიანის უფლებათა დამცველ სასამართლოს სტრასბურგში. გამორიცხული არ არის, რომ მათი რაოდენობა რამდენიმე ათასამდე გაიზარდოს. ასეთ შემთხვევაში რუსეთის მიმართ ფინანსური პრეტენზია ოთხ მილიარდამდე აშშ დოლარს მიიღწევს.

ცოტა არ არის! მკვლევარების ეს ვარაუდი უახლესი ისტორიის გამოცდილებას ეფუძნება: 1989 წელს პოლონეთის მთავრობამ დააკვირა საკითხი, რათა საბჭოთა კავშირს აენაზღაურებინა მატერიალური ზარალი, რომელიც პოლონელებმა „სტალინიზმის“ გამო განიცადეს. ეს იყო კარგად გათვლილი ჩანაფიქრი, რომლის მიზანი საბჭოთა კავშირისადმი პოლონეთის ვალის — 5,3 მილიარდი რუბლის ანულირება იყო. მაშინდელი კურსით ეს თანხა 8 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი იყო. შედეგად, 90-იანი წლების დასაწყისში პოლონეთს ვალი ჩამოაწერეს.

ემსახურეთ სიმართლეს! — ლაღადებენ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ გმირთა სულები.

არაჟაჟ სანაზლიკი

ძმთა სასაფლაოზე გატანილი ქართული პური

რეპრესიები და ომები ყველა დროში ბოროტებაა და ეს არაერთხელ დადასტურებულა. თუმცა ისტორიულ მონაცემებზე მეტყველი მაინც რეპრესიებისა და ომებისგან დაზარალებულ ოჯახთა მონაწილეობის მცხოვრები 16 წლის მოზარდისა და მისი ბაბუის ისტორია, რომლის საფლავიდან ერთი მუჭა მინის პეტერბურგში ჩატანაზე ოცნებობს ბიჭი... თითქმის საყოველთაო რუსოფობიის პირობებში მას რუსთმოდულობის გაცვილებით მეტი საბაბი უნდა ჰქონოდა, როგორც „ხალხის მტრად“ შერაცხულის შვილთაშვილს, მაგრამ ბიჭმა კარგად იცის, რომ მტრობით დანგრეულს მხოლოდ სიყვარული ააშენებს.



ოპატრა გიორგის ასულის გარდაცვალებით გამოწვეული კაემანიც დაერთო. სამაგიეროდ, ძალზე გაახარა ვაჟის — მირიანის შექენამ, წლების შემდეგ კი შვილიშვილის დაბადებასაც მოესწრო. მას პაპის სახელი, ოთარ დაარქვეს.

თბილისელ ბიჭს, ოთარ ჯაშს სახელი „ხალხის მტრის შვილად“ შერაცხული ბაბუის საპატივცემულოდ დაარქვეს. საქართველოს საგზაო სამმართველოს მთავარი ინჟინერი მირიან გრიგოლის ძე ჯაში 1937 წელს დააპატიმრეს. მამის ოთარი 14 წლისავე არ იყო.

ოთარ ჯაში: გული გტკივა იმას, რომ რუსეთი და საქართველო ერთმანეთს გტრობენ

თავდაცვის ხაზი ლენინგრადის გარეუბანზე გადიოდა და მებრძოლებს იმ ტრამვაის ხმაურიც კი ესმოდათ, რითაც ქალაქის ცენტრამდე მგზავრობა შეიძლებოდა. თითქმის ორი წლის განმავლობაში ოთარ ჯაში ნევისპირა ქალაქისთვის იბრძოდა და ლენინგრადის სახელგანთქმული თეთრი ღამეები განსაკუთრებით სახიფათო პერიოდად დაამახსოვრდა, რადგან ამ დროს ძნელი იყო, მტრის თვალს დამალვოდა. იგი ფეხში დაიჭრა.

„ბაბუაჩემს კამენეცურალსკის ჰოსპიტალში სამედიცინო სამსახურის კაპიტანი ნადეჟდა თევდორეს ასული ბრაიკო უფელიდა. ჩვენს ოჯახში ყველა ბაბუის, რომ ბებიჩემი, კლემენტინა გიორგის ასული, მუდამ სანთელს ანთებდა და ამ ქალისა და მისი გვარის კეთილდღეობისთვის

ვამაყობ, რომ ბაბუის სახელი მქვია, მის ხსოვნას ვუფრთხილდები. სანამ ცოცხალი იყო, გვერდიდან არ მომშორებია და ხშირად მიამბობდა თავის საბრძოლო თავგადასავლებს, იგონებდა ლენინგრადს, რომელსაც იცავდა.“

„ომის შემდეგ ბაბუაჩემი ლენინგრადში რამდენჯერმე ჩავიდა. პირველად — 1946 წელს, მაშინ ჯერ კიდევ აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა. დიდი სურვილი ჰქონდა, ჩემთან ერთად ჩასულიყო ნევისპირა ქალაქში... ვერ მოხერხდა. — ნუხს ოთარი, — ბაბუა რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, მის ოცნებას მე მინდა ფრთები შევასხა — პეტერბურგში მოვიზიარე.“

„ომის შემდეგ ბაბუაჩემი ლენინგრადში რამდენჯერმე ჩავიდა. პირველად — 1946 წელს, მაშინ ჯერ კიდევ აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა. დიდი სურვილი ჰქონდა, ჩემთან ერთად ჩასულიყო ნევისპირა ქალაქში... ვერ მოხერხდა. — ნუხს ოთარი, — ბაბუა რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, მის ოცნებას მე მინდა ფრთები შევასხა — პეტერბურგში მოვიზიარე.“

novayagazeta.spb.ru

გაგლეჯილი ალორქინება

იმ მრავალრიცხოვან პრობლემათაგან, რომლებიც საქართველოს აწუხებს, ძნელია, გამოარჩიო ერთი, რომელიც არა მხოლოდ პრობლემას წარმოადგენს, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, არამედ ყველაზე მტკივნეულია ჩვენი ეროვნული თვითდამკვიდრებისა და გადარჩენისთვის. პრობლემა, რომლის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ, შესაძლოა, ამ ეტაპზე არც იყოს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ, თუკი ჩვენში ოდნავ მაინც არის შემორჩენილი ეროვნული სიამაყე, ამ საკითხზე დაფიქრება აუცილებლად გვმართებს.

საუბარია ერთგვარ სტატუსზე, რომელიც საქართველომ დაიმკვიდრა (თუ დაუმკვიდრეს) მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე. სახელდობრ, ამა თუ იმ გაველენიან „მფარველთან“ ჩვენს ურთიერთობაზე.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში რუსეთის ამერიკის შეერთებული შტატები ჩაენაცვლა, მასთან დაკავშირებული ყველა სიკეთითა და მისუ-სით. დღემდე გაურკვეველია, რა ჰქვია ჩვენი ქვეყნისა და ოკეანისგალმელი „მფარველის“ ურთიერთობას — პროტექტორატი, ვასალთა, ერთ-ერთი შტატის კანდიდატობა თუ კიდევ სხვა რამ.

ვინაიდან თემა საკმაოდ მამუტაბური და მრავალნახ-ნაგოვანია, ამჯერად მხოლოდ მის სამხედრო ასპექტებზე შევჩერდებით. საბჭოთა კავშირის დროს ყველაფერი მარტივად იყო. საქართველო ერთიან საბჭოთა სივრცეში შედიოდა, პრაქტიკულად არ განიხილებოდა დამოუკიდებელ სუ-ბიექტად და, თუკი მისი წარმომადგენლები ავღანეთი-სა თუ სხვა სამხედრო კამპანიებში მონაწილეობდნენ, ამას, „საქართველოს სახელით“ კი არა, „ინტერნაციონალური ვალის“ ლოზუნგით აკეთებდნენ.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და ამერიკის პროტექტორატის ქვეშ საქართველოს გადასვლამ ვითარება ნაწილობრივ შეცვალა. ჩვენ უკვე დამოუკიდებელი სახელ-მწიფო დაგვერქვა, მაგრამ, მიუხედავად დეკლარირებული დამოუკიდებლობისა, საქართველოს სამხედრო ბეგარა დაეკისრა — „მფარველის“ მიერ წარმოებულ სამხედრო კამპანიებში მონაწილეობა.

საქართველოში ამერიკელ სამხედროთა ყოფნის წესები „ჩვენმა“ კანონმდებლობამ ჯერ კიდევ ედუ-არდ შეუარდნაძის მმართველობის პერიოდში გან-საზღვრა. ქვეყნის ტერიტორიაზე იარაღით შემოს-ვლისა და აქ ტარების უფლება, პრაქტიკულად სრული იმუნიტეტი საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში — ეს ის ნორმე-ბია, რომლებიც საქართველოში ამერიკელ სამხედ-როთა ყოფნის სამართლებრივ ბაზას შეადგენს.

მცირე პარალელი — გასული წლის ზაფხულში რუსე-თის ფედერაციისა და „დამოუკიდებელ“ აფხაზეთს შო-რის „საზღვრის ერთობლივად დაცვის“ მიზნით გაფორ-მებული ხელშეკრულების თანახმად, აფხაზ სამართალ-დამცველებს არ აქვთ არანაირი უფლება, სისხლის სამარ-თლებრივი დევნა ანარმონ ნებისმიერი რუსი სამხედ-რო მოსამსახურის მიმართ, სოხუმის ცენტრში მკვლე-ლობაზე რომ ჰქონდეს ჩადენილი. უკეთეს შემთხვევაში, იგი უნდა დააკავონ და ისევ რუსების მეთაურობას გა-დასცენ. როგორც აღვნიშნეთ, პრაქტიკულად იდენტუ-რი მდგომარეობა ამერიკელთა მიმართ ქართველ სა-მართლდამცვეთა უფლებების საკითხშიც. თუკი ოფი-ციალური თბილისის პოზიცია ჭეშმარიტებას შეესაბა-მება და რუსეთს აფხაზეთი ოკუპირებული აქვს, მაშინ რა ჰქვია საქართველოსა და შეერთებული შტატების ურთიერთდამოკიდებულებას?

რაც შეეხება ჩვენი ხელისუფლების პროპაგანდას, რომ ამერიკის მიერ ავღანეთსა თუ ერაყში წარმოებულ სამხედრო კამპანიებში ქართული შენაერთების მონაწი-ლეობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ამტკი-ცებს, მსგავსი ზღაპრები ხელისუფლების წარმომადგენ-ლებმა საკუთარ ბავშვებს უამბონ ძილის წინ.

ჯერ ერთი, ამერიკელები ჩვენს შენაერთებს სამ-შვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისთვის წერტილს და არა — საქართველოს დასაცავად შე-ტყუითი თუ თავდაცვითი ბრძოლების სანარმოებ-ლად. რაც შეეხება პოლიტიკურ თუ სხვა სახის მხარ-დაჭერას, ესეც კარგად ვნახეთ 2008 წლის აგვის-ტომში, როცა რუსული ტანკები ლამის დიღომში შე-მოვიდნენ. ნატოში განწევრიანება კი ჩვენთვის ისე-თივე უტოპიური ოცნება აღმოჩნდა, როგორც ოპო-ზიციისთვის — ხელისუფლებაში მოსვლა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პენტაგონს რამდენ-ჯერმე უფრო იაფი უფლება ჩვენზე ჩვენი ქვეყნებში რამდენ-ნიმე შენაერთის მომზადება და „ცხელ წერტილში“ გადას-როლა, ვიდრე იმავე მისიით ამერიკული ქვედანაყოფების გაგზავნა. თანაც, საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლე-საც უფრთხილდებიან, განსხვავებით ჩვენი ხელისუფლე-ბისგან, რომელზეც იმდენად მომჯადოებლად მოქმე-დებს ოკეანისგალმელი მფარველის მიერ მხარზე მოწყა-ლედ ხელის მოთათუნება, რომ საერთოდ არ აწუხებს სამ-შობლოს ვასალურ მდგომარეობაში ყოფნა.

სალკალორ დვალი




თბილისელი ბიჭი პატარბურგში ბაბუის საფლავიდან ერთი მუჭა მინის ჩატანაზე ოცნებობს

ომგამოვლილი ბაბუა შვი-ლიშვილს მოუთხოვდა, რომ

საქართველო

გაზეთი, გაზეთიეროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვიჩვენეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



საავტორო სვეტი

«გატეხს და გადააგდო: — ფუ, გაეჭედი გაბინყდეს!»

ექვს მაისს, პოლიციის დღედ სახელდებულ გიორგობას დაჯდა ფაშა ბროლის ციხეში. რიხარდ ვაგნერის „ნიბელუნგების რკალის“ დიდებულება და დანტი ალიგიერის ჯოჯოხეთის რკალები შემოირტყა, გალავნად და ჯვებრად აღმართა პოლიციელთა ახალმთვარეობა საკუთარ ხალხთან განსასხვისებლად. ახალი მთვარე და შუქურვარსკვლავი — როგორც ახალი დიდებულება საქართველოში აქეთ — ჩვენ და იქით — ის. თბილისი-ერევნის რკინიგზის მაგისტრალური ხაზის ლიანდაგებში მიედინებოდა.

მოკლედ, დაჯდა ფაშა და როცა უსაფრთხოდ იგრძნო თავი, მოხდა ის, რაც ასეთ შემთხვევაში ემართება ადამიანს, იმპერატორი იქნება თუ ბაშაჩკინი — ჭიალუა ჩინოვინი: მეტყველების შეუკავებლობა შეეყარა, თვითონ რომ ცის მანანა ჰგონია. თქვენი მოღვაწეობა, მიმართა პოლიციელებს, არის „ყოველდღიური გამარჯვება წარსულისა და ბნელეთის ბოროტ ძალებზე, ყველაწიარ ცრურწმენასა და სტერეოტიპზე. თქვენი გამარჯვება, თქვენი მოღვაწეობა არის ყოველდღიური გამარჯვება იმაზე, რაც ყველას მიაჩნდა დაუმარცხებლად — ეს არის კრიმინალი, ეს არის უკანონოობა, ეს არის ცუდი ხალხის მიერ საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლების, კარგი ადამიანების ჩაგვრა, ეს არის ის, რაც ყველას ეგონა ჩვენი საზოგადოების განუყოფელი და უკურნებელი სენი, რომლისგანაც მორჩენა შეუძლებელია“.

ასე იწყება ზღაპარი იგი, ასე იწყება და არ მთავრდება. (ალექსანდრე საჯავაი) პოლიტოლოგმა და ფსიქოლოგმა რამაზ საყვარელიძემ ზედმორგებული უპითეტი განსაზღვრა ჩვენი ხელისუფლების უმნიშვნელობა, იუნორატია უწოდა (იუნოსტ — სიჭაბუკე, კრატია — მმარველობა), რომელსაც სხვა სიკეთესთან ერთად, უყვარს ზღაპრები — მოსმენაც და მოყოლაც, რადგან ზღაპრის ბოლო, როგორც წესი, კეთილია. ჰეფი ენდ!

პოლიციის მოღვაწეობაც, რა თქმა უნდა, სიკეთის გამარჯვებაა ბოროტსა ზედა. მაგრამ საქართველოში ზღაპრების არ სჯერათ. „...ჩვენ გავიზარდეთ ქვეყანაში, სადაც ყაჩაღებს უდგამდნენ ძეგლებს“.

სწორედ ასე — ყაჩაღებსო. მოვიჩხრიკოთ გონებაში — სად და რომელ ყაჩაღს დაუდგეს ძეგლი? სიმონა დოლიძეს, რომელსაც ბურჭულაძე ეუბნებოდა — „გამეციცვალოთ ადგილი“, მაგრამ არ დაუჯერა? არ დაუდგამთ გურულებს ძეგლი სიმონა დოლიძისთვის.

ხარებასა და გოგის ძეგლებიც არ არის კახეთში. რჩება ერთი — არსენა ოქელაშვილი, რომელიც მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა და რომლის დაჭერა უზარბაზნოდ არ იქნებოდა.

ნაივაუკაცა ახალმა კუჭატელმა ხალხის წინაშე, ძეგლებთან მებრძოლმა ფაშამ, რადგან დღეს პოლიციას მარტო ზარბაზანი — მორტირა და ჰაუბიცა კი არა, ლაზერული იარაღი და „არალეტალური ტყვიები“ აქვს დემონსტრანტების დასარბევად.

ახი კი იქნება, პუშკინის „ბრინჯაოს მხედარივით“ დაიძრას არსენას ძეგლი მცხეთიდან ავლაბრისკენ, მიმამტვიროს ბროლის გუმბათები და მდიდრებისთვის წართმეული ქონება ღარიბ-ღატაკებს უწილადოს!

უძახე მერე ყაჩაღო, ძეგლადგმული ყაჩაღი! ჰკითხეთ ფაშას, შეუძლია თუ არა მის ნაქებ-ნალოლიავებ პოლიციის არსენა ოქელაშვილის დაფიცება-სავით ნათქვამის გამეორება: „თხუთმეტ წელს ყაჩაღად ვარ, კაცის ცოდვა არ მაძევსა“.

არავინ მომიკლავსო... დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

არაჟა სანაბლიძე

პოზიტიურ მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ). და აი ამ ფონზე საბჭოთა კავშირში რამდენიმე ათწლეულის მანძილზე წარმატებით ერთიანობის პროექტი. ეს არ იყო უფლებებო ხალხების გაუზრებელი ერთიანობა, რამდენიც არ უნდა გვიჩინონ ეს დღეს, ყველა ხალხს ჰქონდა შესაბამისი სტატუსი და ორგანიზაციული ფორმა მინიჭებული მოკავშირე თუ ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, მხარის სახით.

საბჭოთა კავშირი იყო რთული ტიპის ფედერალური გაერთიანება, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ისტორიკოსები, სამართალმცოდნეები, პოლიტოლოგები, ეკონომისტები და სხვა დარგების წარმომადგენლები ანი და ანი ჩაუღრმავდებიან შეასწავლან.

თუნდაც ის რად ღირს, რომ ყველა ხალხში „მხეცის სახით“ არსებული ნაციონალისტური ენერჯია საბჭოთა სისტემამ არათუ მიაძინა, არამედ ერთმანეთთან დაპირისპირებული ხალხები დაა-

ახლოვა, მათ საერთო ისტორია შეუქმნა და ერთიანი მენტალიტეტიც კი ჩამოუყალიბა.

ასევე შეუვალა ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირი მშვიდობიანად დაიშალა, ცალკეული ეთნოკონფლიქტები, მათი სიმწვავის მიუხედავად, მაინც მეტად მცირე ნაწილია იმისა, რასაც ხალხთა შორის ურთიერთობები ჰქვია, სომხეთ-აზერბაიჯანის გარდა არც ერთ სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკას შეიარაღებული კონფლიქტი არ მოსვლია მეზობელთან, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთისა და თვით ჩეჩნეთის კონფლიქტებიც თვისობრივად სხვა მოვლენაა, ვიდრე, მაგალითად, ბალკანეთზე გაჩაღებული ტოტალური ომები (და ეს მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი იუგოსლავიაც თითქმის იდენტურ იდეოლოგიურ საფუძველზე იდგა, როგორც საბჭოთა კავშირი).

საბჭოთა კავშირს რა სუსტი მხარეები ჰქონდა, რამაც გამოიწვია მისი კრახი, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ბევ-

რი რამ საბჭოთა მოდელიდან შეიძლება სამომავლოდ პრაქტიკაში იქნას მოდიფიცირებული სახით გამოყენებული მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, პირველ ყოვლისა კი, ისევე და ისევე პოსტსაბჭოთა სივრცეზე.

ეს ყველაფერი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც საბჭოთა წარსულის იდეალიზაციის მცდელობა, მაგრამ აუცილებელია ისტორიის ჯეროვანი დაფასება და წარსულიდან სწორი დასკვნების გაკეთება. ხალხთა ერთიანობა დიდი სიკეთეა და ეს არ უნდა დავივიწყოთ“.

კონფერენციის ორგანიზატორებმა იზრუნეს იმაზე, რომ ყველა მონაწილეს გადასცემოდა გეორგიევსკის ლენტეხის აქციის „მე მახსოვს, მე მამაყვამ“ სამახსოვროდ.

„დიდ სამამულო ომში საქართველოს 700 ათასი ქალაქი მონაწილეობდა, რომელთაგან ნახევარი — 350 ათასი (მოსახლეობის 10 პროცენტზე მეტი) დაიღუპა, ხოლო ომის შემდგომი 65 წლის განმავლობაში საქართველოში 7 ათასზე ოდნავ მეტი ვეტერანი, ანუ საქართველოდან ომის მონაწილეთა 1% დარჩა. 90-ზე მეტი ქართველი დიდი სამამულო ომის გმირი გახდა!“ — ამაზე საუბრობდნენ მიკროფონთან მისული ვეტერანები. იხსენებდნენ, რა პატივით იწვევდნენ უწინ მათ მოსკოვში 9 მაისის აღლუმზე, იხსენებდნენ ან გარდაცვლილ თანავარძალებს, უმალეს მთავარსარდალს, რომლის გარეშეც გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა და მისი სადღეგრძელოც შესვეს.

ხაზს უსვამდნენ, რომ მამის სსრკ-ის ყველა ხალხები

ერთად იდგნენ და ამიტომაც გაიმარჯვეს! ის ომი ყველასთვის სამამულო იყო, რადგან სამშობლო, რომელსაც იცავდნენ, ყველასთვის საერთო იყო და ყველანი თანამემამულეები იყვნენ!

ვეტერანებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად მავანთა საჯარო გამოსვლისა და დაპირებებისა, არსამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“ პირველი ორგანიზაციაა, რომელმაც მათ დღეს ასეთი დღესასწაული აჩუქა, რის გამოც არაერთხელ გამოხატეს ღრმა მადლიერება ორგანიზატორთა მიმართ. საბრძოლო ჯილდოების სიმძიმით ოდნავ წელში მოხრილი გმირების შემხედვარე, გმირებისა, რომელთა ნინამეც სიცოცხლით ვართ დავალებულნი, ხვდები, რომ მამა-პაპათა საერო გმირობა ჩვენი ფესვებია და თუ ჩვენ, მათი შვილები და შვილიშვილები, ამას დავვიწყებთ, ხე კი არ აყვავდება, გახმება!

არადა, ბევრს ძალიან უნდა, რომ შეილებსა და შეილიშვილებს მამა-პაპათა დიდება დაავიწყონ, განყვიტონ თაობათა მაკავშირებელი ძაფი, რათა შემდგომ წარსულის არმქონე არსებებივით მოექცნენ! რათა ვეტერანთა შვილებმა და შვილიშვილებმა არ გაიგონ, რომ თურმე და-ძმანი ყოფილან, არ შეიყვარონ ერთმანეთი ისე, როგორც მათ მამა-პაპებს უყვარდათ! მაშინ ისინი, სინდისის ქენჯნის გარეშე — უცხოთა ინტერესებისთვის უცხოებივით ტყვიებს ესვრან ერთმანეთს და ძმათამკვლელ ომში დაიღუპებიან!

არჩილ იმერელი



პულკანი ისპეკიანეზაბს

ისლანდიური ვულკანის ფერფლი, რომელიც დასავლეთ ევროპას ატლანტიკის ოკეანიდან უახლოვდება, კვლავ გახდა მრავალი აეროპორტის დაზურვის მიზეზი. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ევროპაში 16 აეროპორტის მუშაობა შეჩერებულია, იტალიამ ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე ყველა აეროპორტი დახურა, მუშაობა შეაჩერა მოტლანდიის ექვსმა აეროპორტმა, ასევე აეროპორტებმა: სანტიაგო და ვიგომ ესპანეთში და პორტოს აეროპორტმა პორტუგალიაში. ფრენების შეწყვეტის საფრთხელეთი საფრანგეთისა და შვეიცარიის ავიაკომპანიებსაც.

გერმანელებს რთი დაპინყდათ

გერმანიის მოქალაქეთა ნახევარმა არ იცის, როდის დასრულდა მეორე მსოფლიო ომი და რა მოხდა 1945 წლის 8 მაისს, როდესაც მათმა ქვეყანამ კაპიტულაციის აქტს მოაწერა ხელი. ისტორიული უმეცრების მაჩვენებელი განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდებს შორის. 29 წლამდე ასაკის მოქალაქეთა 68%-ს წარმოდგენა არ აქვს ევროპაში ომის დასრულების თარიღზე; გერმანელთა 85% თვლის, რომ 8 მაისი დამარცხების კი არა, განთავისუფლების დღეა. გერმანიაში მეორე მსოფლიო ომს თითქმის აღარ იხსენებენ.

ევრო-მოგილიზაცია

ევროზე შეტყვის მოსაგერიებლად ევროზონის ქვეყნებმა „საყოველთაო მობილიზაცია“ გამოაცხადეს. ამის თაობაზე საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ 16 ქვეყნის მეთაურთა კრიზისული სამიტის დასრულების შემდეგ განაცხადა. საუბარი აღარაა საბერძნეთზე. სარკოზის აზრით, ეს ევროზონის სისტემური კრიზისია, რომლის დასაძლევად ყველა ევროპული სტრუქტურა და ევროზონის ყველა ქვეყანა გაერთიანდა. რაც შეეხება თავად საბერძნეთს, უახლოეს დღეებში ის 110-მილიარდიანი დახმარების პაკეტის პირველ ტრანშს მიიღებს.



კატანგის პირველი პრეზიდენტი და ომი გუბერატორის სახელით

1960 წლის მაისში ბელგიის კონგოში პირველი საყოველთაო არჩევნები გაიმართა, რომელშიც „კონგოს ნაციონალური მოძრაობის“ პარტიამ გაიმარჯვა პატრის ლუმუმბას ხელმძღვანელობით. 1960 წლის 1 ივნისს კი ბელგიამ თავისი კოლონია დამოუკიდებლად გამოაცხადა. 30 ივნისს ხელისუფლების ფორმალურად გადასაცემად ლეოპოლდოვილი ბელგიის მეფე ბოლდუენ I ჩავიდა.

აეროპორტიდან მიმავალ გზაზე ერთ-ერთმა კონგოელმა მეფეს საცერემონიო დამონაგამოსტაცა და მონარქის გარშემო „სმლებით ცეკვა“ მოაწყობა. ახალგაზრდა მონარქმა პრეზიდენტმა კასაუბუმ ნინანსარ მომზადებული სიტყვიდან ბოლდუენის ქება-დიდება ამოიღო, ხოლო პრემიერ-მინისტრმა პატრის ლუმუმბამ ბელგიელი კოლონიატორების წინააღმდეგ კონგოელი ხალხის მრავალწლიან ბრძოლაზე ილაპარაკა და თავისი გამოსვლა დაასრულა ფრანგულად: — *Nous ne sommes plus vos singes!* (ჩვენ თქვენი მაიმუნები აღარ ვართ!).

მეფე ბოლდუენი უკან გაემგზავრა, მაგრამ კონგოში დაფუნქციონირებული ათასობით ბელგიელი იქვე დარჩა. მკვიდრი მოსახლეობის განათლების დონე ძალიან დაბალი იყო და ყველა პოსტი, რომელიც მეტრეპოლიტენად ინტელექტუალურ შრომას მოითხოვდა, მათ შორის, ოფიცერთა პოსტებიც კონგოს არმიის, ევროპელებმა დაიკავეს.

1960 წლის 5 ივლისს Force Public-ის მეთაურმა, გენერალ-ლეიტენანტმა ემილ ჟანსენმა სამხედროებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ დამოუკიდებლობა მყისიერ ფეფქსს არ გამოიღებს და რომ აფრიკელები ოფიცრის უფლებამოსილებებით უახლოეს მომავალში აღიჭურვებიან. მის გამოსვლას ლეოპოლდოვილმა გარნიზონის ამბოხი მოჰყვა ოფიცერთა წინააღმდეგ, რაც მთელ ქალაქში მასობრივ არეულობაში გადაიზარდა.


შეიარაღებული მეამბოხენი გარეუბნებში დათარეშობდნენ და თავს ესხმოდნენ ევროპელებს. პანიკამ ათასობით ევროპელი გააქცია. ბევრმა მდინარეც კი გადაცურა, რათა უსაფრთხო ბრავაილისთვის — საფრანგეთის კონგოს დედაქალაქისთვის შეეფარებინათ თავი.

ამ მოვლენებმა ბელგიის მთავრობა შეაშფოთა და მოკლე ხანში ევროპიდან კონგოში ბელგიის არმია „პარაკომანდოსის“ ელიტური სადესანტო ქვედანაყოფები გადაისროლა. პასუხად, პატრის ლუმუმბამ თავის მომხრეებს ინტერვენტების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა. ასევე გამწვავდა ურთიერთობა ქვეყანაში მოსახლე ტომებს შორის.

ქვეყანა სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიერ კონტროლირებდა ოთხ ნაწილად გაიხილა. ერთ-ერთი მათგანი კატანგის პროვინცია იყო, სადაც შედარებით მშვიდობა სუფევდა. ალსანიშნავია, რომ კატანგაში კონგოს ბუნებრივი სიმდიდრეთა დიდი ნაწილი იყო კონცენტრირებული, ბიზნესს კი, ცნობილია, რომ არასტაბილურია და რევოლუციები არ უყვარს, რადგან ეს ცუდად აისახება შემოსავლიანობაზე. ამიტომ სამთო-მომპოვებელი კომპანიებისა და 600 ათასი ბელგიელი ჯარისკაცის მხარდაჭერით, რომლებმაც მისმა პარტიამ 1960 წლის ივლისში კატანგის პროვინციის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. აგვისტოში კი რომზე კატანგის პრეზიდენტად აირჩიეს.

მოის რომზე — ადგილობრივი პარტია CONAKAT-ის ლიდერი, მისიონერთა სკოლაში აღიზარდა. 1955 წელს იგი აქტიურად ჩაერთო პოლიტიკაში, ხოლო 1959 წელს პარტია CONAKAT-ი შექმნა, რომელიც პროვინციისთვის ფართო ავტონომიის მოწოდებით გამოდიოდა. მოის რომზე არ იზიარებდა ლუმუმბას ნაციონალიზტების შეხედულებებს, რის შესახებაც განაცხადა კიდევ 1960 წლის 11 ივლისს: **„ჩვენ ვემიჯნებით ქაოსს!“** პოლიტიკა, ბელგიელმა ჯარისკაცებმაც განაიარაღეს კატანგაში მყოფი კონგოს არმიის ნაწილები.

კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა კასაუბუმ და პრე-



მიერ-მინისტრმა პატრის ლუმუმბამ დახმარებისთვის გაეროს მიმართა. 1960 წლის 14 ივლისს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №143, სადაც ბელგიელებს კონგოდან ჯარის გაყვანისკენ მოუწოდა და დაადგინა, რომ ამ პროცესს გაეროს სამშვიდობო ძალები გააკონტროლებდნენ. სამშვიდობო ძალების კონტინგენტი 11 ათასი კაცი შეადგინა, მოკლე ხანში კი ეს ციფრი 20 ათასამდე გაიზარდა.

რომზე ბელგიის მთავრობას კატანგაში სამხედროების გაგზავნა სთხოვა კატანგის არმიის მოსამზადებლად. ბელგიელები უხვად ახვდებოდნენ რომზეს იარაღს. უცხოელ ინსტრუქტორთა დახმარებით კატანგის ჟანდარმერია მოკლე ხანში პროფესიონალურ არმიად ჩამოყალიბდა. ქვეყანაში როდესაც დაიწყო აფრიკელი დაქირავებული მოხალისეები და ალჟირისა და ინდონეზიის ომგამოვლილი მებრძოლები მომრავლდნენ.

კატანგის სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ლუმუმბამ მის დაკარგვას ვერ ეგუებოდა, მაგრამ რაკი გაეროს გენდირექტორის — დაგ ჰამერშელდისგან ცივი უარი მიიღო, თავის შვი ნაციონალიზმი ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგობით შეინიღა და ხრუსჟოვის დახმარებით მიმართა. მოკლე ხანში მის განკარგულებაში არა მარტო მშ-14 თვითმფრინავები, არამედ საბჭოთა და ჩეხოსლოვაკელი ინსტრუქტორებიც აღმოჩნდნენ. კონგოს არმია

ზედიზედ იღებდა კონგოს პროვინციებს, უკვე ბაკანგაც დაიპყრეს და კატანგას სულ რაღაც 20 კმ აშორებდათ, მაგრამ რომზეს კარგად განვრთვნილი არმია სამთავრობო ჯარები ზედ საზღვარზე შეაჩერა. ამასობაში გაეროც ჩაერთა და მშვიდობისმოყვარეებმა კამინის აეროდრომი დაიკავეს. გენერალმა მობუტუმ ლუმუმბა დაამხო, მაგრამ იგი გაიქცა და სიკვდილს სწორედ კატანგაში შეეგება (ამბოხენი, რომ კატანგის პრეზიდენტმა მისი დახვედრის ბრძანება გასცა). ეს კი ძალზე ნეგატიურად აისახა რომზეს იმიჯზე მთელ მსოფლიოში. ამასთან, ლუმუმბას სიკვდილმა ქვეყნის ისედაც მყიფე მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. მისმა მომხრეებმა ორიენტალეს პროვინციაში კონგოსგან გამოყოფის მზადყოფნა გამოთქვეს.

1961 წლის 21 თებერვალს გაერომ კონგოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გადაწყვიტა. ცისფერჩაფხუტიანებს იარაღის გამოყენების ნება დაერთო, თუკი ბელგიისა და დაქირავებული ჯარების წინააღმდეგობას ნაწყვეტობდნენ.

1961 წლის ივლისში ქალაქ ლოვანიუმის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ლეოპოლდოვილიდან 20 კმ-ში მობუტუს მიერ დაშლილი პარლამენტი აღადგინეს, დეპუტატები „ცისფერჩაფხუტიანთა“ ჯაჭვითა და მავთულხლართებიანი ზღუდით გარე სამყაროსგან იზო-

ლაციაში მოაქციეს და მათაც ერთი თვის შემდეგ ახალი მთავრობა აირჩიეს. ახალი მთავრობის პირველ დეკრეტად იქცა ბრძანებულება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და კონგოდან ყველა დაქირავებული მებრძოლის გაძევების შესახებ. რომზესთვის ძალზე არახელსაყრელი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა.

გაეროს ჯარების მნიშვნელოვანი ძალები კატანგის საზღვართან იქნა კონცენტრირებული, ხოლო 1961 წლის 28 აგვისტოს მშვიდობისმოყვარეებმა უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილების შესრულება, ანუ კონგოს ტერიტორიული ერთიანობის აღდგენა დაიწყეს. რომზეს დიდი არჩევანი არ ჰქონდა — გაეროს ჯარებს უნდა შენინაღმდეგებოდა, თუ არადა — გააძევებდნენ. ამიტომ მოლაპარაკებების გამართვას შეეცადა. ამასობაში დაქირავებულმა ჯარებმა — ალჟირის ომის ვეტერანებმა დაიბრუნეს კონტროლი კატანგის ჟანდარმერიაზე და გაეროს ჯარებს შეეტყვეს. მაშინ გაეროს გენდირექტორმა მოადგილემ კონორ ო'ბრაიენმა გადაწყვიტა, სეპარატისტებზე სამხედრო ზენოლა გაეძლიერებინა.

დაიწყო ოპერაცია **MOR-Thor** — „გამანადგურებელი იერიში“. გაეროს ჯარები რომზეს რეზიდენციის ალყაში მოქცევასა და მისი მთავრობის დაპატიმრებას გეგმავდნენ. თუმცა კატანგის მედესანტებმა, რომელთა შემადგენლობაშიც, ძირითადად, ბელგიის არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს.

რომზემ მთავრობასთან ერთად კარგად გამაგრებულ ქალაქ კოლვეზისთვის თავის შეფარება მოასწრო და იქიდან გასცა მონინაღმდეგეზე იერიშის ბრძანება. ბელგიელი პილიტის ჟოზეფ დელინის თვითმფრინავმა „ფუგა მავისტრუმ“ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა გაეროს კონტინგენტის პოზიციებს ელიზაბეტვილიში. ო'ბრაიენი გაოგნდა და გაეროს კონტინგენტის გაძლიერება მოითხოვა, მაგრამ დაგ ჰამერშელდმა რომზესთან მოლაპარაკებების გამართვა არჩია, მაგრამ თავისი განზრახვის განხორციელება ვერ მოასწრო — 17 სექტემბერს მისი DC-4 ჩრდილოეთ როდეზიაში, ნდოლიდან 10 კმ-ში ჩამოვარდა. გენდირექტორი

ბოსტონში ადგილი კი მესამე სამყაროს წარმომადგენელმა, ბირმელმა უტანმა დაიკავა.

რომზე ზემოდა. მისი ჟანდარმერია 13 ათას კაცამდე გაიზარდა. „ცისფერჩაფხუტიანთა“ კვალდაკვალ მიმავალი კონგოს არმია დემორალიზებული იქნა, მისი შენაერთები აჯანყდნენ და ქვეყანაში დაიქსახსნენ. გაერომ კიდევ ერთი მრისხანე რეზოლუცია მიიღო და მოკლე ხანში კონგოში 5 შვედური გამანადგურებელი და ერთი 20 მმ-იანი კალიბრის ქვემეხითა და 13.5 მმ-იანი კალიბრის რაკეტებით აღჭურვილი თვითმფრინავი ჩავიდა.

რომზე გაეროს ჯარების შემოტევას ელოდა, რომლის აღსაკვეთადც დაქირავებულმა ჯარებმა გზები გადაკეტეს და მონინაღმდეგეს ერთი შეუღლმფრინავი ჩამოუგდეს.

28 დეკემბერს გაეროს ჯარებმა ელიზაბეტვილიში საკვანძო პოზიციები დაიკავეს, შვედურმა და ინდურმა თვითმფრინავებმა კი აეროდრომებს შეუტყეს და რომზეს თვითმფრინავებს აფრენაც არ აცაღეს. ამასობაში კი მათი გამანადგურებლები 20 მმ-იანი კალიბრის ქვემეხებიდან მეთოდურად ცხრილავდნენ ელიზაბეტვილის შენობებს. რომზეს არმია იძულებული გახდა, უკან დაეხია და კოლვეზესა და ჟანდოვილიში გამაგრებულიყო. რომზეს განკარგულებაში 18 ათასი ჟანდარმერი და 500-1000 დაქირავებული მებრძოლი რჩებოდა. იგი იმედოვნებდა, რომ გენერალური მდივანი იერიშის შეწყვეტის განკარგულებას გასცემდა, მოლაპარაკებებს წამოიწყებდა, რადგან აშშ-ის ზოგიერთი წრეები კატანგის მხებულნი იყვნენ და მთავრობაზე ზენოლას ლამობდნენ. მაგრამ რომზეს სავალალოდ, მონინაღმდეგის ჯარებმა ჟანდოვილიც დაიკავეს, ქალაქში მათ კვალდაკვალ შეჰყვეს კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს.

რომზემ მთავრობასთან ერთად კარგად გამაგრებულ ქალაქ კოლვეზისთვის თავის შეფარება მოასწრო და იქიდან გასცა მონინაღმდეგეზე იერიშის ბრძანება. ბელგიელი პილიტის ჟოზეფ დელინის თვითმფრინავმა „ფუგა მავისტრუმ“ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა გაეროს კონტინგენტის პოზიციებს ელიზაბეტვილიში. ო'ბრაიენი გაოგნდა და გაეროს კონტინგენტის გაძლიერება მოითხოვა, მაგრამ დაგ ჰამერშელდმა რომზესთან მოლაპარაკებების გამართვა არჩია, მაგრამ თავისი განზრახვის განხორციელება ვერ მოასწრო — 17 სექტემბერს მისი DC-4 ჩრდილოეთ როდეზიაში, ნდოლიდან 10 კმ-ში ჩამოვარდა. გენდირექტორი

1967 წელს მოის რომზეს დაუსწრებლად გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი. 1967 წლის 30 ივნისს თვითმფრინავი, რომელშიც იგი იჯდა, გაიტაცეს და ალჟირში დასვეს, სადაც რომზე ჯერ ციხეში გაამწყვდეს, შემდეგ კი სამუდამო შინაპატიმრობა მიუსაჯეს. 1969 წლის 29 ივნისს კატანგის პირველი პრეზიდენტი გულის შეტევით გარდაიცვალა, თუმცა არსებობს მისი სიკვდილის რამდენიმე განსხვავებული ვერსიაც...



კატანგის არმიის დათვალეირებისას ლუმუნაში



კატანგის დამოუკიდებლობის გამოცხადება




ჯოზეფ მობუტუ და მოის რომა

«სენდერო ლუმინოსო» — «ბრწყინვალე გზა»

პერუს კომუნისტური პარტია, ანუ სხვაგვარად — «სენდერო ლუმინოსო» მაოისტური ორგანიზაციაა, რომელიც 1960 წელს აპირებდა გუსმანს დააარსა. შეიარაღებული პარტიზანული ბრძოლა ორგანიზაციამ 1980 წელს დაიწყო, როცა პერუში შიდა კონფლიქტებმა იჩინა თავი. მაშინ «ბრწყინვალე გზა» განაცხადა, რომ მისი მიზანი გურუაზიური დემოკრატიის «ახალი დემოკრატიით» შეცვლაა, ხოლო პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება კულტურულ რევოლუციას გამოიწვევს, რაც დროთა განმავლობაში მსოფლიო რევოლუციის გადარჩევად გადარჩება.

«სენდერო ლუმინოსო» მიაჩნია, რომ მხოლოდ თავად წარმოადგენს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ავანგარდს.

«ბრწყინვალე გზის» იდეოლოგიამ და ტაქტიკამ გავლენა მოახდინა სხვა მაოისტურ მემბოხე ორგანიზაციებზე, განსაკუთრებით კი ნეპალის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიაზე, რომლებიც შემოიერთა კიდევ.



აპირებდა გუსმანი, იგივე «პრეზიდენტი გონსალესი»

«ბრწყინვალე გზა» პერუში ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევა მისი არსებობის სისასტიკის გამო. ჯგუფი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, ევროკავშირისა და კანადის უცხოურ ტერორისტულ ორგანიზაციებად წესდებშია. 1992 წელს ორგანიზაციის ლიდერის აპირებდა გუსმანის დაკავების შემდეგ, ორგანიზაცია მხოლოდ ეპიზოდურ აქტივობას აჩვენებდა, თუმცა 2008 წელს მან განაცხადა, რომ მზადაა მთავრობასთან უკომპრომისო ბრძოლის საწარმოებლად.

სერია გამართა, ჩამოაყალიბა შინაარსით პოლიტიკური და სამხედრო «რევოლუციური დირექტორატი» და თავისი მებრძოლები «შეიარაღებული ბრძოლების დასაწყებად» პროვინციის სტრატეგიულ რაიონებში წარგზავნა. ჯგუფმა ასევე დააარსა თავისი «პირველი სამხედრო სკოლა», სადაც ბოვიკები სამხედრო ტაქტიკასა და იარაღის გამოყენებას სწავლობდნენ.

1980 წელს, როცა პერუს სამხედრო მთავრობამ არჩევნების 20-წლიანი ვადის ჩატარება გამოაცხადა, სენდერო ლუმინოსომ პარტიზანული ბრძოლა წამოიწყო აიაკუჩოს მალაშთიან რაიონში.

17 მაისს, საპრეზიდენტო არჩევნების წინა დღეს, სენდეროსტებმა ბიულეტენების ყუთები დაწვეს ქალაქ ჩუსჩიმო. ეს «ბრწყინვალე გზის» პირველი სამხედრო აქცია იყო. 80-იან წლებში «სენდერო ლუმინოსომ» პროგრესირება განიცადა — მისი გავლენის ქვეშ სულ უფრო მეტი ტერიტორია მოექცა, მებრძოლთა რაოდენობა გაიზარდა, განსაკუთრებით, ანდების რაიონში. ისინი ხოცავდნენ სახელმწიფოს კონტროლქვეშ მყოფი ფერმერული კოლექტივების მმართველებს. 1981 წლის 29 დეკემბერს მთავრობამ ანდების სამი რაიონი «საგანგებო მდგომარეობის ზონად» გამოაცხადა და სამხედროები საეჭვო სუბიექტების დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვა.

ქვეყნის ზოგიერთ რაიონში გლეხებმა ანტისენდერული პარტიული, სახელწოდებით «რონდასი» ჩამოაყალიბეს. ისინი უზეიროდ იყვნენ შეიარაღებული და მოუხედავად ამისა, «ბრწყინვალე გზის» პარტიზანებზე იერიში მიიტანეს. პირველი შეტაკება 1983 წლის იანვარში, ხუატის მახლობლად მოხდა, როცა რონდეროსებმა 13 სენდეროსტი გაანადგურეს. თებერვალში საკსამარკას რაიონში გლეხებმა «სენდერო ლუმინოსოს» ადგილობრივი მეთაურები ამოხოცეს. პასუხად, «ბრწყინვალე გზა» ხუანკაზანკოსის პროვინციის ქალაქებში შევიდა და 69 კაცი მოკლა. ამას სხვა ინციდენტებიც მოჰყვა ტამბას რაიონში, სადაც სენდეროსტებმა 47 გლეხი, მათ შორის, 14 ბავშვი ჩახოცეს.

«ბრწყინვალე გზის» იერიშები ამით არ შემოფარგლულა. ორგანიზაციამ შეტევები განახორციელა ლიმას ინფრასტრუქტურაზეც. 1983 წელს მათ ელექტროგადამცემი ხაზების რამდენიმე კოშკურა ააფეთქეს და ბაიერის ქარხანას ცეცხლი წაუკიდეს, ხოლო იუსტიციისა და მთავრობის სასახლეების წინ ბომბები ააფეთქეს.

ორგანიზაცია პასუხისმგებელია ბაზრობაზე მომხდარ აფეთქებებზეც იმ დროს, როცა პრეზიდენტი ფერნანდო ბელაუნდე ტერიტორიის რეგენერაციის პრეზიდენტს — რაულ ალფონსინს მასპინძლობდა.

1992 წლის 16 ივლისს სენდეროსტებმა მირაფლორესის რაიონში მძლავრი აფეთქება განახორციელეს, რასაც 25 კაცის სიცოცხლე და 155 კაცის ჯანმრთელობა შეეწირა. ამავე პერიოდში «ბრწყინვალე გზამ» სხვა მემარცხენე დაჯგუფებებთან, ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიათა, პროფკავშირთა და გლეხურ ორგანიზაციებთან თვალსაჩინო ლიდერები დახოცეს. 1984 წლის 24 აპრილს, საპრეზიდენტო არჩევნების დროს სენდეროსტები თავს დაესხნენ პერუს ნაციონალური საარჩევნო კომისიის პრეზიდენტს დომინგო ვარსია რადას და მძიმედ დაჭრეს. 1988 წელს სიცოცხლეს გამოასალმეს აშშ-ის მოქალაქე კონსტანტინო გრეგორი, რომელიც საერთაშორისო განვითარების ამერიკულ სააგენტოში მუშაობდა. იმავე წლის 4 დეკემბერს მოკლეს ორი ფრანგი მუშაკი.

სისასტიკით განთქმული «სენდერო ლუმინოსოს» დოკუმენტი ლადადებს: «ჩვენ უგულბელვყოფთ ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციას და მათ კონვენციას... ჩვენი თვალსაზრისით, ადამიანთა უფლებები ეწინააღმდეგება ხალხთა უფლებებს, რადგან... არ არსებობს აბსტრაქტული ადამიანი თანდაყოლილი უფლებებით... დღეს, პროლეტარიატის, როგორც კომუნისტური პარტიის მიერ ორგანიზებული კლასის წარმოშობით, ტრიუმფალური რევოლუციებისა და პროლეტარიატის მიერ ახალი დემოკრატიის მშენებლობის გამოცდილება და დასაქვად მოწყობის არეული რეალობის გამოცდილება და დასაქვად მოწყობის არეული რეალობის გამოცდილება და დასაქვად მოწყობის არეული რეალობის გამოცდილება...»

რტიის მიერ ორგანიზებული კლასის წარმოშობით, ტრიუმფალური რევოლუციებისა და პროლეტარიატის დიქტატურის მიერ ახალი დემოკრატიის მშენებლობის გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ადამიანთა უფლებები ემსახურება მჩაგვრელთა კლასსა და ექსპლუატატორებს, რომლებმაც შექმნეს ბურჟუაზიისა და მინათმფლობელების სახელმწიფოები...

ჩვენი პოზიცია კრისტალურად ნათელია. ჩვენ უგულბელვყოფთ და ვკიცხავთ ადამიანთა უფლებებს, რადგან ისინი ბურჟუაზიული, რეაქციული, კონტრრევოლუციური უფლებებია და რევიზიონისტების, უმთავრესად, ინკვიზიტორების უფლებებია იარაღს წარმოადგენს.

1991 წელს პრეზიდენტმა ალბერტო ფუხიმორიმ გამოაცხადა კანონი, რომლის მიხედვითაც «რონდასს» ლეგალური სტატუსი მიენიჭა. ამ დროიდან «რონდასს» ოფიციალურად ეწოდა «თავდაცვის კომიტეტები», ოფიციალურად შეიარაღდა და წვრთნებსაც გადიოდა პერუს არმიამ. სამთავრობო წყაროების ცნობით, 2005 წელს არსებობდა 7226 «თავდაცვის კომიტეტი», რომელთაგან 4 ათასი პერუს ცენტრალურ რაიონში — «ბრწყინვალე გზის» სიმაგრეზე განთავსდა. მთავრობის თავდაპირველი ძალისხმევა «ბრწყინვალე გზასთან» ბრძოლაში არაუფექტური გამოდგა. სამხედრო ქვედანაყოფები ხშირად უდანაშაულო ხალხსაც ხოცავდნენ და სოფლებს ანადგურებდნენ. ნაციონალური დაზვერვის სამსახურის ერთმა ჯგუფმა (კოლინის ჯგუფი) ლა კანტუტასა და ბაიერის ალტოსში სასაკლაოც კი მოაწყო.

ფუხიმორის მთავრობის კოლაფსის შემდეგ დროებითმა პრეზიდენტმა ვალენტინ პანიავუმ კონფლიქტის მიზნებისა და შედეგების გამოსაძიებლად შექმნა «დაზავებისა და სამართლიანობის კომისია», რომლის მონაცემებითაც 1980 წლიდან 2000 წლამდე სამხედრო კონფლიქტის შედეგად დაიღუპა და უგზოუკვლოდ დაიკარგა 69280 კაცი. სიკვდილიანობის უმთავრეს მიზეზად სენდერო ლუმინოსოს საქმიანობა დასახელდა. კერძოდ, დადგინდა, რომ «ბრწყინვალე

გზა» პასუხისმგებელი იყო 31331 კაცის მკვლელობასა და გაურჩინარებაზე.

1992 წლის 12 სექტემბერს პერუს პოლიციის საგანგებო დაზვერვის ჯგუფმა სურგილის რაიონში (ლიმა), საცეკვაო სტუდიის თავზე განთავსებულ აპარტამენტებში დააკავა გუსმანი და «ბრწყინვალე გზის» რამდენიმე ლიდერი. აპარტამენტებიდან გადაყრილი ნაგვის დათვალიერებისას პოლიციამ აღმოაჩინა კანის მალამოს ცარიელი ტუბები, რომლებსაც თურმე გუსმანი ფსორიაზის სამკურნალოდ იყენებდა. დაკავების შემდეგ მან მშვიდობიანი წინადადება წამოაყენა, რამაც ორგანიზაციის რიგებში არეულობა და დაქსაქსულობა გამოიწვია. ყოფილი ლიდერის ადგილი ოსკარ რამირესმა დაიკავა, რომელიც პერუს ხელი-სუფლებამ 1999 წელს დააპატიმრა, რასაც შედეგად მოჰყვა დაჯგუფების დაშლა და ორგანიზაციის პარტიზანული აქტივობის დაქვეითება.

2002 წლის 21 მარტს ლიმაში, ამერიკის საელჩოს შენობის წინ მდგარ ავტომანქანაში ბომბი აფეთქდა. ეს ქვეყანაში აშშ-ის პრეზიდენტის — ჯორჯ ბუშ-უმცროსის ვიზიტის წინა დღეს მოხდა. აფეთქების შედეგად დაიღუპა 9 და დაიჭრა 30 კაცი. ტერაქტში «ბრწყინვალე გზა» დაადანაშაულეს.

2003 წლის 9 ივნისს სენდეროსტებმა იერიში მიიტანეს აიაკუჩოში მდებარე ბანაკზე და მძევლად აიყვანეს არგენტინელი კომპანია Techint-ის 69 თანამშრომელი და სამი პოლიციელი. კომპანიის კუსკოდან ლიმაში ბუნებრივი გაზი გაჰყავდა. პერუს მინაგან საქმეთა სამინისტროს წყაროს ცნობით, ტერორისტებმა მძევალთა გასათავისუფლებლად სოლიდური გამოსასყიდი მოითხოვეს, მაგრამ მობილური სამხედრო ძალების გამორჩენის შემდეგ იქაურიობაც და მძევლებიც უსასყიდლოდ დატოვეს. ამასთან, გავცელდა ხმები, რომ მემამბოხეებს 200 ათასი ამერიკული დოლარი გადაუხადეს.

მოკლე ხანში სამთავრობო ძალებმა «ბრწყინვალე გზის» ლიდერები: ხოსე არსელა ჩიროკე, მეტსახენლად «ორმენიო», და ფლორენცინო სერონ კარდოზო («კიროლიო») დააკავეს. 2003 წელს პერუს ნაციონალურმა პოლიციამ სენდერო ლუმინოსოს რამდენიმე საწვრთნელი ბანაკი გაანადგურა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები და წევრთა უმრავლესობა დააკავა.

2004 წლის იანვარში «ამხანგარ მინისონი» სახელის ცნობილი კაცმა, რომელიც საკუთარ თავს «ბრწყინვალე გზის» ერთ-ერთ ლიდერს უწოდებდა, მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ დაჯგუფება განაგრძობს თავდასხმებს, თუ პერუს მთავრობა «სენდერო ლუმინოსოს» სხვა ლიდერებს 60 დღის განმავლობაში არ გაათავისუფლებს.

პასუხად პერუს შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობა მყისიერ რეაგირებას მოახდენს ნებისმიერ თავდასხმაზე. იმავე წლის სექტემბერში პოლიციამ 5 ქალაქში 17 ეჭვმიტანილი გამოაპატიმრა და 8 დააკავა.

2009 წლის მარტში, ბოლივიური გაზეთების ცნობით, «ბრწყინვალე გზის» ფორმირებებთან დაკავშირებული შეიარაღებულმა პირებმა, ამ ტერორისტული დაჯგუფების რეორგანიზაციისთვის საჭირო სახსრების მიღების მიზნით, ბოლივიაში რამდენიმე ბანკი გააძარცვეს...



«სენდერო ლუმინოსოს» მეთაურები



დააკავეული აპირებდა გუსმანი

საბჭოთა დაზვერვის შედეგები — ოპერაციის «სნებ»

1941 წლის 7 დეკემბერს მოსკოვთან გრანდიოზული ბრძოლა გაიმართა. წითელმა არმიამ კონტრშეტევა განახორციელა ჰიტლერულ ჯარებზე. იმავე დღეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: იაპონიის ავიაციამ იერიში მიიტანა ჰავაიზე მდებარე აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე, პირლ ჰარბორზე. ამით აშშ-ის „იზოლაციის“ პოლიტიკა დასრულდა. პრაქტიკულად ფრანკლინ რუზველტმა კონგრესში სიტყვით გამოხატვისას იაპონიას ომი გამოუცხადა. მაშინ ვინ წარმოადგენდა, რომ იაპონიისა და აშშ-ის დაპირისპირების ინიციატორი საბჭოთა დაზვერვა იყო?!

არცთუ დიდი ხნის წინ აშშ-ში გამოქვეყნდა ადრე ზუსაი-დუმლო „ვენისის“ დოკუმენტი, სადაც ასზე მეტი იმ ამერიკელი მოქალაქის სახელი და ფსევდონიმა მოხსენიებულია, ვინც მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობდა. ბევრ მათგანს პრეზიდენტების — რუზველტისა და ტრუმენის დროს თეთრი სახლში, სახელმწიფო დეპარტამენტსა და შემდგომში ცსს-დ გადაკეთებულ სტრატეგიული სამსახურების სამმართველოში მაღალი პოსტები ეკავა. მათ შორის, ვისი ვინაობაც დოკუმენტი დასახელებულია, გახლავთ ფინანსთა მინისტრის მოადგილე პარი დექსტერ უაითი, ფსევდონიმით „იურისტი“.

უაითი ლიტველი ემიგრანტების შვილი, ფინანსთა მინისტრ მორგენტაუს უახლოესი მრჩეველი იყო და პასუხს აცხადებდა ამერიკის სამხედრო საზღვაო ძალების დაფინანსებაზე. პირველი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის საბჭოთა აგენტი იყო, ჯერ კიდევ 1945 წელს გაჩნდა. ეს ცნობა სსრკ-ის დაზვერვის მეკავშირე ელიზაბეტ ბენტლიმ გაამჟღავნა. უაითზე საქმე აღიძრა ფებ-სა და აშშ-ის კონგრესის კომისიაში, რომელიც ამ საქმეს იკვლევდა, მაგრამ უაითის ბრალეულობის დამამტკიცებელი საბუთები ვერ მოიძებნა.

თავად მინისტრის მოადგილე ყველაფერს კატეგორიულად უარყოფდა, თუმცა საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერას მოკლებული იყო. 1948 წლის აგვისტოში, კონგ-

რესის კომისიაში მორიგი დაკითხვის შემდეგ, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა და მის ნინაალმდეგ აღძრული საქმეც დაიხურა. დღემდე უცნობია, უაითი ბუნებრივი სიკვდილით აღესრულა, თავე მოიკლა თუ მოკლეს. რასაკვირველია, შესაძლებელია, უაითი საბჭოთა დაზვერვის აგენტად არ მიიჩნეოდა — გასამრჯელოს იგი არ იღებდა, მაგრამ დღეს არსებობს საკმარისი ფაქტები, რომელიც მის თანამდებობასთან დაკავშირებულ საქმიანობას განსაზღვრავს — გავლენის აგენტი! როცა საბჭოთა დაზვერვამ „საიდუმლოს“ გრიფი მოხსნა ოპერაცია „სნებ“-ს რომელიც პერლ-ჰარბორზე იაპონელების თავდასხმის წინა დღეებში განხორციელდა, უკვე ეჭვს აღარ იწვევდა, რომ მისი მთავარი რგოლი სწორედ პარი უაითი იყო.

ოპერაცია „სნებ“-ი ჯერ კიდევ სსრკ-ზე გერმანიის თავდასხმამდე იყო ჩაფიქრებული და მის შესახებ მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა, რომელიც თაშორისაც იყვნენ მისი აგენტი და შემსრულებელი იცხაკ ახმეროვი და მისი უშუალო ხელმძღვანელი ვიტალი პავლოვი. სტალინმა ეს ოპერაცია მოიწონა, თუმცა ირონიულად „არაეთიკური“ უწოდა.

ომის წინა პერიოდში ტოკიოში მყოფი საბჭოთა აგენტურისგან მოდიოდა ცნობები, რომლებიც საბჭოთა ხელმძღვანელობის შემოფოტებას იწვევდა. იაპონია საბრძოლო მოქმედებებს ახორციელებდა ჩინეთში. მისი მმართველი წრეების წინაშე იდგა საკითხი, რა მიმართულებით წარმართათ აგრესია — სამხ-



პარი უაითი და ჯონ კინსი

რეთის, სადაც ინგლისსა და იაპონიას ძლიერი პოზიციები ჰქონდათ, თუ ჩრდილოეთის — რაც უკვე სსრკ-სთან ომს ნიშნავდა. უწინააღმდეგო იდეები, რომ თანდათან ძლიერდებოდა „ჩრდილოეთის ვარიანტის“ მომხრეთა პოზიციები. თან „სამხრეთის მიმართული“ მომხრეთა პოზიციებიც მტკიცდებოდა.

საბჭოთა დაზვერვას ჰქონდა მტკიცებულებები, რომ ამერიკულ-იაპონური კონფონტაცია წყნარ ოკეანეში წელს, მაგრამ მყარად გადაიზრდებოდა სამხედრო დაპირისპირებაში, ხოლო წითელი არმიის დაზვერვის მთავარი სამმართველოს (ГРУ) ანალიტიკოსები თავდაცვის სამსახურში ინგლისისა და აშშ-ის სტრატეგიული ობიექტებზე აპონიის ფლოტის მოულოდნელი თავდასხმის გარდუვალობის შესახებ.

ჰიტლერის სამხედრო წარმატებების ფონზე ამ ქვეყნებს შორის რაიმე ეკონომიკური კომპრომისების მიღწევაზე საუბარი ერთობ პრობლემური ჩანდა, მაგრამ გარანტია იმისა, რომ იაპონელები სსრკ-

ის ნინაალმდეგ ომს არ წამოიწყებდნენ, მაინც არ არსებობდა. სტალინს ეს ჩინებულად ესმოდა და ამიტომაც მიიღო ზომები, რათა სსრკ-სკენ მომართული შესაძლო შეტევა აშშ-სკენ გადაემისამართებინა.

1940 წლის ზაფხულში საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელ პ. ფიტინთან გაიმართა თათბირი, გაანალიზდა აშშ-ის მდგომარეობა, იქ საბჭოთა აგენტურის გააქტიურების შესაძლებლობა და იაპონიაზე „ზეგავლენის“ მოხდენის საკითხი იმ შემთხვევისთვის, თუკი ის სსრკ-ზე თავდასხმას მოეგონებებოდა. ამ „ზეგავლენის“ მოხდენად აღიარდა „აშშ-ში არაღვთიური რეზიდენტურის ყოფილი ხელმძღვანელი ი. ახმეროვი, რომელიც იმხანად პოსტიდან ჩამოკეცილებული გახლდათ (კიდევ კარგი, დაზვერვას გადაურჩა). მან დეტალურად მოახსენა მოთათბირებს, როგორ შეიძლებოდა იმ ადამიანების პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, ვისთანაც მას კავშირი ჰქონდა აშშ-ში ყოფნისას. ერთ-ერთი მათგანი ფინანსთა მინისტრის მოადგილე პარი უაითი გახლდათ, რომელიც ხშირად ამზადებდა ანალიტიკურ მასალებსა და მოხ-

სენებებს არა მარტო ხელმძღვანელის, არამედ პრეზიდენტ რუზველტისთვისაც. უაითი მტკიცე ანტიფაშისტი იყო, ამიტომ ახმეროვმა თათბირზე განაცხადა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა უაითის გამოყენება სსრკ-ის აღმოსავლეთის საზღვრების განმტკიცებისა და იქიდან სსრკ-ზე თავდასხმის არიდების უზრუნველყოფის გეგმის განსახორციელებლად. ამისთვის კი უაითი იქნებოდა იაპონიისა და აშშ-ის რთული ურთიერთობების მაქსიმალურად გამოყენება. რაკი ამ გეგმაში გადაწყვეტილი იყო სწორედ აშშ-ს მიაკუთვნეს, უაითის გვარის ანალოგიით (რაც ინგლისურად „თეთს“ ნიშნავს), ოპერაციას უწოდეს „სნებ“-ი.

ახმეროვის მიერ შედგენილი თეზისების მიხედვით, წამოჭრილი მიზნები შემდეგნაირად გამოიყურებოდა: აშშ ვერ შეეგუებოდა იაპონიის ექსპანსიას წყნარი ოკეანის რეგიონში, რადგან ეს მის ნაციონალურ ინტერესებს შელახავდა; ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების თავსაზრისით, ვაშინგტონს უნარი შესწევდა, წინააღმდეგობა გაეწია იაპონიის აგრესიისთვის, მაგრამ მის მიხედვით ურთიერთელსაყრელ პირობებში მთავარ პარტნიორს გამართვას არჩევდა, თუკი იაპონია შეწყვეტდა აგრესიას ჩინეთსა და მის მიმდებარე რეგიონებში, უკან გაიხიზნებოდა თავის შეიარაღებულ ძალებს მატერიკიდან. ამ თავდაპირველ თეზისებში ჯერ ბერიაიმ, შემდეგ კი სტალინმა გარკვეული ცვლილებები შეიტანეს. სწორედ ეს ვარიანტი უნდა გადაეცათ უაითისთვის, რომელიც თავად გაიმართა აშშ-ის მთავრობისთვის მისი მიწოდების საშუალებას.


ოპერაცია ზედმიწევნით გასაიდუმლოებული იყო. ბერიაიმ საგარეო დაზვერვის ამერიკული განყოფილების უფროსს — ვ. პავლოვს ოპერაციის დასრულებისთანავე მისი სამუდამოდ დაიხილება უბრძანა, თანაც ისე, რომ „სნებ“-ის შესახებ ქალაქის ნაგლევიც არ შემონახულიყო. 1941 წლის მარტის ბოლოს მოსკოვში მოლაპარაკებები მიმდინარეობდა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრ ი.

მაცოუქისთან ნეიტრალიტეტის საკითხზე. მოლაპარაკებების პირველი რაუნდი უშედეგოდ დასრულდა, რადგან იაპონელებმა მოითხოვეს, რომ სსრკ-ს მათთვის ჩრდილოეთ სახალინი მიეყიდა. მოლაპარაკებებში სტალინიც მონაწილეობდა. პირველი მარცხის შემდეგ მაცოუქი ბერლინში გაემგზავრა და, როცა გერმანიიდან დაბრუნდა, მოლაპარაკებებიც განახლდა. რაკი მხარეების პოზიცია ურყევი რჩებოდა, ნათელი შეიქმნა, რომ ხელის მოწერა არ მოხერხდებოდა შეთანხმებაზე, რომლის მიღწევასაც სსრკ ცდილობდა. თუმცა 1941 წლის 13 აპრილს მაცოუქი ტოკიოდან ახალი განკარგულებები მიიღო — იაპონია თავის მოთხოვნებზე უარს ამბობდა. ამიტომ სტალინმა სსრკ-სა და იაპონიას შორის ნეიტრალიტეტის შეთანხმებას მოეწერა ხელი. ცხადია, ეს საბჭოთა მხარის წარმატება იყო, რადგან შეთანხმება შორეულ აღმოსავლეთში ვითარებას ასტაბილურებდა, მაგრამ სტალინი მშვენივრად იყო ინფორმირებული იაპონიის პრემიერ-მინისტრის, ჰიტი ტანაკის შემოწმების შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელმა ჯერ კიდევ 1927 წელს იმპერატორ ჰიროჰიტოს გაუგზავნა. მასში მთავარ მიზნად დასახული იყო აზია-აღმოსავლეთის სივრცის ეტაპობრივი დაპყრობის გეგმა, შორეული აღმოსავლეთის საბჭოთა რეგიონის ჩათვლით. ამიტომ მაცოუქის გამგზავრებისთანავე სტალინმა პოლიტიკურს სხდომაზე განაცხადა, რომ იაპონიასთან შეთანხმება ძალიან კარგია, მაგრამ საფიქრალია, კიდევ რა ზომებს უნდა მიმართონ შორეული აღმოსავლეთის საზღვრების დასაცავად.

1941 წლის მაისის შუა რიცხვებში დიპლომატიური კურირების ნიღბით ახმეროვის უშუალო ხელმძღვანელი, ლეიტენანტი ვიტალი პავლოვი შეეფერილი ხომალდით ნიუ იორკში ჩავიდა. ჩააბარა დიპლომატიური ფოსტა საკონსულოში და ვაშინგტონში გაემგზავრა. ვაშინგტონში რეზიდენტმა მას „სუფთა“ მანქანა გამოუყო მძღოლითურთ (ოპერატიული მუშაკი) და ოპერაცია „სნებ“-იც დაიწყო. სამი საათის განმავლობაში პავლოვი ამომწვევით ნაშრომობდა და მისი დანაბრების გადასაცემად შეხვედრა სთხოვა. უაითი დათანხმდა. შეხვედრა რესტორანში დათქვეს. პავლოვმა უთხრა, რომ ბილი ჩინელი იმყოფებოდა, სადაც ამერიკა-იაპონიის ურთიერთობებს იკვლევდა და ძალზე აშუთოებდა იაპონიის აგრესიულობა. ამიტომ სურდა, რომ უაითს მისი შეხვედრებიც სცოდნოდა. სათქმელს რომ მორჩა, პავლოვმა ამერიკელს




პერლ-ჰარბორი დაბომბვისას



ფრანკლინ რუზველტი და მორგენტაუ



პორულ პელი, პინერი მორგენტაუ და პინერი სტიმსონი



ჰარი უაითი ჩვენების მიცემისას

სტალინგრადის დაცვა

სტალინგრადის ბრძოლა მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო და, კურსკის ბრძოლასთან ერთად, გარდამტეხი როლი ითამაშა დიდი სამამულო ომის მსვლელობაში, რის შემდეგაც გერმანულმა ჯარებმა სტრატეგიული ინიციატივა დაკარგეს. მიახლოებით გამოთვლებით, ორივე მხარემ ამ ბრძოლაში 2 მლნ კაცი დაკარგა.

ბრძოლა, როგორც მეორე მსოფლიო ომის ბედი განსაზღვრა

წინ დაუდო ახმეროვის თეზისები ფურცელი. ეს ძალზე საპასუხისმგებლო მომენტი იყო — თავზე პოლიცია რომ წამოსდგომოდა და ეს ფურცელი ენახა, მსოფლიო მასშტაბის სკანდალი ატყდებოდა! უაითმა სათანადოდ შეაფასა ნაკითხული და უთხრა, თავდაცვამ აზრის ვარ და საჭირო მიმართულებით ნაბიჯებსაც გადავდგამო... პავლოვმა მოსკოვში დაპიფრული დეპუტა აფრინა: «ყველაფერი რიგზეა.» ახლა ისლა დარჩენიდათ, უაითის მოქმედებებს დალოდებოდნენ.

1941 წლის შემოდგომაზე აშშ-ის სახელმწიფო მდიან კორდელ ჰელსა და იაპონიის პრემიერ-მინისტრ კონოეს შორის მოლაპარაკებები გაიმართა. ჯერ 6 ივნისს, შემდგომ კი 17 ნოემბერს უაითმა ორი დოკუმენტი შეადგინა. მათი ძირითადი შინაარსი ფინანსთა მინისტრის, პენრი მორგენტაუს შემორანდუმში აისახა, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტისთვის უნდა გადაეცათ.

1941 წლის 26 ნოემბერს პრეზიდენტთან კონსულტაციის შემდეგ ჰელსმა იაპონიის ელჩს აშშ-ში, ადმირალ ნომურას ორი «სამახსოვრო ბარათი» გადასცა, რომლებიც ისტორიას «ჰელსის ნოტას» სახელწოდებით შემორჩა. არსებითად, ორივე ბარათი თავისი შინაარსით ულტიმატუმს წარმოადგენდა — ძალიან ჰგავდა «ბილის თეზისებში» გადმოცემულ წინადადებებს და სავსებით შესაბამებოდა იმ კონკრეტულ ზომებს, რომელთა განხორციელებასაც უაითი თავის წერილებში ფინანსთა მინისტრსა და პრეზიდენტს სთავაზობდა.

მინც რა ენერა «ჰელსის ნოტაში»? აშშ მოითხოვდა, რომ იაპონიის თავისი ჯარები ჩინეთიდან, საფრანგეთის ინდოჩინეთიდან, ინდონეზიიდან და კორეიდან გაეყვანა; შეეწყვიტა მანჩურია-გოს სახელმწიფოს მართვით რეჟიმის მხარდაჭერა და გამოსულიყო სამთა პაქტიდან, ბერლინს, რომსა და ტოკიოს რომ აერთიანებდა. «ჰელსის ნოტა» თამამად შეიძლება პროვოკაციად იქნეს განხილული, რადგან დიპლომატიურ ურთიერთობებში არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის, არამედ პარტნიორის მენტალიტეტს გასათვალისწინებელია. იაპონელები კი ასეთი ტონით ლაპარაკს მიჩვეული არ იყვნენ — მათ უგულვებლყვეს ულტიმატუმი, ხოლო 7 დეკემბერს იაპონიის თვითმფრინავები უკვე პერლ-ჰარბორს ბომბავდნენ...

ოპერაცია «სნეგ»-ის გამოიწვიოდა აშშ იძულებით ჩართო მეორე მსოფლიო ომში, სსრკ-მა თავიდან აირიდა ორ ფრონტზე ბრძოლის სახიფათო სიტუაცია და საშუალება მიეცა, ციმბირიდან და შორეული აღმოსავლეთიდან ჯარები გადაესროლა შტალინგრადის გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1941 წლის ზამთარში ბრძოლებით გამოფიტული გერმანული არმია საბჭოთა ჯარებმა მოსკოვის მისადგომებთან შეაჩერეს და უკუაქციეს. სსრკ-ის დედაქალაქზე ხელახალი შეტევის გეგმა შტალინმა უგულვებლყო, რადგან მიაჩნდა, რომ ბრძოლის მოსალოდნელი შედეგი ზედმინებით თვალსაჩინო იყო. სამაგიეროდ, იგი განიხილავდა იერიშის ახალ ვარიანტს ქვეყნის ჩრდილოეთითა და სამხრეთით.

1942 წლის მაისში გერმანიის ჯარების სამხრეთის დაჯგუფება A და B ჯგუფებად დაიყო. A ჯგუფს — ჩრდილოეთ კავკასიის, ხოლო B ჯგუფს ვოლგისა და სტალინგრადის მიმართულებით იერიშის განხორციელება დაეგეგმა. B დაჯგუფებაში შედიოდა ვერმახტის მე-6 არმია (მასში შედიოდა დაჯგუფება 270 ათასი კაცის შემადგენლობით, 3 ათასი საბრძოლო აღჭურვილობა და ნაღმმტყორცნი, 500-მდე ტანკი) ფელდმარშალ ფრიდრიხ პაულიუსის ხელმძღვანელობით და ჰერმან ჰოტიის მე-4 სატანკო არმია.

სსრკ-ის მიერ შექმნილი სტალინგრადის ფრონტის (სარდალი ს. ტიმოშენკო, 23 ივლისიდან — ვ. გორდოვი) შემადგენლობაში შედიოდა 62-ე, 63-ე, 64-ე, 21-ე, 28-ე, 38-ე, 57-ე საერთო საჯარო-სო და ასევე მე-8 საპაერო არმიები, ვოლჟისკის სამხედრო ფლოტილია — 37 დივიზია, 3 სატანკო კორპუსი, 22 ბრიგადა, რომელიც 547 ათას კაცს ითვლიდა, 2200 საბრძოლო აღჭურვილობა და ნაღმმტყორცნი, 400-მდე ტანკი, 454 თვითმფრინავი, 150-200 ბომბდამშენი და 60 გამანადგურებელი.

ივლისის ბოლოს გერმანელებმა საბჭოთა ჯარებს დონთან უკან დაახევინეს. თავდაცვის ზოლი ასობით კმ-ზე გადაიჭიმა დონის გასწვრივ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. გერმანელების მე-6 არმია სტალინგრადიდან რამდენიმე ათეულ კმ-ში იდგა, მის სამხრეთით განთავსებულმა მე-4 სატანკო არმიამ ჩრდილოეთისკენ აიღო გეზი, რათა პაულიუსს ქალაქის აღებაში დახმარებოდა. როცა საბჭოთა სარდლობისთვის თვალსაჩინო შეიქმნა გერმანიის ზრახვები, მან სტალინგრადის თავდაცვის გეგმა შეიმუშავა. ვოლგის აღმოსავლეთ სანაპიროზე დამატებითი საბჭოთა ჯარები განათავსეს. შეიქმნა 62-ე არმია ვასილი ჩუიკოვის მეთაურობით, რომლის ამოცანასაც ნებისმიერ ფასად სტალინგრადის დაცვა წარმოადგენდა.

ქალაქის მოსახლეობა, მათ შორის, ქალებიცა და ბავშვებიც თავდაცვითი ნაგებობებისა და სანგრების მშენებლობაზე მუშაობდნენ.



დატყვევებული იაკოვ ჯულაშვილი

გერმანიის ავიაციის მიერ განხორციელებულმა მასირებულმა დაბომბვებმა ქალაქი გაანადგურა. პირველი იერიშის მოგერიება 1077-ე ჰაერსაინააღმდეგო თავდაცვის პოლკს მოუხდა, რომელიც უმთავრესად, ახალგაზრდა მოხალისე ქალებით იყო დაკომპლექტებული. მათ სახმელეთო ბრძოლის გამოცდილება არ ჰქონდათ, მაგრამ თავგანწირვით იბრძოდნენ მანამ, სანამ მტერმა პოლკის 37-ე ბატარეა არ გაანადგურა. მაშინ ქალაქის მოსახლეობისა და მუშებისგან მოხალისეთა ბატალიონები შეიქმნა. სტალინგრადის სტრატეგიკული ქარხანები კი ტანკების გამოშვება დაიწყო, რომლებსაც ხშირად შეუღებავად და სამიზნე მონოპოლოლების დაყენების გარეშეც აგზავნიდნენ ფრონტზე. ქალაქის ნანგრევებში საბჭოთა 62-ე არმიამ საცეცხლე ნერტილებიანი თავდაცვითი პოზიციები მოაწყო.

13 სექტემბერს გერმანელებმა სტალინგრადის შტურმი დაიწყეს. ქუჩებში სასტიკი და თავგანწირვითი ბრძოლები მიმდინარეობდა. რიგითი საბჭოთა ჯარისკაცის სიცოცხლის ხანგრძლივობა ქალაქში 24 საათს არ აღემატებოდა...

გერმანიის სამხედრო დოქტრინა ეყრდნობოდა სხვადასხვა ტიპის არმიების: ქვეითის, არტილერიისა და ავიაციის ურთიერთშეთანხმებულ ქმედებებს და ამის სა-

წინააღმდეგოდ საბჭოთა სარდლობამ ილი გზა გამოიწვია — ფრონტის ხაზების ერთმანეთთან მაქსიმალურად დაახლოებას (30 მ-ის მანძილზე) შეეცადა.

საკუთარი ჯარების განადგურების შიშით გერმანელები არტილერიასა და ავიაციას ვეღარ იყენებდნენ. ბრძოლები მიმდინარეობდა თითოეული ქუჩის, ქარხნის, სახლის, სარდაფისა და კიბის უჯრედისთვისაც კი. გერმანელებმა ამგვარ ბრძოლას «ვირთხების ბრძოლა» უწოდეს.

სასტიკი ბრძოლები გაიმართა სისხლით გაპოხიერებული მამაის ყორღანის დასაცავადაც. სიმაღლე ხელიდან ხელში გადადიოდა. საბრძოლო მოქმედებები იმდენად მჭიდროდ მიმდინარეობდა, რომ საბჭოთა და გერმანულ ჯარისკაცებს ერთმანეთის სუნთქვაც კი ესმოდათ. ქალაქის მეორე ნაწილში მრავალბინიანი შენობა, რომელსაც იაკოვ პავლოვის ოცული იცავდა, მიუდგომელ ციხესიმაგრედ იქცა.

14 ოქტომბერს გერმანელებმა ხელახალი შტურმი განახორციელეს, მაგრამ ვერ შეძლეს ვოლგის მეორე ნაპირზე გადასვლა. გაჭიანურებულმა ბრძოლებმა გერმანელები აიძულა ქალაქისთვის მძიმე არტილერია მოეყენებინათ, გიგანტური 600 მმ-იანი კალიბრის მორტარების ჩათვლით. მათ არც კი უცდიათ ვოლგის მეორე ნაპირზე გადასვლა, რითაც



პაულიუსი დაკითხვაზე მიჰყავს

საშუალება მისცეს საბჭოთა ჯარებს, მდინარის გაღმა დიდი რაოდენობით სარტილერიო ბატარეები განეთავსებინათ, საიდანაც საბჭოთა დამცველები გერმანულ პოზიციებს გამოითვლიდნენ და ძლიერ ცეცხლს უხსნიდნენ.

სტალინისა და შტალინის-თვის სტალინგრადისთვის ბრძოლა, მისი სტრატეგიული მნიშვნელობის გარდა, პრესტიჟის საკითხსაც წარმოადგენდა. საბჭოთა სარდლობამ ნითელი არმიის რეზერვები მოსკოვიდან ვოლგისკენ გადმოიანაცვლა და პრაქტიკულად მთელი ქვეყნის საპაერო ძალები სტალინგრადის რაიონში გადაიწონსროლა. ორივე მხარის სამხედრო მეთაურთა დაძაბულობა პიკს აღწევდა. პაულიუსს თვალის არაკონტროლირებადი ნერვული ტიკიც კი განუვითარდა.

ნოემბერში სამთვიანი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, გერმანელებმა, როგორც იქნა, ვოლგის მეორე ნაპირს მიაღწიეს, დაიკავეს დანგრეული ქალაქის 90 პროცენტი და საბჭოთა ჯარები ორ ნაწილად გახლიჩეს, რის გამოც ეს უკანასკნელი ორ ვინო ქვაბურაში აღმოჩნდნენ. მიუხედავად ამისა, სასტიკი ბრძოლები გრძელდებოდა მამის ყორღანსა და ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქარხნებში. სანამ საბჭოთა ჯარისკაცები თავიანთი პოზიციების დაცვას განაგრძობდნენ და გერმანელებს ცეცხლს უშენდნენ, ფაბრიკა-ქარხნების მუშები დაზიანებულ საბჭოთა ტანკებსა და იარაღს ზედ ცეცხლისპირა ხაზზე არემონტებდნენ, ხშირად — პირდაპირ ბრძოლის ველზეც.

19 ნოემბერს დაიწყო სტალინის მიერ შემუშავებული ოპერაცია «ურანუსი», რომელიც მიზნად ისახავდა პაულიუსის მე-6 არმიის ალყაში მოქცევას, ორად გახლიჩასა და საჯარისო ნაწილების სათითაოდ განადგურებას. 23 ნოემბერს საბჭოთა ძალებმა მართლაც ალყაში მოაქციეს მე-6 არმია, მართალია, მისი გახლიჩა ვერ შეძლეს, მაგრამ მისი რეზერვებისგან იზოლირება მოახერხეს. ფელდმარშალმა მანშტეინმა

პაულიუსის დახმარება სცადა და 12 დეკემბერს ნამოინყო შეტევა, რომელიც მალინოვსკის მე-2 არმიამ მოიგერია.

27 დეკემბერს სტალინმა და ულკოვმა შეიმუშავეს იერიშის ახალი გეგმა «რგოლი», რომელიც ოპერაცია «ურანუსი» გავრცელებას წარმოადგენდა. 10 იანვარს საბჭოთა არმიის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და 26 იანვარს მე-6 არმია ორად გახლიჩეს. 31 იანვარს ლიკვიდირებული იქნა მე-6 არმიის სამხრეთი დაჯგუფება, სარდლობა, შტაბი; თავად პაულიუსი კი ტყვედ აიყვანეს. სულ ოპერაცია «რგოლის» განმაჯობაში სამხედრო მეთაურთა დაძაბულობა პიკს აღწევდა. პაულიუსს თვალის არაკონტროლირებადი ნერვული ტიკიც კი განუვითარდა. 24 იანვარს, ვერმახტის 91 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერზე მეტი.

სტალინგრადთან გამარჯვებამ განმსაზღვრელი როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მიმდინარეობაში. თავგანწირვითი ბრძოლა, რომელიც მტრის რჩეული დაჯგუფების ალყა-შემორტყმით, განადგურებითა და დატყვევებით დასრულდა, უზარმაზარი წვლილი შეიტანა დიდი სამამულო ომის მსვლელობის ძირეულ გარდატეხაში.

სტალინგრადთან დამარცხების შემდეგ გერმანულ სარდლობას სურდა, სმოლენსკთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდნილი და ჰამელსბურგის საკონცენტრაციო ბანაკში მყოფი იაკოვ ჯულაშვილის გაცვლა ფელდმარშალ ფრიდრიხ ფონ პაულიუსში. გავრცელებული ვერსიით, გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლის მიერ შემუშავებული ოპერაცია «ურანუსი», რომელიც მიზნად ისახავდა პაულიუსის მე-6 არმიის ალყაში მოქცევას, ორად გახლიჩასა და საჯარისო ნაწილების სათითაოდ განადგურებას. 23 ნოემბერს საბჭოთა ძალებმა მართლაც ალყაში მოაქციეს მე-6 არმია, მართალია, მისი გახლიჩა ვერ შეძლეს, მაგრამ მისი რეზერვებისგან იზოლირება მოახერხეს. ფელდმარშალმა მანშტეინმა



ქუჩის ბრძოლები სტალინგრადში

ორი განსხვავებული — სტრასბურგის სასამართლოში

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ორი განაცხადი შევა. მოქალაქეების ეთერ კვირიაშვილისა და ილია ნადირაშვილის ინტერესებს სტრასბურგში "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" დაიცავს.

კვირიაშვილი, რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლომ 2007 წელს თავისუფლების 14 წლით აღკვეთა მიუსაჯა, საპატიმროში არასათანადო პირობებისა და სამედიცინო მომსახურების არარსებობის გამო სახელმწიფოს ჯანმრთელობის მერყევაში ადანაშაულებს.

რაც შეეხება ილია ნადირაშვილს, იგი სახელმწიფოსგან 1988-92 წლებში ბინის ასაშენებლად ხაზინაში შეტანილი 35 000 საბჭოთა მანეთის დაბრუნებას ითხოვდა, რადგან მისთვის ბინა არ აშენებულა.

"ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ნადირაშვილი დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებს თანხა დაუბრუნდა.

გაზეთ "საქართველო და მსოფლიოს" რედაქცია სამიძიარს უცხადებს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თანათავმჯდომარეს გია ჟორჟოლიანს მამის, ომისა და შრომის ვეტერანის, საქართველოს დამსახურებული მშენებლის

გიორგი (ბიძი) ვლადიმერის ძე შორაშვილის
გარდაცვალების გამო.
პანაშვილი —
13, 14 მაისს, 16 საათზე.
დაქარაქვბა —
15 მაისს, 15 საათზე.
მისამართი: ბათუმი, თედო სახოკიას №43.

ყოფილი კონსულ სიხის საავადმყოფოში სიკვდილს ებრძვის



ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ერთსა და იმავე საქმეზე მესამე საჩივარი წავიდა. საქმე ეხება კოტ დიუვარის ყოფილ კონსულს საქართველოში ერმილე თორთლაძეს. მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად კრიტიკულია, რომ, შესაძლოა, მალე ლეიტალური შედეგი მივიღოთ. მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურგიდან დროებითი ზომის ამოქმედების შესახებ უკვე მოვიდა მითითება, სასჯელაღსრულების სამინისტრო უარს აცხადებს თორთლაძის სპეციალიზირებულ კარდიოლოგიურ კლინიკაში გადაყვანაზე.

ერმილე თორთლაძეს მძიმე კარდიოლოგიური დაავადება აქვს. ციხის საავადმყოფოში კი ასეთი კატეგორიის ავადმყოფისთვის საჭირო პირობები არ არის შექმნილი. ევროპის სასამართლოს მითითების შემდეგ, კლინიკა "გულში" კარდიოკოსტიმულატორის ინპლანტაცია გაუეთდა, რაც სახელმწიფოს 25 ათასი ევრო დაუჯდა. თუმცა ყოფილი კონსული ძალიან მალე გამოწერეს საავადმყოფოდან და პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

როგორც თორთლაძის ადვოკატი მანანა კობახიძე ამბობს, პატიმრის საავადმყოფოდან ეტაპირებას კანონდარღვევით აპირებდნენ. სასჯელაღსრულების დაწესებულების წარმომადგენლები ყოფილი კონსულის გადასაყვანად არასამართლო საათებში, გვიან ღამით, მივიდნენ; მაშინ, როდესაც კლინიკაში მორიგე ექიმის გარდა აღარავინ იმყოფებოდა და განერის ჩა-

ნაწერიც არ არსებობდა. მხოლოდ ადვოკატისა და სხვა პირების ჩარევის შემდეგ დაიცვეს პროცედურა და პატიმარი ექიმის დასკვნის შემდეგ გადაიყვანეს.

ევროსასამართლოში გაგზავნილი ბოლო საჩივარში ერმილე თორთლაძე ე.წ. ჩაფიხის კარდიოლოგიურ კლინიკაში გადაყვანას ითხოვს და წერს, რომ ციხის ექიმებს უნდობლობას უცხადებს, რადგან მისი ავადმყოფობის ისტორიის ჩანაწერები არასწორია. იქ წერია, რომ გაუკეთდა მედიკამენტი, ჩაუტარდა ესა თუ ის პროცედურა, რაც სიმართლეს არ შეეფერება.

თორთლაძის საქმე სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა. მათი დასკვნაც ევროსასამართლოს ანალოგიურია — საჭიროა სპეციალიზირებულ კლინიკაში გადაყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სიცოცხლის გადარჩენა შეუძლებელი იქნება.

ყოფილ კონსულს ძალიან მძიმე დაავადება

ანუხებს, მისი მკურნალობა კი დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ცხადია, სახელმწიფოს გაუჭირდება მისი სრულფასოვანი მკურნალობა, თუმცა გამოსავალი ამ შემთხვევაშიც არსებობს. ჯანდაცვის სამინისტრომ დაადგინა ის მძიმე დავადებები, რომლებზედაც დაარსებულია ათავისუფლებენ ან სასჯელს გადაუადგებენ, რაც განისაზღვრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 607-ე ან 608-ე მუხლებით.

მიუხედავად იმისა, რომ თორთლაძის დაავადება ასეთ კატეგორიაში ხვდება, სახელმწიფომ ეს კანონი არ ამოქმედდა და არ მისცა საშუალება, რომ მას საკუთარი თანხებით მანც ემკურნალა.

ერმილე თორთლაძე თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში სპეციალურმა ოპერატიულმა დეპარტამენტმა (სოდ) 2005 წელს აიყვანა მას ბრალად ედება აგნასაკუთრებით დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალებების შექმნა-შენახვა და გავრცელება; სასამართლომ 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. როგორც მსჯავრდებულის ადვოკატი მანანა კობახიძე აცხადებს, საქმის წარმოება თავიდანვე კანონდარღვევით მოხდა. თორთლაძე დამოუკიდებელი კურიერის ფუნქციასაც ასრულებდა და მასზე იმუნიტიტი ვრცელდებოდა, რაც დაცული არ იყო ჩხრეკისა და დაპატიმ-

რების დროს. პირველი საჩივარი ევროსასამართლოში ამის გამო გაიგზავნა.

თავად ყოფილი კონსული დანაშაულს არ აღიარებს. მან მხოლოდ ის დაადასტურა, რომ მორფინის მართლაც ინახავდა, გულის შეშუპვებით კი ტკივილის მოსახსნელად სწორედ მორფინს გამოიყენებდა. ამოღებული სუბოტექსი კი მას ჩაუდეს.

საქმეში ფიგურირებს მისი დაცვის ყოფილი თანამშრომელი იობაშვილი, რომელიც რამდენიმე წლის წინ ნარკოტიკების შენახვის გამო ევროპიდან დეპორტირებული იყო. სწორედ მან დაადო ხელი ყოფილ კონსულს და განაცხადა, რომ ნარკოტიკულ საშუალებებს თორთლაძისგან იძენდა და შემდეგ ყიდდა. იობაშვილთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა, რის შემდეგაც გაათავისუფლეს.

მსჯავრდებულის მხარე ვარაუდობს, რომ იობაშვილი უშიშროების მიერ შეგზავნილი პირი იყო. საქმე ისაა, რომ დაპატიმრებამდე სპეცსამსახურების წარმომადგენლები არაოფიციალურად ხვდებოდნენ ერმილე თორთლაძეს და გარკვეულ თანამშრომლობას მოითხოვდნენ მისგან, მაგრამ კონსულისგან უარი მიიღეს. ამ შეხვედრის ჩანაწერი არსებობს და საქმეშიც ფიგურირებს.

"თვითონ ზუსტად იცის, რატომაც შეიძლება ეს მომხდარიყო. ამ თამაზე ჩვენ ვისაუბრეთ, თუმცა ძნელია

ახლა ეს ამტკიცო. ფაქტია, რომ მას უშიშროების წარმომადგენლები შეხვდნენ, დამუქრნენ კიდევ — თუ გარკვეულ მითითებას არ შეასრულებდა, პროვოკაციებს მოუწყობდნენ. ეს მისგან ვიცო და ამის ფარული ჩანაწერებიც არსებობს", — ამბობს მანანა კობახიძე. თუმცა ზუსტად რა სახის თანამშრომლობაზე იყო საუბარი, ადვილად არ ასახელებს.

რამდენიმე თვის წინ 260-ე მუხლის I ნაწილით ბრალდებულზე ანბის-ტია გამოცხადდა. რაც გულისხმობს ნარკოტიკების შექმნა-შენახვასა და გავრცელებას. თორთლაძემ სასამართლოს მიმართა, რათა ანბისტია მასზეც ასახულიყო და საერთო სასჯელს გამოეკლებოდა, თუმცა, სრულიად დაუსაბუთებელი უარი მიიღო, რის შემდეგაც უკვე მესამე საჩივარი გაიგზავნა ევროსასამართლოში.

ერმილე თორთლაძე ციხის საავადმყოფოში ბერად აღიკვეცა. მიუხედავად იმისა, რომ მას მძიმე ბრალდება აქვს წაყენებული, კათოლიკოს-პატრიარქმა მიიღო გადაწყვეტილება და მისი კურთხევით საბერო სამონასტროში შეიშინა. ყოფილი კონსული ამჟამად ციხის საავადმყოფოს ერთკაცო პალატაში მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. მას ბოლო პერიოდში მორფინის ის დოზაც შეუმცირეს, რაც აწვდის მისთვის საჭირო დოზას. მკურნალობისას დაუნიშნა.

ნატა კვიციანი

ეროვნული უმცირესობებით ერის ბენეფიციარად მსჯავრობა მიზანშეწონილია

საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება ხშირად სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტისა და მედიასაშუალებების განსჯის საგანი ხდება. ეთნიკური უმცირესობების საერთო სამოქალაქო საზოგადოებასთან შერწყმაც სულ უფრო სრულყოფილ სახეს იღებს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანია, მიუხედავად რელიგიური აღმსარებლობისა და ეთნიკური წარმომავლისა. ამას ადასტურებს სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშებიც, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი შეინიშნება. სახალხო დამცველის ანგარიშში არ მოხვდა ეთნიკური დისკრიმინაციის არც ერთი ფაქტი.

რამდენიმე თვის წინ თბილისში მეურვეების აქცია გაიმართა. პროტესტის მიზეზი თბილისის საქალაქო სამსახურიდან 80-მდე ქურთი რეზოვინის დათხოვნა გახდა, რომლებიც ამტკიცებდნენ,

რომ მათ მიმართ ეთნიკურ დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი. სამსახურებიდან გათავისუფლებულმა დახმარებისთვის პროფკავშირებს მიმართეს და საკუთარი უფლებების დაცვას სასამართლოს გზით აპირებენ.

ეთნიკურ დისკრიმინაციად შეაფასა პარლამენტარმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ საზოგადოებრივი მასშტაბის სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტების დროს გაზეთ "მრავალფეროვანი საქართველოს" რედაქტორის, მიხეილ აიდინოვის (რომელიც ეროვნული უმცირესობების ერთადერთი წარმომადგენელი იყო კანდიდატა სიაში) საბჭოში ვერმთხვედრა. "საზოგადოებრივი მასშტაბის მხო-

ლოდ ქართველების ტელევიზია არ არის, მისი ბიუჯეტი ქვეყნის მთელი მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადებით ფინანსდება", — აღნიშნა დეპუტატმა ერთერთი საპარლამენტო გამოსვლისას და განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, თუ აიდინოვი საბჭოს წევრი გახდებოდა. ფაქტობრივად, ლორთქიფანიძემ პარლამენტი პირდაპირ დაადანაშაულა ეთნიკურ დისკრიმინაციაში.

არაადამიანურ პირობებში უწევთ ცხოვრება დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ლენინოვკაში კომპაქტურად მცხოვრებ ბოშებს. ამ სოფელში ისინი, თითქმის ორმოცი წელია, ცხოვრობენ. მათი უმრავლესობისთვის ზოგადი განათლების მიღება ხელმიუწვდომელია. მძიმე სოციალური პირობების მიუხედავად, სოციალური შეღავათით 4 ოჯახი სარგებლობს,

დანარჩენებს კი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებიც კი არ აქვთ. რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ამ პირობების მოგვარება ხელისუფლებას არც წინასწარჩვენოდ უცდია. ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაკეთებელი მართლაც რომ ბევრია. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი საზოგადოების უპირველესი პრობლემა არა ეთნიკური უმცირესობა-უმრავლესობის, არამედ ზოგადად საქართველოს მოქალაქეების უფლებების შელახვა და ხელყოფა წარმოადგენს.

ჩვენი ქვეყანა ყოველთვის იყო, არის და რჩება უამრავი ეროვნების არამხოლოდ საცხოვრებელ ალბად, არამედ მას სხვადასხვა ერის წარმომადგენელი საკუთარ სამშობლოდ თვლიან. ეს, ბუნებრივია, ქართული ხასიათის ტოლერანტობიდან და

სხვა ხალხებთან შემგუებულური დამოკიდებულებითაა გამოწვეული. აქვე აღსანიშნავია, რომ ერთდროულ შემთხვევაში ერთი მენეტალობაზე მსჯელობა მიზანშეუწონელია. თუ სადმე, რომელიმე რეგიონში რომელიმე ერის წარმომადგენლის უფლებები შეილახა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნული უმცირესობები საქართველოში თავს შევიწროებულად გრძნობენ. ხშირად ამგვარ საზოგადოებრივ ამინდსა და შეხედულებას სწორედ ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ქმნიან, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, ცალკეული პირებისა თუ ოჯახების შევიწროების ნიადაგზე გვარდნა სკანდალებსაც გამოაცხობენ ხოლმე და სენსაციებზე მონადირე ქართული მედიაც ხშირად ერთ ამბავს ტყბს.

„საქართველო და მსოფ-

ლიოს" მე-9 ნომერში დაიბეჭდა სტატია „მწვანე ხელიკები ბარიერების საჯანაბო ქისიდან", რომლის შინაარსიც ჩვენი თანამოქალაქეების ერთი ნაწილის პროტესტი გამოიწვია. აქვე აღვნიშნავთ, რომ პუბლიკაციის მიზანი არ ყოფილა ამა თუ იმ პიროვნების, თუნდაც მოქალაქეთა ჯგუფის შეურაცხყოფა; მით უმეტეს, რომ ჩვენი გაზთვის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სწორედ ადამიანთა უფლებების ხელყოფის ფაქტების გამოაშკარავება და მსგავსი ქმედებების განმეორებისთვის ხელის შეშლაა. და თუ მაინც ვინმემ ხსენებული პუბლიკაციის გამოქვეყნების გამო თუნდაც სულ მცირედ იგრძნო შეურაცხყოფილად თავი, რედაქცია წუხს და მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ადგილი გაუგებრობას ჰქონდა.

ნანა ლალაიშვილი

მაშა საბა ბიკაშვილი: ქრისტიანობის არსი სიყვარულზეა დაფუძნებული

ქრისტიანული სწავლებით, ამპარტავნება მომაკვდინებელი ცოდვაა, რომელიც ადამიანების სამოთხიდან განდევნის, კაცობრიობაში სიკვდილისა და ხრწნილების შემოსვლის მიზეზი გახდა. ხშირად ამპარტავნება სხვა ცოდვების წყაროც ხდება. რატომ ითვლება ამპარტავნება მომაკვდინებელ ცოდვად, აშორებს თუ არა ის ადამიანს უფალთან და რა მდგომარეობამდე შეუძლია მიიყვანოს ადამიანი, გვესაუბრება წმიდა გიორგის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი საბა ბიკაშვილი.



ცოდვაში ცხოვრობს, როგორ უნდა გავაცნობიეროთ მისი არსი?

— სულიერ ავადმყოფობას, იქნება ეს ამპარტავნება, განკითხვა თუ ა.შ., ერთი ბუნება აქვს, ადამიანი ხშირად ამ ყველაფერს ვერ აცნობიერებს. ქრისტიანი თავისი ეკლესიური ცხოვრების განმავლობაში ერთგვარად სულიერ წვრთნას გადის, მაგრამ მართო გაცნობიერება არაა საკმარისი.

ცოდვის გაცნობიერების შემდეგ მან კიდევ ერთი ნაბიჯი უნდა გადადგას და ეს ყველაფერი გაითავისოს, ანუ სულიერად შეიმუშოს, როგორც ფსალმუნში წერია. მერე დაინყოს ბრძოლა იმ ცოდვებთან, რაზეც ჩვენ ვლაპარაკობთ: ამპარტავნება, მრუშობა, მკვლელობა, სიძვა, ნარკომანია და რაც მომაკვდინებელი ცოდვებია. პარაკობთ: ამპარტავნება, მრუშობა, მკვლელობა, სიძვა, ნარკომანია და რაც მომაკვდინებელი ცოდვებია.

მართალია, ადამიანის ბუნება ცოდვისკენა მიდრეკილი და მეტ-ნაკლებად ყველა ცოდვასა და მონებულში, ის ყოველდღიურ ცხოვრებაში პატარ-პატარა ცოდვებს მანაც სწავლის, მაგრამ მომაკვდინებელ ცოდვებს ადამიანმა დაუძინებელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი მისი ქრისტიანული ცხოვრება წარმატებული იქნება და ბევრს ვერაფერს მიაღწევს, სულიერად ვერ განვითარდება.

ცოდვების გაცნობიერება ერთი და მათთან ბრძოლა — მეორე, რომელიც ჩვენგან დიდ ნებისყოფას მოითხოვს. სახარებაში კარგად წერია — სიკვდილი და ხრწნილება. სწორედ ამიტომ ამპარტავნება მომაკვდინებელი ცოდვაა. შეიძლება ითქვას, რომ დედამიწის ზურგზე არ არსებობს ადამიანი, რომელიც მეტ-ნაკლებად ამპარტავნებაში არ იყოს ჩაფლული, თუმცა ქრისტიანის ცხოვრება იმით განსხვავდება სხვა ადამიანების ცხოვრებისგან, რომ ის ამ ყველაფერს და ამპარტავნებას მთელი ცხოვრების მანძილზე ებრძვის.

— აღსარების დროს მონაწილეობს თუ არა ცოდვების ინანიება, რაც გააზრებული აქვს. ის შეიძლება ვერც ხვდება, რომ ამპარტავნების

ნათლად დავინახავთ, რომ ორივე ძმამ ძღვენი შესწირა უფალს. ორივემ შესწირა ის, რაც საჭიროდ ჩათვალა და რაც უფლისთვის გაემეტა. აბელის ძღვენი ღმერთმა შეინირა, კანისა — არა და ერთმა ძმამ მეორეზე აღმართა ხელი. რა გახდა მიზეზი, რომ ეკლესიური ცხოვრების ისტორიაში პირველი სისხლი დაღვრილიყო? თავი და თავი ამპარტავნება, მაგრამ ამპარტავნების სათავე შური აღმოჩნდა.

ანუ პირველცოდვად შეიძლება შური განვიხილოთ?

— ამ ყველაფრის სათავე შური იყო. შური არის მდგომარეობა, რომელიც საკუთარი თავისთვის სიკეთესა და წყალობას კი არ ეძიებს, არამედ პირიქით — სხვა ადამიანისთვის ბოროტების მიგებას ცდილობს. როგორც წმიდა მამები ამბობენ, მრავალი ადამიანი სხვათათვის შურით ისეთ გზებს ხლართავს, რომ შესაძლოა, აქედან არანაირი სიკეთის მიღების იმედი არ ჰქონდეს, მაგრამ რაკ სხვას უკეთეს ბოროტებას, ამით კმაყოფილია. ეს არის შურის სათავე და აქედან მომდინარეობს ამპარტავნება.

— ცოდვათაგან ანგელოზის დაცემას პირველი ადამიანის დაცემა და მოგვიანებით უდანაშაულო სისხლის დაღვრა მოჰყვა, ერთგვარად დანაშაულთა ჯაჭვი შეიკრა. საინტერესოა, რომელიც ცოდვების სათავე შეიძლება გახდეს ამპარტავნება?

— სათავე ყველაწიერი ცოდვისა, დაცემისა, უგვახო საცქილვისა და იმ ცუდი მდგომარეობებისა, რომლებიც ადამიანში ყალიბდება მისი ცხოვრების განმავლობაში, პირველ რიგში, შური და ამპარტავნებაა.

შეიძლება ითქვას, შური და ამპარტავნება ყველა ცოდვის დედა, რადგან ამ ორი უდიდესი ცოდვით ადამიანი ყველაწიერად იბლავება. პავლე მოციქული ეპისტოლეში ამბობს, რომ ამპარტავნება შეიძლება შურთან გაკავშირდეს, რადგან მთავარი საფუძველია ყველა ცოდვისა. მრუშობის, განკითხვის, კვლის, პარვისა თუ სხვა დანაშაულის სათავე, დედა და მაცოცხლებელი ძალა, ცუდი გაგებით, ამპარტავნებაა. თუ ადამიანი ამპარტავნებას არაა, ის არ განიკითხავს, მას სხვისთვის ცუდი არ სურს, თავმდაბალია, მორჩი-

ლია და მასში სიყვარულია. პირველ რიგში, უფალი უყვარს და აქედან გამომდინარე, მოყვასი და მტერიც უყვარს. მთავარი ქვაკუთხედი ქრისტიანული სწავლებისა სიყვარულია.

როგორც მაცხოვარი აღნიშნავს მათეს სახარებაში, ყველა რჯული და წინასწარმეტყველება დამოკიდებულია ერთ ცნებაზე, ერთ ჭეშმარიტებაზე — სიყვარულზე.

— გამოდის ამპარტავნება სიყვარულის ნაკლებობა?

— რა თქმა უნდა, შური და ამპარტავნება სიყვარულის ნაკლებობაა და მეტი არაფერი. წმიდა მამებს დავესესხები, მათი სწავლების თანახმად, თავისთავად ბოროტება როგორც სუბსტანცია არ არსებობს, ის სიყვარულის ნაკლებობაა და, როდესაც ადამიანში სიყვარული არაა, მაშინ მიეცემა ასპარეზი ბოროტებას, ადამიანის დამახინჯებულ და შეიძლება გაუცნობიერებულ ცუდ მდგომარეობას, რასაც უსიყვარულობა ვეძვით.

— ქართველებს მშვენიერი სიტყვა გვაქვს „თავმოყვარეობა“, რომელსაც ხშირად სხვადასხვა დანაშაულის გასამართლებლად ვხმარობთ. „თავმოყვარეობა შეუღალა“, „თავმოყვარეობა კაცია და, აბა, რა ექნაო“. აქედან გამომდინარე, თავმოყვარეობაც ამპარტავნების ერთ-ერთი გამოვლინება ხომ არაა?

— თავმოყვარეობა არაა ამპარტავნება, მაგრამ თავმოყვარეობა მაშინ არის კარგი, როცა ადამიანი საკუთარ თავში, უპირველესად, უფლის მსგავსებასა და ხატებას შეიცნობს, ხატებას — სულში და მსგავსებას — ცხოვრებისეულ ღვაწლში.

თუკი ადამიანი თავის თავში ამ მთავარ ღირსებებს ვერ ხედავს, მაშინ ის შეიძლება ზუსტად იმ თავმოყვარეობამდე დავიყვანოთ, რომელიც სულდამგულობს და საზრდოობს ამპარტავნებით, ცუდმედიდურობით, პირმოთენებით, ანგარებით და ა.შ. ეს, რა თქმა უნდა, არასწორი სულიერი მდგომარეობაა.

თავმოყვარეობა საკუთარი თავის სწორად შეამჩნეაუი და უკვე აქედან გამომდინარე უფლის შეამჩნეასა და გააზრებაში უნდა გამოიხატავოდეს. აღაღიანი, როგორც თავის თავს პატივს არ სცემს, არ უყვარს, საკუთარ სულიერ ღირსებებს არ უფრთხილდება და

უხეხვე თილავს, რა თქმა უნდა, სხვა ადამიანს ვერ შეიყვარებს და ვერ დააფასებს. საკუთარი თავის სიყვარული საჭიროა, მაგრამ იმ დონეზე, სადას გადის ზღვარი ქრისტიანულ თავმოყვარეობას, ანუ უფლისადმი მსგავსებასა და ხატებასა და ამპარტავნება-სუღველიდობას შორის.

— ამპარტავნებამ სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი?

— როცა უფალი განკურნავს განრღვეულ ადამიანს, რომელიც წლების განმავლობაში ავადმყოფობით იტანჯებოდა და განკურნებას ვერ ახერხებდა, ეტყვის: „განკურნებული ხარ და ამიერიდან ნულარ შესცოდავო“. მაცხოვარი აფრთხილებს, შენ კი მიიღე ხორციელი კურნება, მაგრამ სულიერი კურნებაც რომ მიიღო, ზნეობრივი ცხოვრებით ცხოვრება გმართებს.

ცოდვა სულიერი მოვლენაა, მაგრამ დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ყველა სულიერი მოვლენა, ანუ ცოდვა ხორციელ უძღურებაში გადაიზრდება ხოლმე, რადგან ცოდვა თავისთავად არ ქრება, არ იკარგება. ის ჯერ ადამიანის სულიერებაზე აისახება და შემდეგ უკვე ფიზიკურ მდგომარეობაზე. დღეს ყველაზე მეტად გავრცელებული სულიერი დაავადებები — ნევროზი, შიზოფრენია და სხვა, ისევე და ისევე ამ ცოდვებიდან გამომდინარეა.

— ეკლესიურობით თავის მოწონება ამპარტავნება არაა?

— ქრისტიანობის არსი და მნიშვნელობა სიყვარულზეა დაფუძნებული, არა და-ძმის, დედისა და ახლობლების, არამედ მტრის სიყვარულზე. უფალი ამას მცნებდა გვიდებს და, თუ ასე არ ვიქცევით, მაშინ ჩვენი ეკლესიურობა შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს. თუ 20-30 წელი დავდივართ ტაძარში, ამით თავი მოგვაქვს და ვთვლით, რომ იმ ადამიანზე, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუწყია ქრისტიანული ცხოვრება, მაღლა ვდგავართ, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს ქრისტიანობა არაა და ასეთი ადამიანი ვერასდროს გახდება სულიერად წარმატებული.

მართლმადიდებლის მთავარი მიზანი სულის ცხონება და გადარჩენაა. იოანე დამასკელი ამბობს, რომ, თუ სამოთხეში მოხვდებით, ორი რამ გაგიკ-

ვირდებათ: პირველი ის, რომ იქ იმათ ნახავთ, ვის ნახვასაც არ ელოდებით და მეორე — ვერ ნახავთ იმათ, ვისი ნახვის იმედიც გქონდათო.

ჩვენ არ ვიცით, მომავალში როგორ მოიქცევა ის ადამიანი, ვინც დღეს კარგი ქრისტიანი გვგონია, როგორი იქნება მისი სულიერი მდგომარეობა. ღმერთმა შეიძლება მეთერთმეტე უამს მოსული და მონაწილე ადამიანები აცხოვროს. ჩვენ კი, რომლებიც მთელი ცხოვრება სულიერებაში ვჯახირობთ, მაგრამ სხვებს განვიკითხავთ და ქრისტიანობით თავს ვინწინებთ, აქედან გამომდინარე, ვერ ვცხონდეთ.

ღვანლში მყოფმა ადამიანმა, სჯობს, თავი კი არ აიმალოს, პირიქით — დაიმდაბლოს. როცა უფალი კაცობრიობას მოვევლინა და 30 წლის ასაკში ამქვეყნიური მსახურება დაიწყო, ის ყველას იღებდა — ფარისევლებს, მეზვერეებს, მეძავეებს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მაცხოვარს მათთან რაიმე საერთო ჰქონდა, არამედ ამით დაგვიდგინა მაგალითი სწავლებისა, ცხოვრების წესისა, მოქმედებისა.

ყველა ადამიანი უნდა შევიწყნაროთ, მიუხედავად მისი რელიგიური მრწამსისა, მსოფლმხედველობისა, განათლებისა, წარმომავლობისა და ა.შ. ყველა უნდა გვიყვარდეს და გვასხოვდეს, რომ ეკლესიაში მოსვლამდე ჩვენც მათი მსგავსი ვიყავით. უამრავ ცოდვას ჩავდიოდით, განვიკითხავდით სასულიერო პირებს, პატრიარქს და გარკვეულწილად უზნეო ცხოვრებით ვცხოვრობდით. რასაც მოვედით დედაკლესიაში, ჩვენი ცნობიერება, აზროვნება ეკლესიური გახდა და ყველა ადამიანს ამ გადასახედიდან მივუდგეთ. მტრებისთვისაც ვილოცოთ. დიდი მამა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში წერია, რომ მას ყველა უყვარდა და მასთან ჩასულ ნებისმიერ ადამიანს, თუნდაც ის სხვა აღმსარებლობისა ყოფილიყო, სითბოთი და სიყვარულით იღებდა, რადგან ადამიანში, უპირველესად, ღვთის ხატებასა და მსგავსებას ხედავდა.

— სიმდაბლე ამპარტავნების წამალია, როგორ უნდა გავიზრდეთ სწორად ქრისტიანული სიმდაბლე?

— როცა ერთ ყვრიმალში გაგარტყამენ, მეორე უნდა მიუშვირო, — ამბობს უფალი სახარებაში, მაგრამ ეს სიტყვები ზედპირულად და პირდაპირი კოპირებით არ უნდა გავიგოთ. აქ მიმტყველობა იგულისხმება.

წინაპრების მაგალითი შეგვიძლია მოვიშველიოთ. როცა საქართველოს მტერი ესხმოდა თავს და ჩვენს ქვეყანას დიდი განსაცდელი ემუქრებოდა, მაშინ ყველა ქრისტიანი სამშობლოს დასაცავად ხელში ხმალს იღებდა. თუ არ ვიბრძოლებდით და ბრძმად დავნებდებოდით, დღემდე ვერ მოვიდოდით და არც ჩვენი ეკლესია იქნებოდა. მაგრამ სახარებისეულ სიტყვებში ქრისტიანული მიმტყველობა და დათმობა იგულისხმება, სულის დამდაბლება და სიყვარული.

ესაუბრა ნათია ძალაბიძე


სამი უძველესი ქვითი

ისტორიული ბოლნისის ხევის შემდეგ სამოგზაუროდ მის მეზობელ დბანის, ანუ დმანის ხევის ვირჩევთ. ალსანიშნავია, რომ ისტორიულ დბანის ხევეში არამარტო დმანისი და დმანისის რაიონი, არამედ თანამედროვე ქალაქი ბოლნისი და ბოლნისის რაიონის მნიშვნელოვანი ნაწილი შედის. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, დბანის ხევი მთლიანად მოიცავს მდინარე მაშავერისა და მის შენაკადთა ხეობებს, ტალავრისა და ფოლადაურის გარდა. „ხოლო მაშავერა იწოდა ქციის რთვისათვის: „მა, შავერი ქციასა“, — გვეუბნება ვახუშტი ბატონიშვილი.

თანამედროვე ბოლნისის თავზე წამოშორებული ყორანის წმიდა გიორგის ეკლესიის თაობაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ერთ-ერთ ადრინდელ ნომერში, როცა იქიდან სამხრეთით დავეყვით ფოლადაურის ხეობაში. ახლა კი, რაკი დბანის ხევეში დავიხვეწეთ მოგზაურობა, მისგან დასავლეთით მდებარე სოფელ რატევეანში უნდა შევიხედოთ. აქ ორი ეკლესიაა. საყდარი, რომელიც თვალსაჩინოდ დგას სოფლის ზედა უბნის ბორცვზე, XVIII საუკუნის ნაგებობაა. იგი აშენებულია დიდი და კარგად გათლილი ვარდისფერი კვადრებით, თუმცა აღდგენის დროს, ფრონტონი აგურის წყობით აუყვანიათ. ეს დარბაზული ეკლესია გამოირჩევა ჩრდილოეთის მინაშენით და აღმოსავლეთ ფასადში ჩასმული მრავალქიმიანი ვარსკვლავით. ამავდროულად აგურის წყობით გამოსახულ ჯვარს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ეს ვარსკვლავი საყდრის ერთადერთი სამკაულია.

მეორე ეკლესიას, რომელიც სასაფლაოზე დგას, კამარა მორღვეული აქვს და უსწორ-მასწორო წყობისაა, მაგრამ მას სიძველის მეტი ნიშანი აზის.

სოფელი რატევეანი ბოლნისის რაიონში შემორჩენილი ერთ-ერთი უძველესი ქართული სოფელია. მოსახლეობის უმეტესობას ლაზარეულები, ავქოფაშვილები და დევნოზაშვილები შეადგენენ. სხვაგვარ სურათს ვხედავთ რატევეანიდან ჩრდილო-დასავლეთით შეფენილი ისტორიული სოფელ აკაურთაში. აქ ძირითადად აზერბაიჯანულენოვანი მუსლიმი მოსახლეობაა და ქართვლოზა უმცირესობას წარმოადგენს. სოფელი აკაურთა დასავ-



დბანის ხევი



აკაურთის „სიონი“ და მისი ბალაგრის რელიეფი

ლეთიდან ემიჯნება დისკვების მინდორს, რომლის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი ასე წერს:


„დისკვლის მინდორი — უწყლო, არამედ ნაყოფიერი ქცია-მაშავერს შუა და მოუცადი მარცვალთა, ბრინჯ-ბამბის გარდა, ხოლო აკაურთას და ტანძიას ქვითიკირის შენებულებანი მრავალნი“.

ალბათ, საინტერესოა, საიდან უნდა მოდიოდეს ტოპონიმი „აკაურთა“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, რომელიც მეზობლად მდებარე ტანძიის მკვიდრი და პატრონი იყო, „აკაური ბატს ჰგავს, თეთრი და დიდი ფრინველია“. „მცხეთური ხელნაწერის“ მე-2 სჯულის მე-13 თავის მე-16 სტრიქონში, სადაც 3 ფრინველია დასახელებული, აკაური მესამეა (ტივი, ყარყატი, აკაური).

1989 წელს თანამედროვე ქართულ ენაზე გამოცემულ ბიბლიაში, ებრაულიდან მთარგმნელებს მე-2 სჯულის მე-13 თავის მე-16 სტრიქონში შემდეგი სამი ფრინველი აქვთ დასახელებული: ჭოტი, გედი, მიკოტი. საფიქრალია, რომ ძველი აღთქმის ორი სხვადასხვა რედაქცია ფრინველთა სხვადასხვა რიგის ჩამონათვალს გვთავაზობს და აკაურთა — ეს თეთრი და დიდი ბატისნაირი ფრინველი, თითქოს, გედი უფრო უნდა იყოს, მითუმეტეს, რომ მეზობლად მდებარე ხევის გედენყალი, ხოლო ხეობას გეტის (თუ გედის) ხეობა ჰქვია. და თუ ეს ასეა, გასაკვირი სხვა რამ არის: რა იზიდავდა გედს ამ უტბო ალგაზე? სოფლის სახელწოდებას ასე ღრმად

იმითმ ჩავეძიეთ, რომ აკაურთა უძველესი ქართული დასახლებაა. ამას მისი ტაძარი ადასტურებს. აკაურთის სიონის დარბაზული ტაძარი ადრექრისტიანული ქართული ხუროთმოძღვრების უიმ-ვიათესი ნიმუშია. ქრონოლოგიურად იგი, მგონი, სათავეში უდგას ქვემო ქართლის ისეთ უძველეს ტაძრებს, როგორებიც ბოლნისის სიონი, ქვემო


სიმაღლე 8 მეტრი. შვერილი, ხუთნახნაგა აფსიდის კედლები ძალზე სქელია და მხრებიდანაც საკმაოდ შეწეული. აკაურთის ორნამენტული მორთულობა, მეტადრე კი სამხრეთ კარის არქიტრავისა და ამყოლებისა, მიუხედავად იმისა, რომ 16-საუკუნოვან ჟამთა სრბოლას დაუდნია, უმაღლეს ხარისხზე მიგვანიშნებენ. სიციცხლის ხეებთან



აკანების უსახელო ეკლესია და მისი უიზოვითაი რელიეფი

ბოლნისის, აკანების, ვანათის, მანხუტისა და ნოფის საყდრებია. უზარმაზარი, ჩინებულად გათლილი ლოდების პერანგი იმდენად არქაული და მომწუსხველია, რომ ისტორიული სიძველისადმი კრძალვით აღგავსებს. აქ აწმყო ქედს იხრის წარსულთან.

ტაძარი სიგრძეშიც სოლიდურია ერთნაირი საყდრის პირობაზე — 15,5 მეტრი, სიგანე 10 მეტრია, ხოლო შიდა



რატევეანის „წმიდა გიორგი“



ქვევის ციხის ეკლესია



ბალა ქოქიაშვილი ავტორის ფოტოები

მდგარი ირმები, თითქოს ახლაც შევბლავიან სანუთროს. ტაძრის დასავლეთი მონაკვეთი არ ვიცი დაუდევრობის გამო, არ ვიცი საგანგებოდ, ისე არის აღდგენილი, რომ ძველ სიდიადესთან ვერ „ძოვს“. ეს მკვეთრი ხაზგასმა ეპოქათა სუნთქვისა, ეს მკვეთრი გამიჯვნა, თავისთავად იმას გვეუბნება თუ რანი ვიყავით და რანი ვართ.

აკაურთიდან სამხრეთ-დასავლეთით, ამჟამად დაუსახლებელი ტერიტორიის ბორცვზე, რომლის უძველესი სახელწოდება „აკანება“ დღემდეა შემორჩენილი, დგას VI საუკუნის კიდე ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლი — მინაშენიანი დარბაზული საყდარი. იგი ტრასიდან ადვილად შესამჩნევია. ტაძარს შესასვლელი მთავარი დარბაზის დასავლეთ კედელში ჰქონია, მაგრამ მას შემდეგ, რაც სამხრეთ მიწაში მორღვევია, ეკლესიაში ამ მხრიდან უფრო იოლია მოხვედრა.

აკაურთასთან შედარებით, აკანების პერანგი შიგნიდანაც და გარედანაც რამდენადმე მომცრო, ფაქიზად გათლილი ვარდისფერი კვადრებითაა შექმნილი. ფასადებიდან ქვითა დიდი ნაწილი ჩამოცვენილია, ინტერიერში კი შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. ვანათის ტაძრისა არ იყოს, მშენებლებს, თითქოს, აქაც დაკლებილი დიდი ლოდები დმცრე ქვებიც გამოუყენებიათ.

ყურადღებას იქცევს ეგვიპტურმა გამავალი კარის თავზე არსებული ღია ვარდისფერი არქიტრავი. მასზე საინტერესო რელიეფური კომპოზიციანია: განედლებული ბოლნუ-

რი ჯვრის ირგვლივ, რომელიც უძველესი დროიდან სამყაროს ჰარმონიის აღმნიშვნელი სიმბოლოა, წრიულად განლაგებულია სიციცხლის ხეები და ყურძნის მტევნები, რომელთაც სამოთხის ჩიტები კენკავენ. ეს ადრეუბასაუკუნეების ერთ-ერთი ბრწყინვალე რელიეფია ჩვენში.

საინტერესო სამკაულია შემორჩენილი აღმოსავლეთ სარკმლის ქუსლიანი თავსართის ფრაგმენტებიც.

აკანებიდან სამხრეთ-დასავლეთით, ზედ სამანქანო გზის ნაპირზე, აღმართულია ყველაზე ახლოს კარგად ნაცნობი ქვევის ციხე, რომელიც სამშვილდიდან ტაშირისა და ძორატრასიდან ადვილად შესამჩნევია. ტაძარს შესასვლელი მთავარი დარბაზის დასავლეთ კედელში ჰქონია, მაგრამ მას შემდეგ, რაც სამხრეთ მიწაში მორღვევია, ეკლესიაში ამ მხრიდან უფრო იოლია მოხვედრა.

„სომხურ გეოგრაფიაში“ მოხსენიებული „ქვეშაფორი“ სწორედ ქვევის ხევის ნიშნავს, რომლის ცენტრიც ეს ციხესიმაგრე იყო. IX საუკუნეში, როცა დმანისი ქალაქად იქცა, ქვევის ციხეს ფუნქცია დაუქვეითდა და გედის („გედის“) ხევის ცენტრი გახდა, ხოლო თავად ეს ხევი უფრო დიდ ადმინისტრაციულ-გეოგრაფიულ ერთეულში — დბანის ხევეში მოექცა.

XII საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებამდე ქვეში მსახურთუხუცეს ვარდან დადინს ეკუთვნოდა, მაგრამ შემდეგ, თამარ მეფის წინააღმდეგ გამოსვლის გამო, ქვემო ქართლის სხვა ციხესიმაგრეებთან ერთად, ჩამოერთვა. ამის შემდეგ მას ქვეშილი თორღე-ჯავახიშვილები განაგებდნენ კარგა ხანს.

ქვევის ციხე იმითაა ცნობილი, რომ სიმონ პირველთან დაპირისპირებული და ირანის მიერ ვითომდა ქართლის მეფედ დანიშნული დაუდ-ხანი, ნარიყალასთან ერთად, უმეტესად აქ იყო ხოლმე გამოკეტილი.

ქვევის ციხე რომ VI-VII საუკუნეებში არსებობდა, ამის უტყუარი საბუთი მისი ეკლესიაა. მართალია ეს მცირე საყდარი შემდგომ პერიოდშია აღდგენილი, მაგრამ ზოგიერთი დეტალი აშკარად ძველ დროზე მიგვანიშნებს.

...რესტავრატორებს, მართალია, სათანადოდ ვერ აღუდგენიათ სამხრეთის სარკმელი, მაგრამ მისთვის მაინც ძველი ადგილი მიუჩნიათ არქიტრავის თავზე.

ძალიან საინტერესოა თავად არქიტრავი. მის ფუნქციას ჩვეულებრივი ბალაგარი კი არ ასრულებს, არამედ ადრექრისტიანული ეპოქის ქვაჯვარი, რომლის თავსა და ბოლოში ბოლნური ჯვრებია. ასეთი სტელა, და ისიც კედელში ჩატანებული, სოფონის ეკლესიის ინტერიერშიც გვხვდება.

საინტერესოა არქიტრავის თავზე არსებული ბოლნური ჯვარი და სტილიზებული ფოთლები, ასევე კედლების დაბალ რეგისტრებში ჩატანებული ძველი, სამკაულიანი ქვები.

ადრეუბასაუკუნეების ეკლესია დგას ქვევის ციხის ძირშიც, რომელიც გვიან ხანებში ხელახლა აუწყიათ თავისივე ქვეში, მაგრამ ამის თაობაზე ჩვენს შემდგომ მოგზაურობაში ვისაუბროთ.

ბალა ქოქიაშვილი ავტორის ფოტოები

ქართველები 1812 წლის სამაგულო ომში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №16

ბაგრატის სიაში გამოტოვებულია ლეიბ-გვარდიის ულანთა პოლკის პორუჩიკი თავადი ერისთავი, რომლის გვარი არც სხვა წყაროებშია მითითებული. მის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება საკმაოდ ძუნწი ცნობები, რომლებიც მას ახასიათებს როგორც უშიშარ ოფიცერს. სამამულო ომში მას არაერთხელ დაუმსახურებია სარდლობის მაღალი შეფასება. იმ პირთა შორის, რომელთაც თავი გამოიჩინეს 1812 წლის 22 სექტემბერს სოფელ ჩერნიშკისთან ბრძოლაში, მოხსენიებულია თავადი ერისთავიც. ამ ბრძოლისათვის იგი დაუჯილდოვებია წმ. ანას III ხარისხის ორდენით. ქალაქ კრასნისთან 3-6 ნოემბერს გამართულ ბრძოლაში თავდადებული მოქმედებისთვის თავადი ერისთავი დაუჯილდოვდა წმ. ანას II ხარისხის ორდენითა და ოქროს იარაღით, მას რუსი ჯარების საზღვარგარეთულ ლაშქრობაშიც მიუღია მონაწილეობა და, გენერალ ნ. მურავიოვის მოწმობით, დაღუპულა ერთ-ერთ ბრძოლაში 1813 წელს.



ბაგრატ ბატონიშვილის სიაში მხოლოდ ერთი იოსელიანია შეტანილი, სინამდვილეში კი ომში ამ გვარის ორი ოფიცერი მონაწილეობდა. პირველი მათგანი — ზაქარია იოსელიანი იყო ზიდა ისტორიკოს პლატონ იოსელიანისა, რომელმაც დაწერა ნიგნი საქართველოს უკანასკნელი მეფის — გიორგი XII-ს ცხოვრების შესახებ. ზაქარია 1812 წელს პორუჩიკი ყოფილა. შემდეგში მას გენერალ-მაიორობისთვის მიუღწევია. იგი გარდაიცვალა 1865 წელს. მისი გმირობა სამაგალითო და მისაბაძი ყოფილა. განსაკუთრებით მას თავი გამოუჩენია ნაპოლეონთან ომში. ნ. მურავიოვი აღნიშნავს, რომ „ლეიბ-გვარდიის ულანთა პოლკის ოფიცერთა საზოგადოებაში პირველი პირები იყვნენ მარკოვი, ჟაკე, კრემჩენსკი, ჩერკასოვი, იოსელიანი, კოლჩევისკი და სხვ., რომელნიც განსაკუთრებული ვაჟკაცობით გამოირჩეოდნენ“.



„იოსელიანი, — წერს ნ. მურავიოვი, — წარმოშობით იმერელი, არაჩვეულებრივი სიმამლის, ძლიერი, უშიშარი, ღარიბი, უბრალო, თვითნებური. აქვს ხუთი თუ ექვსი შვილი. პოლკში ყვებოდნენ, რომ 1812 წლის კამპანიის დროს მას შეუმჩნევია, თუ როგორ შესულა 12 ფრანგი ერთ ბოსელში. იოსელიანს აუღია შუბი, წაუყვანა თან ერთი ულანი, მოლდაველი, გვარად კარპოვი, შევარდნილა იმ ბოსელში და ერთიანად გაუფლეთია ყველა. იოსელიანის გვარის მეორე

ოფიცერიც ლეიბ-გვარდიის ულანთა პოლკის პორუჩიკი ყოფილა. მასაც კრასნისთან ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა და დაჭრილა. ბაგრატის ყურადღების გარეშე დარჩენილა როტმისტრი ლაშქარიოვიც (ბიბილუნი), რომელსაც ბოროდინოს ველზე გამოუჩენი თავი: „ჩემს მოვალეობად მიმანია, — წერდა გენერალი კორფი ბარკლაი დე ტოლის, — დაგისახელოთ ამ შემთხვევაში ადიუტანტები და კაპიტანი შუბერტი, რომელთაც ხელი შემინყვეს კავალერიის აშლილი პოლკების შეჩერებაში და კვლავ წესრიგში მოყვანაში. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩემმა ადიუტანტმა იაკოვლევმა და იზიუმის გუსართა პოლკის როტმისტრმა ლაშქარიოვმა,

რომელმაც შეაგროვა ხსენებული პოლკის ესკადრონი და მარჯვედ დაარტყა მონინალმდევეს“. ამისთვის კორფმა იგი მთავრობის ჯილდოზე წარადგინა. მოკლე დახასიათებაში, რომელიც ამასთან დაკავშირებით დაწერა ლაშქარიოვსა და კიდევ ორ სხვა ველზე, ნათქვამია, „როდესაც პოლკი იარია, აღნიშნული ოფიცრები მის წესრიგში მოყვანას ცდილობდნენ, რასაც მაილნიეს კიდევ. განსაკუთრებით თავი ისახელა როტმისტრმა ლაშქარიოვმა, რომელმაც შეაგროვა ესკადრონი და შეუტია მტერს“. ბატონიშვილის სიაში არც ლეიბ-გვარდიის ეგერთა პოლკის პოდპორუჩიკი, ბოროდინოს ბრძოლაში გმირულად დაღუპული პეტრე გრუზინსკი შეუტანია. ომის მონა-

თანაპოლკელების შეუპოვარმა და გაბედულმა მოქმედებამ აიძულა მონინალმდევე, დაეთმო ხიდი მდინარე კოლოჩაზე.

ბაგრატს, ჩანს, არ სცოდნია, რომ ბოროდინოს ბრძოლაში მონაწილეობდა მოსკოვის დრაგუნთა პოლკის მაიორი მაჭავარიანი, რომელიც ზედიზედ ორჯერ დაჭრილა, პირველად — 26 აგვისტოს, ბოროდინოს ველზე, ხოლო მეორედ — 28 აგვისტოს.

ჩვენს ხელთ არსებული წყაროები სამამულო ომის მონაწილედ ასახელებენ იმერელი ბატონიშვილის გიორგის ძეს — ალექსანდრე ბაგრატიონს. 1811 წელს იგი დედის გაპყლია პეტერბურგში და ლეიბ-გვარდიის ულანთა პოლკში ჩარიცხულა კორნეტის წოდებით. 1812 წლის ომში თავი გამოუჩენია, რისთვისაც ბრინჯაოს მედლით დაუჯილდოვებიათ. იგი გარდაიცვალა 1862 წელს. პოლკი არაჩვეულებრივი გამბედაობით იბრძოდა. აქ მოკლეს ჩემი ნაცნობი პოდპორუჩიკი გრუზინსკი. იგი ძლიერ უყვარდათ პოლკში; მას იცნობდნენ, როგორც კარგ ოფიცერსა და კეთილ ამხანაგს“. გრუზინსკისა და მისი

უყვარდეთ რუსეთი, მუდამ ერთგულნი იყვნენ ხელმწიფისა და ქვეყნის“. ბაგრატის სია, როგორც უკვე აღინიშნა, ზოგ შემთხვევაში უფრო მაღალი რანგის პირებსაც არ იხსენიებს. ამ სიაში არ არიან გენერალ-მაიორები: სიმონ გიორგის ძე განგებლიშვილი, ანტონ სტეფანეს ძე შალიკაშვილი და ვლადიმერ მიხეილის ძე იაშვილი, რომელთა მონაწილეობა სამამულო ომში საგვებთ დადასტურებულია.

ბაგრატის ყურადღების გარეშე დარჩენილა შტაბს-კაპიტანი მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილი. იგი 1784 წლის 25 იანვარს დაბადებულა სიმბირსკის გუბერნატორის თავად პეტრე მელქისედეკის ძე ბარათაშვილის ოჯახში. მიხეილის პაპა მელქისედეკი — 1724 წელს ქრთლის მეფე ვახტანგ VI-ს გაპყლია რუსეთში. აქ იგი სამხედრო სამსახურში შესულა. ეს ასპარეზი მიხეილსაც აურჩევია. ომის დაწყებისთანავე იგი მოქმედ არმიაში იყო და არაერთხელ უსახელებია თავი. ბოროდინოს ბრძოლისათვის იგი ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დაუჯილდოვებიათ. საზღვარგარეთული ლაშქრობის (1813-1815 წ.წ.) დამთავრების შემდეგ მას სამხედრო სამსახურისათვის თავი დაუწეებია და სიმბირსკის (ამჟამად ულიანოვსკი) მახლობლად სოფელ ბარატოვკაში დასახლებულა.

1826 წლის მარტში მიხეილ ბარათაშვილი დაუპატიმრებიათ დეკაბრისტების საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ მამბილებელი საბუთების უქონლობის გამო მალე გაუთავისუფლებიათ. 1839 წლიდან იგი ოთხი წლის მანძილზე საქართველოში საზოგადოებრივ საქმეებს ეწეოდა. საქართველოში ყოფნისას მას ძველი მონეტების მდიდარი კოლექცია შეუგროვებია და დაუწერია ნიგნი „საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ფაქტები“. 1856 წელს მიხეილ ბარათაშვილი გარდაიცვალა.

დასასრული შემაგ მთავარი

ისტორიული მემკვიდრეობა №4

გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული მემკვიდრეობა»
მეექვსე ნომერი

ჟურნალი დღევანდელის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცელად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც «ისტორიული მემკვიდრეობის» ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიეცევათ მკითხველთა ყურადღებას, რადგან «ისტორიული მემკვიდრეობა» საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს. ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.

არასამთავრობო ორგანიზაცია — «ისტორიული მემკვიდრეობა» — გამოსცა ისტორიული ღოკუანტების კრებულითა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უნივერსალურად მოვლანავს ახეაა. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონსენსუსის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებსა და მათზე დაყრდნობით დასაბუთებულ სინამდვილას. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით განიპოვრების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიალ დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შექანა შეუძლიათ ნიგნის გალაჩეაში. დაგატავითი ინფორმაციისათვის დაგაკეთ: 38-41-97.

ინგლისელთა საპირფარეო სახლად გადაკეთება



ინგლისის ქალაქ სკარბოროში ზღვის პირას მდებარე საპირფარეო სახლად გადაკეთდა.

ვიქტორიანულ სტილში აგებული საპირფარეო სახლი 100 წლის მანძილზე ფუნქციონირებდა და გასული საუკუნის მიწურულს დაიკეტა. ეს ისტორიული საპირფარეოა. მეორე მსოფლიო ომის დროს მასში საბრძოლო მასალების მარაგს ინახავდნენ.

სუთიოდე წლის წინ ინგლისელმა წყვილმა ტრენისი ვუდჰუსმა და გრემ პეკმა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც ეს საპირფარეოა განთავსებული, იჯარით აიღო. მისი გადაკეთება ამ დროიდან დაიწყო. შიდა ნაწილი, ცხადა, მთლიანად შეიცვალა; საძირკველი თავიდან ჩაისხა; გამოიკვალა წყალგაყვანილობა; რამდენიმე კედელი დაინგრა; შეიცვალა იზოლაცია, სანტექნიკა, ელექტრო და ვენტილაციის სისტემები, კარ-ფანჯრები.

შედეგად საპირფარეო სახლი იქცა სახლად, სადაც ახლა თითო-თითო საძინებელი, სასადილო, სასტუმრო და სააბაზანო ოთახებია. პატარა სამზარეულოც მოთავსდა. იატაკში გათბობის სისტემა ჩამონტაჟებული. მთელი ეს სამუშაო წყვილმა თავად შეასრულა, სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. ამის ხარჯზე მათ 30 ათასი ფუნტი სტერლინგი დაზოგეს და რემონტი სულ 35 ათასი დაუჯდათ.

ყვითელი ბაკათი მოედანზე გაჩაღებული ფეხბურთელისთვის




სორვატიის საფეხბურთო კლუბ „მლადოსტის“ ქვეყნის ჩემპიონატზე მნიშვნელობით მიეჭეს დივიზიონში გუნდ „სორვატიის შევარდენთან“ ორთაბრძოლისას მოედანზე გარდაიცვალა.

გონებადაკარგულ ფეხბურთელს, რომელიც გაზონზე დაეცა, მსაჯმა ყვითელი ბაკათი უჩვენა. მატჩის 35-ე წუთზე 32 წლის მცველ გორან ტუნჩის ამგვარი ქცევა მან სიმულაციად მიიჩნია, სადამსჯელო ღონისძიების წარმატებით განხორციელების შემდეგ კი შენიშნა, რომ ფეხბურთელი ადგილიდან არ იძროდა და სამედიცინო დახმარებას საჭიროებდა.

მიუხედავად იმისა, რომ გორანის ჯანმრთელობის მდგომარეობა ეჭვქვეშ არსადგინდა, მომხდარის მიზეზი გულის შეტევა გახდა. ექიმები ტუნჩის დახმარებას უშედეგოდ ეცადნენ — ფეხბურთელი ჯერ კიდევ საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

იოგი, როგორც 65 წელი არ ჭაბუკი



ინდოელი სამხედრო ექიმები 82 წლის იოგის სხეულს იმისთვის იკვლევდნენ, რომ შემდეგ ამ კვლევის შედეგების საფუძველზე უნივერსალური ჯარისკაცები მოამზადონ. საქმე ისაა, რომ ინდოეთის მცხოვრები პრაქტულად ჯანი 65 წელი არ ჭაბუკი და არ სვამს. უფრო სწორად, თავად ასე აცხადებს, ექიმებს ამ განცხადების გადამონების საშუალება არ აქვთ და დიდად არც აინტერესებთ.

მათთვის მთავარია, გაარკვიონ, რამდენად გამძლეა ადამიანის ორგანიზმი ექსტრემალური სიტუაციების მიმართ.

22 აპრილის შემდეგ იოგი კერძო კლინიკის თანამშრომელთა 24-საათიანი დაკვირვების ქვეშ იმყოფება. მედიკები ადასტურებენ, რომ ამ პერიოდის მანძილზე მას არაფერი უჭამია, წყალი არ დაუღებია და არც ერთი ბუნებრივი მოთხოვნილება არ გასჩენია. პაციენტი წონას არ კარგავს, თავს მშვენივრად გრძნობს, პალატაში დადის და ადამიანებს ეკონტაქტება.

სვავთა შორის, ერთი ამდაგვარი კვლევა იოგს უკვე ჩაუტარეს 2003 წელს, მაგრამ მისი ორგანიზმის საიდუმლო ამოუხსნელი დარჩა.

აშშ-ის საიდუმლო ომი

„საიდუმლო ომი“, რომელმაც გასული საუკუნის მეორე ნახევარში მთელი მსოფლიო შთანთქა, დღემდე ბობოქრობს და მისი ზოგიერთი გამოძახილი მსოფლიო წესრიგის ფორმირების მთავარ საშუალებებად დღემდე რჩება. ეფექტური ეკონომიკური განვითარებისთვის ხელისშემშლელი „იზოლაციის“ პოლიტიკა და სუვერენული ქვეყნების ფინანსურ კაბალაში ჩათრევილი მათზე დასავლური გავლენის თავსმობევა აშშ-ისა და მისი ევროპელი მოკავშირეების მიერ ამ ქვეყნების გეოპოლიტიკური მოთამაშების სიიდან გარიცხვის მცდელობაა. საუბარი აღარაა ერების თვითმყოფადობაზე, დამოუკიდებლობასა და ნაციონალურ ღირებულებებზე.



პარტნიორული ურთიერთობები ყოველთვის ურთიერთნდობას, პატივისცემასა და თანასწორუფლებიანობას ეფუძნება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი საერთაშორისო ურთიერთობების ამერიკული გაგებისგან ძალიან შორსაა. ამის დასტურია უკანასკნელი ათი წლის მრავალი ნათელი მაგალითი.

აშშ-ის სპეცსამსახურების არსენალში ამ ქვეყნების დამანგრეველი მიზნების მისაღწევად უამრავ საშუალებას ფლობენ. ერთ-ერთი ასეთი საშუალება ქვეყნის ტერიტორიაზე და მის მეზობელ ქვეყნებში მოქმედი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გამოყენებაა, რისი ნათელი მაგალითიც ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოა (USAID).

მას, ისევე როგორც თავად ამერიკას, ცხადია, მხოლოდ კეთილშობილური მიზნები ამოძრავებს და 1961 წელს დაარსების დღიდან ამ დრომდე მსოფლიოს საჭიროებისამებრ უზრუნველყოფს ჰუმანიტარული დახმარებით. მაგრამ ბოლო პერიოდში USAID-ის ცსს-სთან კავშირის დაფარვა შეუძლებელი გახდა. უფრო კონკრეტულად, ამავე ორგანიზაციის მაღალი თანამდებობის პირის მტკიცებით, ცსს USAID-ს მათი ოპერაციების ხელისშემწყობი მესამე მხარის წარმომადგენლებისთვის ფულისა და კონტრაქტების მისაწოდებლად იყენებდა. ცსს-ს კონტრაქტები ამ დროს USAID-ის სახელით ფორმდებოდა, თავად ცსს კი განზე რჩებოდა. შარშან USAID-ში შეფარებული ცსს-ს ორი აგენტი აფრიკის ერთ-ერთ ამ ქვეყანაში აღმოჩნდა, რომელშიც აღნიშნული სააგენტო მრავალმილიონიან ინვესტიციას ახორციელებდა.

მაგრამ ეს პირველი შემთხვევა არაა და არც ამ ორი ორგანიზაციის კავშირია ახლად ჩამოყალიბებული. 1974 წელს აშშ-ის კონგრესმა დასახლოებული სახელმწიფოების განყოფილება, რომელსაც ცსს ლათინურ ამერიკაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში მილიონზე მეტი პოლიტიკური და დაფინანსებისთვის იყენებდა.

წელს აშშ-ის კონგრესმა დასახლოებული სახელმწიფოების განყოფილება, რომელსაც ცსს ლათინურ ამერიკაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში მილიონზე მეტი პოლიტიკური და დაფინანსებისთვის იყენებდა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების ბიურო (OPS) 1957 წელს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა სპეციალურად უცხო ქვეყნებში პოლიტიკის შექმნისა და მომზადებისთვის შექმნა. ცსს-ს დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ამ ბიუროს საქმიანობა იმ მრავალმილიონიანი თანხით ფინანსდებოდა, რომელიც ყოველწლიურად გამოიყოფოდა USAID-ის საჭიროებებისთვის. OPS-ის ოპერაციების კონტროლირებასაც ჯაშუშების უწყება ახორციელებდა.

USAID-ის საველე წარმომადგენლობები 100-ზე მეტ განვითარებად ქვეყანაში ადგილობრივ რელიგიურ, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოსახლეობის ჯგუფებთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების საფუძველზე მას კავშირი აქვს აშშ-ის 3500-ზე მეტ საწარმოსა და 300-მდე კერძო ორგანიზაციასთან.

ვიეტნამის ომის დროს USAID-ი ცსს-სთან ერთად ხელმძღვანელობდა „მატერიალური დახმარების“ განაწილების საქმეს ოპერაცია „ფენიქსის“ ფარგლებში. ამ ოპერაციისას ათასობით ვიეტნამელი მოკლეს.

2002 წლის ივნისში USAID-მა ვენესუელაში შექმნა გარდაამავალი პერიოდის ხელშემწყობი საინიციატივო ბიურო, რომლის საშუალებითაც ანტიჩავესურ ოპოზიციას მილიონობით დოლარი გადაურიცხა.

დეტალურად გაშიფრული ორიათასამდე საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც ვენესუელაში USAID-ის საქმიანობას ასახავს, აბსოლუტურად ნათელს უხატავს ქმნის ოპოზიციური და დაფინანსების მხარდაჭერისა და დაფინანსების სქემებზე. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების გასაძლიერებლად იქმნება და ხორციელდება პროგრამები, ვენესუელის ანტისახელისუფლო მოძრაობის კონსოლიდაციის მიზნით მუშავდება მათი პოლიტიკური კამპანიების სცენარებიც.

ბას ასახავს, აბსოლუტურად ნათელს უხატავს ქმნის ოპოზიციური და დაფინანსების სქემებზე. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების გასაძლიერებლად იქმნება და ხორციელდება პროგრამები, ვენესუელის ანტისახელისუფლო მოძრაობის კონსოლიდაციის მიზნით მუშავდება მათი პოლიტიკური კამპანიების სცენარებიც.

პაიტიზმ USAID-ი 2004 წელს პრეზიდენტ ჟან ბერტრან არისტიდის საინაგონო სახელმწიფო გადატრიალების მოწინააღმდეგე ორგანიზაციების დაფინანსებაში დაადანაშაულეს.

შარშან ბოლივიის ორი პროვინციიდან — ჩაპარედან და ელ ალიტოდან — საშინაო საქმეებში ჩარევის ბრალდებით USAID-ის წარმომადგენლობები გააძევეს. იმავე წლის სექტემბერში ქვეყნის პრეზიდენტმა ევო მორალესმა ოფიციალურად განაცხადა ურთიერთობა ზემოხსენებულ ორგანიზაციასთან იმის გამო, რომ ის მრავალმილიონიანი დაფინანსებით უზრუნველყოფდა ქვეყნის გახლეჩისთვის მომუშავე სეპარატისტულ დაჯგუფებებს.

2005 წელს განხეთქილების მზადების ბრალდებით USAID-ის წარმომადგენლები ერიტრეიადან გააძევეს. უკანასკნელი სუთი წლის მანძილზე თავის ქვეყნებში USAID-ის საქმიანობის აღკვეთისთვის იზრუნეს ეთიოპიამ და რუსეთმა.

2008 წელს მინსკა და ვაშინგტონის შორის გაჩაღებული დიპლომატიურ კონფლიქტში ბელორუსის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ პერსონა ნონ გრატად გამოცხადებულთა შორის აღმოჩნდა USAID-ის ბელორუსის ქვეგანყოფილების ხელმძღვანელი ჩარლზ პოუველი. ორგანიზაციის „სპეციფიკური“ მოღვაწეობის დამადასტურებელი ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ ორმხრივი დიპლო-

მატიური ურთიერთობების კრიზისი აბსოლუტურად არაფერ შუაშია.


ამერიკული მხარე ესოდენ ღირებული თანამშრომლის უშუალოდ ბელორუსის ტერიტორიაზე მუშაობის შესაძლებლობის დაკარგვას სულაც არ დაუბნევია. ის უპრობლემოდ გაამწესეს უკრაინაში და ახლა კივესი აშშ-ის საელჩოს პოზიციიდან განაგრძობს ბელორუსში მიმდინარე პროექტების ხელმძღვანელობას.

ამრიგად, თუ ადრე ცსს USAID-ს მხოლოდ აბრად იყენებდა და სააგენტოს თანამშრომლებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რა საქმიანობას ფარავდნენ, ახლა ეს სააგენტო აბსოლუტურად ღიადაა ჩართული იმ სახელმწიფოების საინაგონო საქმეებში, რომლებსაც აშშ საკუთარ მტრებად მიიჩნევს. სტატუსის ამგვარი განახლება კი ძირითადად ცვლის ჰუმანიტარული დახმარების განვითარების პირვანდელ ფუნქციას და USAID-ს ჯაშუშების უწყებად აქცევს.

ცხადია, USAID-ი სულაც არაა ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც ვაშინგტონის თავისი დამანგრეველი მიზნების განხორციელებისთვის იყენებს და ამერიკული სპეცსამსახურების მუშაობის მეთოდებიც ამით არ ამოიწურება.

აშშ-ის ხელისუფლება „საიდუმლო ომს“ მანამდე განაგრძობს, სანამ მხოლოდ ვაშინგტონისთვის მომგებიან ურთიერთობებს არ მიაღწევს, მაგრამ ავიწყდება, რომ მსოფლიო მასშტაბით ტენდენციები შეიცვალა. ფინანსურმა კრიზისმა, რომლის ეპიცენტრიც სწორედ აშშ აღმოჩნდა, გლობალიზაციისა და მსოფლიო ბაზრობის ამერიკული პროექტი ეჭვქვეშ დააყენა. ყველაფერი ეჭვქვეშაა: ამერიკის ლიდერობა, ამერიკის გადახდისუნარიანობა და იდეების მთელი კომპლექსიც, რომელიც საფუძვლად უდევს ფინანსური კაპიტალიზმისა და ნაციონალური ინტერესების საომარი მოქმედებებით მიღწევის ამერიკულ მოდელს.

„მშვიდობა ამერიკულად“ არ გამოვიდა, პროექტ „Pax Americana“-ს დასასრული კი ყველა ქვეყანას აიძულედა, მსოფლიოში საკუთარ მდგომარეობასა და ადგილს გადახედოს, თავისი იდენტურობა გადაამოწმოს და ინტერესების ახალი სფეროები გააანალიზოს.



ევროკავშირმა სააკაშვილი საბოლოოდ აღიარა აბრეშოვად

2008 წლის აგვისტოში საქართველოს პრეზიდენტის მიერ ორგანიზებული საომარი ავანტიურის სამარცხვინო ჩავარდნის შემდეგ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა რუსეთთან საინფორმაციო ფრონტზე „საკონტროლო ტყვია“ მიიღო. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტის გარემოებათა შემსწავლელი მისიის ხელმძღვანელმა ჰაიდი ტალიავინმა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ დაიწყო ეს ომი, ყველა კითხვის ნიშანი წაშალა და კატეგორიულად განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთში სამხედრო მოქმედებები რუსეთმა კი არა, სწორედ საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო.



როგორც ცნობილია, სააკაშვილსა და მის მხარეს მყოფ მსოფლიო მედიასტრუქტურებს პირველ ეტაპზე ევროპის დეზინფორმირება და საზოგადოებრივი აზრის მცდარი მიმართულებით წარმართვა გამოსდევდა — საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყებაში დამნაშავედ მოსკოვი ცხადდებოდა. მაგრამ ევროსაბჭოს ოფიციალური წარმომადგენლის ამ უკანასკნელი სახალხო განცხადებების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

მძღვანელმა გარდა ამისა, მან ქართული მხარის მიერ განხორციელებულ აგრესიას „მომწიფებული დაძაბვის კულმინაციის იზოლირებული აქტი“ უწოდა. **საბოლოოდ აღიარა** სააკაშვილის რეჟიმის მფარველთა ხრიკებს ბოლო მოუღო, საქართველო აგრესიის მსხვერპლის როლში ვეღარ წარმოჩინდება და მსხვერპლის პოზიციიდან მოსკოვის ქმედებების განსჯასა და დასჯას ვეღარ მოითხოვს.

მიმართებაში, როდესაც განაცხადა, რომ რუსეთმა ასევე დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები. „ტერიტორიული მთლიანობის სფეროში საერთაშორისო ნორმების მიხედვით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ალიარების ნამდვილ აქტად ვერ ჩაითვლება“, — განაცხადა სტრასბურგელმა ჩინოვნიკმა. ამასთანავე, მას თავი არ შეუწუხებია იმის დაკონკრეტებით, თუ რით განსხვავდება აღნიშნული საკითხი, ანუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება კოსოვოს მხარის სუვერენიტეტის ალიარებისგან, რაც ევროკავშირის წევრმა მთელმა რიგმა ქვეყნებმა გააკეთეს. ცხადია, ამგვარი ანგაჟირება და პოლიტიკურად მოტივირებული არათანმიმდევრულობა ევროპული სტრუქტურების მხრიდან სააკაშვილის რეჟიმს რევანშისტურ დამოკიდებულებას უმძაფრებს და ახალი პროვოკაციებისთვის განაწყობს.

რეგიონში მდგომარეობის საბოლოო დარეგულირებაზე ჯერ ვერაფერი საუბრობს. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსული დელეგაციის წევრებმა საქართველოს სამხედრო პოტენციალის მნიშვნელოვან გაძლიერებაზე გაამახვილეს ყურადღება.

მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობა არასრული ორი წლის მანძილზე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში უკვე მეხუთედ განიხილეს. პირველად, 2008 წლის ოქტომბერში ამ განხილვას სამი დღე დაეთმო და მაშინ ევროსაბჭომ რუსეთს სთხოვა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე უარი ეთქვა. 2009 წლის იანვარში, აპრილსა და ოქტომბერში ის კვლავ დაუბრუნდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თემას.

newsland.ru

უილთონის ურთიერთდახმარების ფონდი



პარიზელმა ახალგაზრდობამ უბილეთო მგზავრობასთან დაკავშირებით ურთიერთდახმარების ფონდი შექმნეს. ორგანიზაციაში გაერთიანებული 30 ახალგაზრდა ყოველთვიურად დებს 7 ევროს. მოგროვილი თანხა უბილეთო მგზავრობისთვის დაჯარიმებულების ჯარიმების გადახდას ხმარდება.

პარიზის მეტროში მგზავრობის ღირებულება 1,6 ევროდან იწყება, ჯარიმის თანხა კი 72 ევროს არ აღემატება. ურთიერთდახმარების ფონდის იდეა 22 წლის ფრედერიკს ეკუთვნის. ახალგაზრდების გამოცდილების მიხედვით, იმისათვის, რომ ჯარიმის თანხა ნაკლები იყოს, ზოგიერთ სადგურს თავი უნდა აარიდოს. როგორც ორგანიზაციის ერთ-ერთმა წევრმა ჟურნალისტებს უთხრა, მათი მთავარი მიზანი პირადი სახსრების დაზოგვა კი არა, პოლიტიკური ბრძოლაა. ახალგაზრდებს სურთ, ამ მეთოდით პარიზში უფასო საზოგადოებრივი ტრანსპორტის დამკვიდრებას მიაღწიონ.

ლიჯაის სივანე მსახიობის სახლის დაწესებულება



პოლივუდში დიდების ხეივანში მსახიობ ჯულია ლუის-დრეიფუსის ვარსკვლავზე სახელის ამოტვიფრისას ორი შეცდომა დაშვებული, რაც მუშაობის პროცესში ვერაფერი შენიშნა, რადგან სახელის „სწორი“ და „არასწორი“ დამწერლობა ზუსტად ერთნაირად იკითხება და გამოითქმება. ამის გამო შეცდომა თავად „ემის“ მფლობელმა აღმოაჩინა საკუთარი სახელობის ვარსკვლავის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე და განაცხადა, რომ ეს ფაქტი „მოუზინესის იდეალური მეტაფორაა, როდესაც თვლი, რომ უკვე ყველაფერს მიაღწიე, მაშინვე გამსხვრევენ“. სახელობითი ვარსკვლავების დამონტაჟების პოლივუდური კომიტეტი ახლა გამწვანებული იხდის ზედმეტს და პირობას დებს, რომ ვარსკვლავი უახლოეს მომავალში შეიცვლება ჩასწორებული ვერსიით, ძველი კი თავად ვარსკვლავს გადაეცემა სამახსოვრო სუვენირად.

გერმანელმა საკუთარი კატა შეიტყო სოლად



გერმანიის მოქალაქე, ფოსტის თანამშრომელი უვე მიტცმერლიხის თავის მიმდევარად დაავადებულ კატა სესილიაზე დაქორწინდა. საკუთარი ქმედების ახსნისას საქმრომ განაცხადა, რომ არ სურს მისი საყვარელი შინაური ცხოველი გაუთხოვარი მოკვდეს. სამწუხაროდ, გერმანიაში ცხოველებზე დაქორწინება ჯერჯერობით აკრძალულია, ამიტომ საქორწინო ცერემონია არაოფიციალურად გაიმართა. გარდა ამისა, უცნობია, როგორ განაცხადა თანხმობა ქორწინებაზე საპატარძლო კატამ. იმისათვის, რომ კატა და მისი პატრონი დაქორწინებული იყვნენ, მიტცმერლიხმა გერმანელი მსახიობი დაიქორწინა. ცერემონიის შემდეგ ბედნიერმა სიძემ აცრემლებულმა განაცხადა: „ჩვენ ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან, ასეთ ურთიერთდახმარებას ადამიანთა წყვილებს შორისაც ნაკლებად შეხვდებით“.

ამერიკელები საბოლოოდ უარს აბრუნებენ

ვაშინგტონი — მაღალი გადასახადების ფონზე, მომატებული გალიზიანებისა და ბანკებთან დაკავშირებული პრობლემების ზრდის გამო საზღვარგარეთ მცხოვრებ ამერიკელთა არც ისე იდე, მაგრამ მუდმივად მზარდ რაოდენობას საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე უარს ათქმევენ.

„ფედერალური რეგისტრი“, სახელისუფლო სტრუქტურა, რომელიც ამგვარ გადაწყვეტილებებზე ოფიციალურ ცნობებს აქვეყნებს, იტყობინება, რომ მხოლოდ 2009 წლის ბოლო კვარტალში ამერიკის მოქალაქეობაზე 502-მა ადამიანმა განაცხადა უარი. სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, უცხოეთში მცხოვრებ ამერიკულ დიასპორას 5,2 მილიონი ადამიანი წარმოადგენს და 502, ცხადია, მისი უმცირესი ნაწილია, მაგრამ დროის მოცემულ მონაკვეთში ეს უამრავი წლის მანძილზე უდიდესი მაჩვენებელია. ის ორჯერ აღემატება მთელი 2008 წლის მაჩვენებელს და ტენდენცია ამკარად შემამოფოტებელია. 2008 წელს სულ 235-მა ამერიკელმა განაცხადა უარი საკუთარ ქვეყანაზე, 2009 წელს კი მათ რაოდენობა 743-ს გაუტოლდა. საკონსულოები მოქალაქეობაზე უარის თქმის ოფიცია-

ლურ გაფორმებაზე ლოდინის დროს ზრდის. მოქალაქეობაზე უარის თქმის უმთავრესი მოტივი ეკონომიკურია და საგადასახადო თუ საბანკო საკითხებს უკავშირდება. ემიგრანტების დამცველები ამბობენ, რომ ამერიკის მოქალაქეებისთვის უცხოეთში ცხოვრება და მუშაობა დღითიდღე რთულდება, ამერიკული კომპანიები კი უცხოეთში ადგილობრივ კონკურენციას ვეღარ უწევს.

უცხოეთში მცხოვრები ამერიკელები, დიდი ხანია, ჩივიან, რომ მათი სამშობლო მსოფლიოში ერთადერთი განვითარებული ქვეყანაა, რომელიც საკუთარი მოქალაქეების შემოცანაზე იმ შემთხვევაშიც ბეგრავს, თუ ისინი დროებით სცხოვრებულ ქვეყანაში ყველა გადასახადს იხდიან. უამრავი დოკუმენტის შევსება და ორმაგი დაბეგრვა მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნების ემიგრანტებს ამის აუცილებლობა არ აქვთ, მათ უსამართლოდ



განცდას უქმნის და შემოსავლებს უცემტყვრებს. საბანკო საქმიანობის მარეგულირებელმა პატრიოტულმა აქტმა, რომელიც იმისთვის შეიქმნა, რომ ფული ტერორისტული დაჯგუფებების ხელში არ მოხვდეს, მნიშვნელოვნად გაუთუღა ცხოვრება იმ ამერიკელებს, რომელთაც ქვეყანაში ან მის ფარგლებს გარეთ საბანკო ანგარიშები აქვთ. აშშ-ის მრავალმა ბანკმა უცხოეთში მცხოვრებ ამერიკელებს ანგარიშები მხოლოდ იმის გამო დაუხურა, რომ ამ ანგარიშების მეპატრონეთა ამერიკული მისამართების დადგენა გაუძნელდა. პატრიოტული აქტის მსხვერპლი ამერიკელები უდიდესი გულსიტკვივით აღნიშნა-

ვენ, რომ ქვეყანამ, სადაც დაიბადნენ, კეიზარდნენ, ათწლეულების მანძილზე იხდიდნენ გადასახადებს, მონაწილეობდნენ ყველა არჩევნებში და პატიოსნად მსახურობდნენ, ისინი ტერორისტების, იარაღით, ნარკოტიკებითა და ადამიანებით მოვაჭრეების კატეგორიაში გააქმნეს.

ემიგრანტ ამერიკელებს საბანკო მომსახურებაზე საკუთარ ქვეყანაში უარს ეუბნებიან, სულ უფრო ხშირად ეუბნებიან უარს მასპინძელი ქვეყნებიც. ისინი შემამოფოტებელი ინტენსივობით მოითხოვენ ამერიკისგან ამ საგადასახადო კაბალისა და საბანკო დაბლოკვის გაუქმებას, მაგრამ მოთხოვნა მოთხოვნად რჩება, მიზნის მიღწევა შეუძლებელია, მოქალაქეობაზე უარის თქმა კი — გაცილებით მარტივი. და როდესაც სხვა გამოსავალი აღარ რჩება, ამერიკელები ამ ურთულეს გადაწყვეტილებას იღებენ. ექსპერტები თვლიან, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და ციფრები, რომლებიც უკვე სახეზეა, აისბერგის წვერიანია.

„The New York Times“

ყველაზე უხნაური მუზეუმები

ამ მუზეუმებში ნამდვილად ვერ მოიხევენ ისინი დამთვალიერებლებს თავიანთი უჩვეულობითა და ეპატაჟით ატყვევებენ.




ბანანების სართავორისო კლუბი და მუზეუმი (პასპარია, კალიფორნია)

კენ ბანისტერის დაარსებული ბანანების მუზეუმი 38 წლისაა. ახლახან კი ხელისუფლებამ კენს ბიზნესის დახურვა სთხოვა, რათა იმ ადგილას ადგილობრივი ისტორიკოსის — ჯონ სვიშერის არტეფაქტთა მუზეუმი გაიხსნას. საბედნიეროდ, ბანისტერმა თავისი მუზეუმისთვის სხვა ადგილი გამოიხსნა პალმ სპრინგსში.




სიკვდილის მუზეუმი (ჰოლივუდი)

სიკვდილის მუზეუმი, უკვე 15 წელია, არსებობს. აქ გილიოტინაზე აყვანილი ანრი ლანდრიუს („ლურჯნერას“ სახელით ცნობილი მანიაკი) მოკვებით თავსაც ნახავთ და „სამოთხის კარიბჭის“ კულტის წევრთა სანოლუმბა და სამოსაც. ამ კულტის წევრებმა მასობრივი თვითმკვლელობა მოაწყეს.



მიუტარის მუზეუმი (ფილადელფია)


მუზეუმი ჯეფერსონის სამედიცინო კოლეჯის ქირურგიის პროფესორმა დააარსა. პროფესორსონალებსა და ანატომიის მოყვარულებს აქ უამრავი საინტერესო ექსპონატი ელით. ერთ-ერთი მათგანი თვალის სნეულებათა ამსახველი სტენდია, რომელიც მუზეუმმა 1882 წელს შეიძინა.



ფისანცელის მუზეუმი (მანილა)

2001 წელს იმელდა მარკოსმა მშობლიურ მანილაში ფისანცელის მუზეუმი გახსნა. ახლა მის კოლექციაში 800 წყვილია, იმ ცისფერი ესპანური ჩათვლით, რომლებიც ფეხზე ემოსა, როცა 1989 წელს ქმართან ერთად (ფილიპინების პრეზიდენტი ფერდინანდ მარკოსი 1986 წელს დაამხეს) პრეზიდენტის სასახლიდან გაიქცა.

მომოფუკო ანდოს მუზეუმი (ოსაკა, იაპონია)
ეს მუზეუმი ჩინური ატრის გამომგონებლის, მომოფუკო ანდოს საპატივცემულოდ შეიქმნა. ნატრიუმის გლუტამინატის მოყვარულთა და ლარიბ სტუდენტთა საყვარელი ადგილია. აქ განთავსებულ მალაზიაში ატრის მომზადება სტუმრებსაც შეუძლიათ.



გოგ რიდელის ტელეფონების მუზეუმი (პავინა, მინესოტა)

ბობ რიდელი ამჟამში ყველაზე პატარა სატელეფონო კომპანიისა და ტელეფონების უდიდესი მუზეუმის მფლობელი და ერთადერთი მუშაკია. საკომუნიკაციო კვანძები, დისკები, ძველისძველი ტელეფონები — ყველაფერი აქაა თავმოყრილი. ზოგიერთი ტელეფონის გამოსაყენებლად ინსტრუქციასაც კი უნდა გაეცნოთ.




ატომური ტესტირების მუზეუმი (ლას-ვეგასი)

ლას-ვეგასის სახელგანთქმული პრომენადის მახლობლად მდებარე ეს მუზეუმი ჰეიგერის რადიოაქტიური ხელსაწყოების, გაჯეტებისა და მრიცხველების ნამდვილი საუნჯეა.



ლეილას თმის მუზეუმი (ინდაჰანდესი, მონტანა შტატი)

ლეილას თმის მუზეუმში სულ რაღაც 5 დოლარად თმისგან შექმნილ ნამდვილ შედევერებს იხილავთ, რომელთაგან ზოგიერთი 1800 წლითაც თარიღდება.



ამო-ს სართავორისო მუზეუმი და კვლავითი ცენტრი (როზუალი, ნიუ-მექსიკო)

ვისაც უცხო პლანეტელების ხილვა სურს, შეუძლია ამო-ს საერთაშორისო მუზეუმის ესტუმროს როზუალში, სადაც დამთვალიერებელთა ნაკადი თითქმის არასდროს წყდება.



ჯეიმს ბონდის მუზეუმი (კანსიკი, კუმბრია, დიდი ბრიტანეთი)

2009 წელს ჯეიმს ბონდის თავგანისცემელმა სტომატოლოგმა პიტერ ნელსონმა აგენტ 007-ის სახელობის მუზეუმი დააარსა. ნელსონის კოლექციის მარგალიტს ბონდის რარიტეტული ავტომანქანები წარმოადგენს.

ჰოლივუდის პარსკვლავთა ყველაზე სულელური გამონათქვამები

ცნობილია, რომ ჰოლივუდის ზოგიერთი ვარსკვლავი დიდი ინტელექტითა და გონიერებით არ გამოირჩევა. არადა, ხშირად უნვეთ სხვადასხვა თემაზე საუბარი. გთავაზობთ ვარსკვლავთა ყველაზე სულელურ გამონათქვამებს ბრიტანული ტაბლოიდის „სან“-ის მიხედვით.

კრისტინა აგილერა: „წელს სად იმართება კანის ფესტივალი?“
ბრიტნი სპირსი: „არასოდეს მნდომებია იაპონიაში ჩასვლა. უბრალოდ, იმიტომ, რომ ვერ ვიტან თევზს. მათთან, აფრიკაში, კი ის ძალზე პოპულარულია.“
გრეგ ნორმანი: „ჩემი მშობლებისგან დიდად ვარ დავალებული, განსაკუთრე-

ბით კი — მამისა და დედისგან...“
მერაია ქერი: „როცა ტელევიზორში საბრალო მშვიერ ბავშვებს ვუყურებ, ცრემლებს ვერ ვიკავებ. მეც მინდა ასეთი გამხდარი ვიყო...“
ლინდა ევანგელისტა: „დიეტას არ ვიცავ. უბრალოდ, იმდენს არ ვჭამ, რამდენიც მინდა.“
ბრუკ შილდსი: „მონევა



კრისტინა აგილერა



მერაია ქერი

კლავს. ხოლო, თუ მკვდარი ხარ, შენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან დღეებს კარგავ.“
არნოლდ შვარცენეგერი: „დარწმუნებული ვარ, რომ ჰომოსექსუალური ქორწინე-


ბა მხოლოდ მამაკაცსა და ქალს შორის უნდა იყოს.“
რობერტ კელი: „რაღაც მომენტში ამერიკელი ბინ ლადენი ხდები. ბინ ლადენი ერთადერთია, ვისაც ჩემი ესმის.“

ყველაზე ხნობილი განსჯელები

№10 ჰინანტ ჰინანტი — THE CHIN (1928-2005)

ჯიგანტი 1928 წელს დაიბადა ნიუ იორკში. 17 წლისა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი გახდა. 25 წლისა პირველად დააპატიმრეს. მისი, როგორც ჯენოვეზეს ოჯახის წევრის, პირველი მნიშვნელოვანი საქმე ფრენკ კოსტელოს მკვლელობის მცდელობა იყო. შემდეგ იგი ნათლიმამა გახდა, 80-იანი წლების დასაწყისში კი — კონსოლიერე (მრჩეველი). როცა მაფის ბოსი ტონი სალერნო გაასამართლეს, ჯიგანტი მისი ადგილი დაიკავა.

მას შემდეგ, რაც 60-იანი წლების ბოლოს ჯიგანტი თავი მოიგო, რითაც ციხეში მოხვედრას გადაურჩა, ხშირად იქცეოდა ისე, რომ გარშემომყოფებს არანორმალური ჰგონებოდათ; მაგალითად, ნიუ იორკის ქუჩებში საცურაო კოსტიუმით ან პიუჟამათი დადიოდა. ამის გამო კიდევ ორი მეტსახელი შეარქვეს: „უცნაური კაცი“ და „პიუჟამების მეფე“. მხოლოდ 2003 წელს, როცა რეკეტისთვის გაასამართლეს, აღიარა, რომ ფსიქიკურად სავსებით ჯანმრთელი იყო. 2005 წელს იგი გულის შეტევით ციხეში გარდაიცვალა.



№9 ალბერტ ანასტასია (1903-1957)

დაიბადა 1903 წელს იტალიაში და ჯერ კიდევ ბავშვობაში ამერიკაში გადასახლდა.

18 თვე სინგ-სინგის ციხეში იჯდა დოკუმები მტვირთავის მოკვლის გამო. ალბერტ ანასტასიამ (მეტსახელი „ლორდი ჯალათი“ და „შეშლილი მექედე“) სახელი მრავალრიცხოვანი მკვლელობებით გაითქვა, რის შემდეგაც იგი ჯო მასერიას ბანდამ დაიქირავა. „შეშლილი მექედე“ ძალღმობით ერთგული იყო „ილზიანი“ ჩარლი ლუჩანოსი, ამიტომ



მაც უპრობლემოდ „გაყიდა“ მასერიას და მოაკვლევინა. 1944 წელს ის მკვლელთა ჯგუფის ლიდერი გახდა. ბანდამ 700 კაცი იმსხვერპლა. 50-იან წლებში „ჯალათი“ ლუჩანოს ოჯახის ლიდერი გახდა. 1957 წელს იგი კარლო გამბინოს ბრძანებით მოკლეს.



№8 ჯოზეფ ბონანო — „ჯოუი ბანანას“ (1905-2002)

1905 წელს დაიბადა, იზრდებოდა სიცილიაში, 15 წლისა დაობდა. მუსოლინის ფაშისტური რეჟიმის დროს იტალია დატოვა და კუბის გავლით ამერიკაში გადასახლდა. მალე „ჯოუი ბანანას“ მეტსახელი მიიღო და მარანზანოს ოჯახში მოხვდა.

სანამ ლუჩანო მოკლავდა, მარანზანომ შექმნა „კომისია“, რომელიც მაფის ოჯახებს მართავდა მის სამშობლოში — იტალიაში.

ბონანომ კაპიტალი დაგროვა ყველის ფაბრიკების მართვითა და დაკრძალვის ბიზნესით. რაიმე სერიოზული სამართალდარღვევის ბრალდებით იგი არასდროს დაუკავებიათ.


№7 ჰოლანდიელი შულცი (1902-1935)

არტურ ფლეგენჰეიმერი, შემდგომში ჰოლანდიელი შულცის სახელით ცნობილი განგსტერი 1902 წელს დაიბადა ბრონქსში. 17 წლისა ქურდობისთვის ციხეში მოხვდა. მალე მიხვდა, რომ გამდიდრების საუკეთესო საშუალება ბუტლეგერობა იყო მშრალი კანონის პირობებში. დანაშაულებრივი სინდიკატის წევრობა სურდა და ამის გამო მტრად მოიკიდა ლაკი ლუჩანო და ალ კაპონე. 1933 წელს, როცა ის მორიგი დანაშაულისთვის უნდა გაესამართლებინათ, ნიუ-ჯერსიში გადაბარგდა. 1935 წელს უკან დაბრუნდა და ალბერტ ანასტასიას ბანდის წევრებმა მოკლეს.



№6 ჯონ გოტი (1940-2002)

ბრუკლინში დაიბადა. ყოველთვის ჭკვიან კაცად მიიჩნევენ. 16 წლისა ქუჩის ბანდაში გაერთიანდა, სახელწოდებით „ბიჭები ფულტონ-როკაუეიდან“. მოკლე ხანში მათი ლიდერი გახდა, ხოლო 70-იან წლებში გამბინოს ოჯახის ნათლიმამა. გოტი ძალზე ამბიციური იყო და მალე ნარკოტიკებით ვაჭრობას მიჰყო ხელი, რაც ოჯახის წესებით იკრძალებოდა. მაშინ პოლ კასტელანომ (მაფის ბოსმა) გადაწყვიტა, გოტი ორგანიზაციიდან გაეყვებინა. 1985 წელს გოტი და მისმა ამფონებმა კასტელანო მოკლეს და გოტი გამბინოს ოჯახის თავად



იქცა. სამართალდამცავმა ორგანიზებმა რამდენჯერმე სცადეს მისი გასამართლება, მაგრამ ბრალდებები ვერც ერთხელ ვერ დაუყენეს. გოტი მუდამ პრეზენტაბელურად გამოიყურებოდა და მედიასაც უყვარდა, ამიტომ მეტსახელი „ლეგენდარული დონი“ შეარქვეს. 2002 წელს იგი სიმსივნით გარდაიცვალა.



№5 მაიკლ ლანსკი (1902-1983)

მაიკლ საროვლიანსკი რუსეთში დაიბადა, 9 წლისა ნიუ იორკში გადასახლდა. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ჩარლი ლუჩანო რომ გაიცნო. ლუჩანოს სურდა, რომ ლანსკის მისთვის ფული ეხადა მფარველობისთვის, მაგრამ უარი მიიღო. იჩუბეს, რის შემდეგაც განუწყობი მებრძოლები გახდნენ. მოკლე ხანში ლანსკიმ ბაგსი სიგალი გაიცნო და ერთად ჩამოაყალიბეს „ბაგი და მეიერის დაჯგუფება“. თავიდან ლანსკი აზარტული თამაშების ბიზნესით იყო დაკავებული ფლორიდაში, ახალ ორლეანსა და კუბაში, სიგალის კაზინოს დამფუძნებელიც იყო ლას-ვეგასში და ფულის გასათვთრებლად ოფშორული ბანკიც შეიქმნა შვეიცარიაში. იგი დანაშაულებრივი სინდიკატისა და საბჭოს თანადამფუძნებელიც იყო. თუმცა ბიზნესის მისთვის პირადული საქმე არასდროს ყოფილა, ამიტომ მალე იძულებული შეიქმნა, ბაგსი სიგალი მოეკლა იმის გამო, რომ მას სინდიკატისთვის ფულის მიცემა არ სურდა.

ვის, მაგრამ უარი მიიღო. იჩუბეს, რის შემდეგაც განუწყობი მებრძოლები გახდნენ. მოკლე ხანში ლანსკიმ ბაგსი სიგალი გაიცნო და ერთად ჩამოაყალიბეს „ბაგი და მეიერის დაჯგუფება“. თავიდან ლანსკი აზარტული თამაშების ბიზნესით იყო დაკავებული ფლორიდაში, ახალ ორლეანსა და კუბაში, სიგალის კაზინოს დამფუძნებელიც იყო ლას-ვეგასში და ფულის გასათვთრებლად ოფშორული ბანკიც შეიქმნა შვეიცარიაში. იგი დანაშაულებრივი სინდიკატისა და საბჭოს თანადამფუძნებელიც იყო. თუმცა ბიზნესის მისთვის პირადული საქმე არასდროს ყოფილა, ამიტომ მალე იძულებული შეიქმნა, ბაგსი სიგალი მოეკლა იმის გამო, რომ მას სინდიკატისთვის ფულის მიცემა არ სურდა.



№4 ფრანკ კოსტალო (1891-1973)

ფრანკეს კოსტალია იტალიაში დაიბადა. 4 წლისა ამერიკაში ამოყო თავი. 13 წლისა იყო, როცა დანაშაულებრივ ჯგუფში გაერთიანდა და ფრენკ კოსტალო დაირქვა.

ჩარლი ლუჩანოს საუკეთესო მეგობარი იყო, ერთად და ც ბუტლეგერობდნენ.

კოსტალოს ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ მაფისა და პოლიტიკოსების მკვლელობებში რგოლს წარმოადგენდა. კოსტალო და ჯენოვეზე ერთმანეთს მტრობდნენ და ეს უკანასკნელი მის მოკვლასაც ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ. ფრენკი ბუნებრივი სიკვდილით აღესრულა 1973 წელს.



№3 კარლო გამბინო (1902-1976)

კარლო გამბინო დაიბადა ოჯახში, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მათობრივი კლანის წევრი იყო. პირველი მკვლელობა 19 წლისამ ჩაიდინა. რაკი იმხანად მუსოლინი ძალას იკრებდა, გამბინო ამერიკაში გადასახლდა, სადაც მისი ნათესავი პოლ

კასტელანო ცხოვრობდა. 1940-იან წლებში ლუჩანოს ადგილი ალბერტ ანასტასიამ დაიკავა. გამბინოს მიანდა, რომ მისი დრო დადგა და 1957 წელს ანასტასიას მოკვლის ბრძანება გასცა, რის შემდეგაც ოჯახის ბოსი გახდა, რომელსაც რკინის ხელით მართავდა. 1976 წელს გამბინო ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.



№2 ჩარლი „ილზიანი“ ლუჩანო (1897-1962)

სალვატორე ლუჩანია სიცილიაში დაიბადა. 10 წლის შემდეგ მისი ოჯახი ამერიკაში გადასახლდა. მალე ლუჩანია ბანდის „ხუთი წერტილი“ წევრი გახდა. ლუჩანო თითქმის მთელ რეკეტს აკონტროლებდა მანჰეტენზე. 1929 წელს მასზე წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ ლუჩანომ ნაციონალური დანაშაულებრივი სინდიკატის შექმნა გადაწყვიტა. 1935 წელს მას უკვე ბოსების ბოს უწოდებდნენ არა მარტო ნიუ იორკში, არამედ მთელ ქვეყანაში. 1936 წელს გრძელვადიანი პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ 1946 წელს კარგი საქციელისთვის გაათავისუფლეს იმ პირობით, რომ ქვეყანას დატოვებდა და იტალიაში გადასახლდებოდა. ლუჩანო იმდენად გავლენიანი კაცი იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებმა იტალიაში გადასახლელად დახმარება სთხოვეს. „ილზიანი“ 1962 წელს გულის შეტევით გარდაიცვალა.



№1 ალ კაპონე (1899-1947)

ალფონს კაპონე ბრუკლინში, იტალიელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. განევრინა ბანდაში „ხუთი წერტილი“. სწორედ იმხანად შეარქვეს „სახენაიარევი“. 1919 წელს იგი ჩიკაგოში გადასახლდა და ჯონი ტორიოზე დაიწყო მუშაობა. მშრალი კანონის პერიოდი იდგა. კაპონე აზარტული თამაშებით, პროსტიტუციითა და ბუტლეგერობით იყო დაკავებული. 1925 წელს კაპონე ტორიოს ოჯახის თავი გახდა და ოჯახებს შორის ბრძოლა გააჩაღა. გამბინო ამერიკაში გადასახლდა იგი ცნობილი იყო თავისი სი-



სასტიკით, თუმცა მიანდა, რომ მკერდში კეთილშობილი გული უძგერდა. 1931 წელს გადასახლების გადაუხდელი ბრძანებით დააპატიმრეს.



ჩეკაბო, ანუ ფათუხა ღუბაძის სპექტაკლი და ჩესტოკანაში გახედილი სივრცე

1972 წელია. ზოგიერთების ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. „ნიანგა“ კუნა და ანტიპოდების მხილება გააძლიერა. იბეჭდებოდა კრიტიკულ-მამხილებელი წერილები, ფელეტონები, ნახატი-კარიკატურები. ვაი იმას, ვინც „ნიანგის“ ყბაში ჩავარდებოდა. ჰოდა, მინდა ერთი ამბავი მოგიყვებო, „ნიანგის“ ისტორიიდან.

დედაქალაქში ავტომანქანები მომრავლდა. მათი მომსახურება კი გართულდა. ამ დროს თბილისის დასავლეთ კარიბჭესთან, იქ, სადაც ახლა დავით აღმაშენებლის ძეგლია, იტალიური ავტოსამრეცხაო „ჩეკაბო“ დაიდგა. გავიხარეთ თბილისელებმა, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, სამსუხაროდ, ამ საქმესაც ეშმაკები დაეპატრონენ. „ნიანგი“ წერდა:

— თუ გინდა, მანქანა უცებ, უფასოდ გარეცხინო, ყველაზე ნაღვლიან... — დოლაბაური? — არა, ტო! — საბურთალო? — ბნელა, ტო! — ვა, მა სადა, ტო? — ჩე... კა... ტო! — ბრავო ჩეკაბო! პირდაპირ გზაზე მახესავითა დაგებულნი. ვერაფერს დაუნუნებ, შეძვრები შიგ, გადაგისვამს თავზე ხელს, გაგაკრიკალებს, გაგაღამაზებს და... გაგცქვენის კიდევ“.

არ იშურებდა „ნიანგი“ „შე-სამკობელ“ სიტყვებს. მოგესხებოდა, იმ დროისთვის სალაროს გვერდის ავლით და უქეთოდ, პირდაპირ მრეცხავთან ანგარიშსწორება, ნესითა და კანონით, სასტიკად აკრძალული იყო. მაშინ რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ფათუხა ღუბაძე გახლდათ, რომელსაც მთავრობის დროს ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტი ეკავა და დიდკაცურ მანერებთან ერთად ამბიციუბიც ჰქონდა გამოყოლილი. ერთ დღეს ცენტრალური კომიტეტიდან დაბრუნებულმა ნოდარ ღუბაძემ რედაქციაში შემოსვლისთანავე თავისთან მიხმო და სიცილით მითხრა: — ბიჭო! ფათუხა შე-მხვდა ცკ-ში, ფელეტონი ნა-უკითხავს, ალღევებული იყო. მთხოვა, მაგის დამწერი გამომიგზავნე თათბირზე, სამრეცხაოს დირექტორი უნდა მოგხსნაო.

— თუ უნდა მოხსნას, ჩემი დასწრება რა საჭიროა, — ვუპასუხე. — ფათუხა დუმბაძეს უარს ნუ ვეტყვით, დავესწროთ თათბირს! — კატეგორიულად განაცხადა უკვე როგორც მთავარმა რედაქტორმა. — კი ბატონო, გამაყოლე ვინმე, მგლის ბუნაგში მარტო ნუ შემიშვებ-მეთქი, — ვთხოვე. თათბირი სააქტო დარბაზში ტარდებოდა. დაგვიანებით შევედით: მე, გიზო ნიშნიანიძე და გარი მეტრეველი. გველოდებოდნენ, ჩვენთვის საპატიო ადგილებიც კი იყო გამოყოფილი. მინისტრი თავაზიანად მოგვესალმა და ახმაურებული დარბაზი მაგიდაზე ფანქრის დაკაუნებით დაანწარა, მაგრამ ვიღაც უკანა რიგში საუბარს მაინც განაგრძობდა. ქალბატონმა ფათუხამ უკანა რიგისკენ ვიღაცის მისამართით იყვირა: „შენ მანდ ლაყბობას თავი დაანებე, თორემ ყვერებით დაგვადებ!“ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. იმ მომენტში სამივეს ერთი ადგილი გაგვასხენდა და ერთმანეთს ღიმილით გადავხედეთ. მინისტრმა უყურადღებოდ არც ჩვენი ღიმილი დატოვა. წამსვე უწინააღმდეგოდ „ნიანგი“ მოგვანოდა და ნახევრად მბრძანებლური ტონით გვთხოვა: „თუ შეიძლება, ნავიკითხო!“ ჩვენ შორის პირველი სიტყვა გიზო ნიშნიანისთვის ეკუთვნოდა, როგორც მთავარი რედაქტორის მოადგილეს. პასუხი კატეგორიული და ლოგიკური იყო: „ქალბატონო ფათუხა! ჩვენ დავწერეთ და ნაკითხვით თქვენ უნდა ნაკითხოთ“.

მოულოდნელი პასუხით მინისტრის გვერდზე მჯდომი მოადგილეები შემომშუმნენ, დარბაზი დაიძაბა, ფათუხა აღელდა, მაგრამ თავი შეიკავა. გაავიქიქრე: „კიდევ კარგი, მარტო რომ არა ვარ“. წერილი იქ მყოფთაგან ყველას ჰქონდა ნაკითხული და თანაც — არა ერთხელ. ამიტომაც ნაკითხვა გამოირიცხა. განხილვა დაიწყო. „ამხანაგებო! ყველამ კარგად ვიცით, თუ ჩვენი სამინისტრო როგორ გააკრიტიკა უწინააღმდეგოდ „ნიანგა“ მექანიკური ავტოსამრეცხავის „ჩეკაბოს“ უთავო ხელმძღვანელის — გველუკაშვილის გამო. — გაიცა განკარგულება. შემოიყვანეს უთავო, რომელსაც თავი კი ება, მაგრამ ძალზე დაბნეული ჩანდა. „მობრძანდით აქ, ჩვენთან ახლოს, — ბრძანა მინისტრმა, — და მოყვებით, რა მოხდება, რატომ დაინერა კრიტი-

კული წერილი უწინააღმდეგოდ „ნიანგაში“. ყველაფერი დაწერილი მოგვასხენეთ“. უთავომ თავი გადააქნია, მერე ჩვენკენ გამოიხედა და დაიწყო: „ორი წელია, პატივცემულის მანქანას ენით ვლოკავთ, ყველანაირ მომსახურებას ვუწევთ, არც ფულს ვახდევინებთ, მაგრამ მაგის გული ვერ მოვიგეთ“. „ვინ არის ის, ვისი გულიც ვერ მოიგეთ, დაასახელეთ და გააგრძელეთ ამბის მოყოლა“, — იყვირა ფათუხამ და ჩვენკენ გამოიხედა. „ამ წერილის ავტორი უნდა სინარულიძე“, — იყო პასუხი. მოულოდნელობამ ზღვარს გადააჭარბა. აშკარა პროვოკაციას ჰქონდა ადგილი. ტალახი შემოგვასხეს, მაგრამ ბუმერანგივით თვითონ დაუბრუნდა. სიტყვა გარი მეტრეველმა ითხოვა და გველუკაშვილს მიმართა: „თქვენ ამბობთ, რომ ორი წელია, ამ წერილის ავტორი თქვენთან ავტომანქანას რეცხავს, „ნიანგის“ მონობით სინამდვილემ იგი ჩვენთან, სამი თვით, რაც მუშაობს. ტყუილს მოკლე ფეხი აქვს და ასეთი განცხადებისთვის თქვენ კიდევ ერთხელ ხართ გასანერი „ნიანგაში“.

გამთავრე ჩემი გამოსვლა: „დადგება დრო და მე თქვენ სიმართლეს გათქმევინებთ“, — მივმართე უთავო პროვოკატორს. იმ დროს ჯერჯერობით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ შემორჩენილი იყო გივი ჯავახიშვილი, რომელსაც ფათუხა ღუბაძისთვის უთხოვია, გველუკაშვილი დასაჯეთ, ოღონდ არ მოხსნათო. ასეც მოხდა. გავიდა დრო და „ჩეკაბოს“ ჩვეულებრივი მომხმარებლის ამპლუაში მივაკითხე. ავტომანქანა გარეცხეს, ფულიც გადავიხადე და გამოვედი. როგორც გაირკვა, დირექტორი მითვალთვალებდა და გამოსასვლელთან დამხვდა. კაცურად მთხოვა, ლისის ტბაზე ცნობილ რესტორანში წამომყევი, ყველაფერს იქ გეტყვით. გამახსენდა თათბირზე ნათქვამი ჩემი სიტყვები: „მე თქვენ სიმართლეს გათქმევინებთ“. სუფრასთან ორნი ვისხედით. გულახდილობის კორიანტელი იდგა. ყველაფერი ითქვა, მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ თათბირი მინისტრის რეჟისორობით დადგმული სპექტაკლი ყოფილა.

შანი სინარულიძე

უნივერსალური წყალი „ისიდა“

მათთვის, ვისთვისაც კვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულინარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედეგებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინერალს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარე) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მონარდ ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საპროდუქტო მინერალიზაციის შედეგად 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტექსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამოწვლილია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი ალჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

მსაკრელები დაკავშირებული: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთაველი: 890-11-50-99; 895-91-24-14.

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამკაელო

ს.ს „გაბრიალავალი ტალეკომი“ 602602
 შპს „ახტალი“ 700818
 შპს „გაბრიალავალი“ 200320
 შპს „ჯეოსელი“ 700305
 შპს „ბილიანი“ 200333

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტები:
 ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
 ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
 იხ. მენიუში: სსპადასსპა — ძველმომეძევა —
 წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
 ფონდის დირექტორს,
 დეკანოზს თეოდორე ბასილიანას:
 ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
 ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
 e-mail: eparqia-f@mail.ru

საქართველო **ესტუბრეთ ჩვენს საიტს**
<http://www.geworld.net>

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
 მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
 არმაზ სანაბლიძე, გონდო მძინარაშვილი
 ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანბურაშვილი
 ვებრედაქტორი გოჩა ხავეთია
 რეალიზაციის მენეჯერი ლეონი ბუბაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაქიძე,
 რეკლამის მენეჯერი ეთარ კასრალიშვილი (899 110 200)
 გაზეთის ხელმძღვანელობის მთავარი რედაქტორი პარიკოპოლი
 მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
 ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net